

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის წევრის
**მანანა ბიწაძე-მიქელაძის** სკანდალური ინტერვიუ

**koalicia `qarTuli ocnebis~ mesveurebo, yuradRebiT waikiTxeT es interviu da dauyovnebliv imoqmedeT, Torem arCevnebis gayalbeba ukve damTavrebuli da gaformebulia!**

# საერთო გაზეთი

№38 (222) ● 5-11.IX.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



„ზუსტად ვიცი, ერთ-ერთი პარლამენტარია ამ ამბავში გარეული. ჩეჩნების იმ ჯგუფს გაურიგდნენ და ფულის სანაცვლოდ თურქეთში გადაყვანას დაპირდნენ“.

„ადგილზე რომ მივედით, ვნახეთ, რომ მთელ ბანაკს ეძინა. არ მასვენებს იმაზე ფიქრი, რომ ცეცხლი მძინარე ადამიანებს გავუხსენი“



## sensaciuri interviu adamianTan, romelic lopotis specoperaciaSi monawileobda

### ვახტანგ ფარცვანია:



zugdidis aqciasTan dakavSirebiT seriozuli gegmebi gvaqvs, winaswar nu mTxovT dakonkretebas...

**guram petriaSvilo,**



deputatobis kandidatad Sen mogvelande, `rusTavi-2~-dan Sen mogvelande da amis Semdeg kidev mevar dauToebis Rirsi?

ISSN 2233-3983
9 772233 398001

მძევლებზე ლაპარაკობს კაცი, რომელსაც მძევლად ჰყავს აყვანილი გენერალი თამაზაშვილი

თუ ხელისუფლება საბოლოოდ აირჩევს ძალადობის და გაყალბების გზას, საქართველოს ორი არჩევანი აქვს: მივიდეს არჩევნებზე და დამარცხდეს ან არ მივიდეს არჩევნებზე და გაიმარჯვოს!

საქართველოში სააკაშვილის დესპოტიზმს ბოლო უნდა მოეღოს

ამ ხელისუფლების მუხანათობის წყალობით, შეიძლება, ქართველი ერი მოღალატე ერად გამოგვაცხადონ და მთელი კავკასია ჩვენს წინააღმდეგ დაიძრას...

### მერაბ შათირიშვილი:



`SeiZleba 1 oqtombris mere axali saparlamento arCevnebi dainiSnos~

### გიორგი ცანავა:



roca ivaniSvili politikaSi movida, guges saflavze avedi da CavZaxe: mgoni gveSvela, guge, movida ivaniSvili-meTqi!

# saarCevno blokis `biZina ivaniSvili _ qarTuli ocnebis~ gancxadeba



**4 სექტემბერი, 2012,**
**თბილისი**

მივესალმებით ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლისა და ვიცე-პრეზიდენტის ქალბატონ ქეთრინ ეშტონისა და ევროკომისრის ბატონ შტეფან ფულეს 3 სექტემბრის განცხადებას საქართველოს შესახებ, რომლითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ევროკავშირის უმაღლესი თანამდებობის პირები დაინტერესებული არიან საპარლამენტო არჩევნების წინ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით.

სათანადოდ ვაფასებთ ევროკავშირის მყარ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესისადმი, რომელიც კიდევ უფრო დაჩქარდება დემოკრატიის ევროპული სტანდარტების ერთგული პოლიტიკური ძალების არჩევნებში გამარჯვების შემდეგ.

ვიზიარებთ განცხადებაში ხაზგასმულ შეფასებას იმის შესახებ, რომ საქართველოში გადაუჭრელ პრობლემებად რჩება დემოკრატიის კონსოლიდაცია, მიღწეული ეკონომიკური შედეგების ხალხზე გადანაწილება და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის სრულფასოვანი მონაწილეობა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მომავალი ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა იქნება სწორედ დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება, სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა.

ვეთანხმებით, რომ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკამ უნდა გააჩინოს რწმენა საარჩევნო პროცესის სამართლიანობისადმი. როგორც ეს აღნიშნულია ეუთოს, ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების ბოლო ანგარიშებში, სწორედ კანონმდებლობის შერჩევითი გამოყენება, სახელმწიფო ორგანოების პოლიტიკური მიკერძოებულობა და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ არასამართლიანი დამოკიდებულება იქცა საარჩევნო პროცესის მთავარ პრობლემებად.

ვიზიარებთ განცხადებაში გამოთქმულ შეშფოთებას იმის გამო, რომ არჩევნების მოახლოების კვალობაზე იზრდება პოლარიზაცია და დაპირისპირება. სამწუხაროდ, კოალიცია ‘‘ქართული ოცნების’’ და მისი ლიდერის მზარდ პოპულარობას სააკაშვილის გუნდმა დაძაბულობისა და რეპრესიების ესკალაციის გარდა სხვა ვერაფერი დაუპირისპირა, რამაც მართლაც სახიფათო ზღვრამდე მიიყვანა დაპირისპირება მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის.

გაგებით ვეკიდებით მოწოდებას იმის თაობაზე, რომ შექმნილ ვითარებაში ჩვენ, ოპოზიციას, არანაკლები პასუხისმგებლობა გვეკისრება ქვეყნის მომავლისათვის. მეტიც, ვთვლით, რომ ნებისმიერი მეთოდებით ხელისუფლების შენარჩუნების მცდელობით დაკავებულმა მმართველმა გუნდმა პრაქტიკულად მოიხსნა პასუხისმგებლობა ქვეყანაზე და ასეთ პირობებში ჩვენ ვართ ვალდებული ხელისუფლების დარი პასუხისმგებლობით ვიმოქმედოთ.

სწორედ ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ არ დავუშვებთ ძალადობის ესკალაციას და პოლიტიკური პროცესების კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გასვლას, მათ შორის, ვინმეს მიერ ხელისუფლების მიტაცებას. მზად ვართ იმისთვისაც, რომ მივიღოთ და გავიზიაროთ კონკრეტული რჩევები და რეკომენდაციები ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული აღმშენებლობის, სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

დარწმუნებული ვართ, ევროკავშირი, ისევე, როგორც მთელი დემოკრატიული სამყარო, გააგრძელებს სათანადო ზომების მიღებას იმისათვის, რომ ქართველ ხალხს მიეცეს სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების გზით საკუთარი მომავლის განსაზღვრის შესაძლებლობა.

გწერთ წერილს და უზომოდ ვღელავ, ვღელავ იმიტომ, რომ გარდაცვილილის სული, მით უმეტეს მოკლულისა, ნიადაგ იძვრის, თრთის და მიმოიქცევა.

ათასჯერ მომკლეს სიტყვით და ტყვიით. მომკლეს აფხაზეთში, სამეგრელოში, სვანეთში, სამაჩაბლოში, თბილისის ქუჩებში და აი, ახლა იმ ლოპოტაშიც, სადაც მურვან ყრუც კი ვერ მომეკარა.

14 ტყვიით მომკლა სერიულმა მკვლელმა და დამაქცევარმა, ვისი სახელიც ეკლესიურად „მხეცია“; 14 ტყვიას გვარები დააწერა და ისე მესროლა. გვარებს ანბანის მიხედვით ჩამოვთვლი:

მე ვარ მოკლული ადუევი,
მე ვარ მოკლული ბაღაკაშვილი
მე ვარ მოკლული ზაურბეკოვი
მე ვარ მოკლული მარგოშვილი
მე ვარ მოკლული ქავთარაშვილი
მე ვარ მოკლული ჩოხელი
მე ვარ მოკლული წიკლაური
მე ვარ მოკლული ხვედელიძე
მე ვარ მოკლული ჯაბრაილი
მე ვარ მოკლული...

ეს მე ვარ მოკლული რუსთველის მეფე როსტომი.

ჟორა მაჩალიკაშვილი იყო ჩემი ძმადნაფიცი — ქისტი და ქართველი შვილების მამა.

მახსოვს აზმად ბაღაკაშვილი, მრავალი მარგოშვილი, ხანგოშვილი, ქავთარაშვილი, გუმაშვილი, მუთოშვილი...

აიუფ აჭიშვილი მახსენდება — ჯოყოლოელი მონადირე, — ზოგჯერ დათვზე ჩასაფრებული, ზოგჯერ ფანდურით ხელში და გმირ იდრისზე მომღერალი.

რა დამავიწყებს შამილ ბორჩაშვილს, ცხენი რომ მაჩუქა მაისტის ხეობაში.

მახსოვს მაისტი, სამციხე, ფუოლა, ტუტკა, წეეხელი, წაიფედი ხილდიხარო, გალაიჭოჭი.

რამ დამავიწყოს თქვენთან ერთად გატარებული ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო დღეები. ერთად გვიმღერია შენ — ჯოყოლა დარქიზანაშვილსა და მე — ალუდა ქეთელაურს, ერთად გვიფიქრია ჩვენს წარსულსა და მომავალზე, კავკასიის ერთიანობაზე. ამიტომ ვათქმევინე ჩემი პოემის გმირს ფარსმან ქველს სიკვდილის წინ: „გაიყოლეთ კავკასია, ასწავლიდეთ, თან გყავდეთ, ნუ იფიქრებთ ცალკერძ ყოფნას, მათთან დავაგაყარაზე“.

## წერილი ქისტებს



ეს მე ვარ იმერნო და მთიულ-გუდამაყრელნო, ეს მე ვარ, ქისტებო: დუისელებო, ჯოყოლოელებო, ბირკიანელებო, ხალაწნელებო, ომალოელებო. ეს მე ვარ, ანუ ჩემი ქვეყანა ვარ, ვეფხისა და მოყმის გამზრდელი ვარ. მაგრამ მე ისიცა ვარ, ვინც მერეც მოვა როგორც ქედდაუხრელი ქვეყნის მერმისი.

ჩვენი ძმობის მადლმა, ქისტებო, ვგლოვობ და ვიხსენებ:

ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის განსასვენებელთან ასტრახანის მიძინების ტაძარში ჩემთან ერთად ჩემსავით ჩოხაში გამოწყობილი ქისტი რამზან ბორჩაშვილი იდგა და ისიც პატივს მიაგებდა ქართველ მეფეთა ხსოვნას;

პირველი ქართველი მე გახლდით, ვინც ჯოხარ დუდაევი გაიცნო გროზნოში და მასთან პური გატეხა. მაშინ ჩემს გვერდით ქისტი მათე ციხესაშვილი იდგა.

ბულდან ბაღაკაშვილი იყო ჩემი ძმადნაფიცი, მისი ოჯახი დუისში — ჩემი ოჯახის მასპინძელი და დამპურებელი. საქართველოს ფალავანი იყო ბულდანი.

დიახ, მე ახლა მზაკვრის ჩანაფიქრით გასროლილი 14 ტყვიით ვარ მკვდარი. არ იყო 14 დაღუპული ქართველი და ქისტი მტერი და მებრძოლი ურთიერთისა. ისინი ფარნავაზისა და თვალხატულა დურძუკი დედოფლის შთამომავლები იყვნენ.

ვერ გვაქცევენ მტრებად, ვერ დაგვყოფენ — გინდ ტერორისტობა დაგვაბრალონ, გინდ დივერსანტობა.

თოთხმეტი ტყვიით მომკლა დამაქცევარმა, მაგრამ მაინც გავცოცხლდები, გავცოცხლდები ქართველებში და ქისტებში, გავცოცხლდები კავკასიაში და 14-ის ნაცვლად 14 მილიონი გავხდები.

მე კავკასიურ-იბერიული რასა და სული ვარ!...

საერთო გლოვაა ახლა მოაზროვნე საქართველოში. დიახ, ერთია ჩვენი გლოვის დღე, როგორც უფალია ერთი.

მე ჩემს სამხვეწრო კურატს შევწირავ და დავამწყალობნებ დაღუპულ ქართველებსა და ქისტებს. დაე, მე-15 ტყვიაც მესროლონ!...

**გელა ქოქიაშვილი**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# zugdidis aqciasTan dakavSirebiT seriozuli gegmebi gvaqvs, winaswar nu mTxovT dakonkretebas...

*გვესაუბრება პოლიტიკური მოძრაობა „სამშობლოს მაძიებლების“ ლიდერი და დამაარსებელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვახუშტი ფარცვანია**.*

**— ბატონო ვახუშტი, თქვენ საზოგადოებაში ცნობილი ხართ, როგორც შეურიგებელი ოპოზიციური განწყობის ადამიანი. ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუებში არაერთხელ გამოგიხატავთ უკმაყოფილება სხვადასხვა ოპოზიციური**



**ჯგუფების მიმართ ხელისუფლებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულებების გამო. შექმენით ორგანიზაცია „სამშობლოს მაძიებლები“. როგორ და რის ნიადაგზე მოხდა თქვენი დაახლოება კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ და რა ეტაპზეა თქვენი ორგანიზაციის საქმიანობა?**

—გეთანხმებით, ხშირად მკვეთრი კრიტიკით გამოვირჩეოდი ზოგიერთი ე.წ. ოპოზიციური სუბიექტის მიმართ, რის გამოც ხშირად ოპოზიციის ოპოზიციასაც კი მიწოდებდნენ. მაგრამ თქვენ კარგად უწყით, ჩემი ასეთი განწყობა ნაკარნახევი იყო არა უბრალო კაპრიზებით, არამედ საქართველოში ბოლო ოცი წლის განმავლობაში დაგროვილი უდიდესი ტკივილის, უსასოობის, პოლიტიკური სპეკულაციებისა და საზოგადოებრივი ყოფის უკიდურესი გაუარესების გამო. თვალსა და ხელს შუა გვეცლებოდა და გვეცლება საქართველოს სახელმწიფოს რეალური სუვერენობა, თვითმყოფადობა, გაურკვეველია ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე და ამ ვითარებაში ვიღაც ზნედაცემული პოლიტიკანი რომ ვაჭრობდა და დახლიდარობდა და დაბეჩავებული საზოგადოების ხარჯზე პირადი კეთილდღეობისთვის რომ ილვწოდა, უსირცხვილოდ ტყუოდა და დღენიადაგ ნაცარს გვაყრიდა თვალებში, ამან განაპირობა ჩემი კრიტიკული განწყობები. თუ ვინმე თვითმარქვია ოპოზიციონერს არ ეპიტნავებოდა ჩემი არგუმენტირებული სიმართლე, ან ახლაც ნაწყენია ჩემზე, მაშინ, რბილად რომ ვთქვათ, ცივი წყალი დალიოს და მისთვისვე აჯობებს, საბოლოოდ შეწყვიტოს საზოგადოებისთვის ურცხვად თვალებში ჩახედვა.

2008 წლიდან ჩემს თანამოაზრეებთან ერთად სამეგრელოს რეგიონში აქტიურად ვთანამშრომლობ ადგილობრივ ელექტორატთან. ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები, რეგიონის განვითარების კონცეპტუალური ხედვები და მოძრაობა "სამშობლოს მაძიებლების" პროგრამა ოთხმოც ათასამდე მაქვს დარიგებული მოსახლეობაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ფაქტობრივად, ყველაფერი მიტოვებული მქონდა და ოჯახის წევრების მიერ ფიზიკური შრომით მოპოვებულ კაპიკებს ვახმარდი ამ საქმეს — ოღონდაც ოდნავ მაინც გამეცნობიერებინა საზოგადოების ნაწილი, მომემზადებინა ჩემი რაიონი სამართლიანი არჩევნებისთვის, არსებული რეჟიმისადმი შეურიგებელი და უკომპრომისო ბრძოლა გაჩაღებულიყო სწორედ სამეგრელოს რეგიონიდან, მეორე ოპოზიციური ფრონტის ცენტრი გამხდარიყო სამეგრელო. სწორედ სამეგრელო წარმოადგენს კონფლიქტური სიტუაციის დარეგულირების ფანჯარას და საშუალებას აფხაზეთთან და ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობაში. მაგრამ არც ერთი ოპოზიციური პარტია არ გამოეხმაურა ჩვენს ამ ინიციატივას. უფრო მეტსაც გეტყვით. როდესაც გამოჩნდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი თავისი ღვთისნიერი გადაწყვეტილებითა და კეთილშობილური ზრახვებით, ცხრა თვე მბლოკავდნენ, რომ არ შევხვედროდი. ამან თავის დროზე ჩემს ადგილობრივ თანამოაზრეთა წრეში გარკვეული ეჭვებიც კი გამოიწვია.

ჩვენ დღემდე არ შევხვედრივართ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ირაკლი ალასანიამ გაარღვია ზოგიერთი მაიმუნური კასტის ჯებირები... მე და ირაკლიმ ახლოს გავიცანით ერთმანეთი, დავმეგობრდით... და ზუსტად ვიცი, უახლოეს პერიოდში იმ ფარისეველთა და ანგარებიან მედროვეთა მცირეოდენი გუნდი, რომელიც მიტმასნილია კოალიცია "ქართულ ოცნებას", დატოვებს იქაურობას.

ახლა რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე და ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს, თუ რატომ გადავწყვიტე კოალიცია "ქართულ ოცნებასთან" დადგომა. პირდაპირ გეტყვით, ეს გადაწყვეტილება მიმაღებინა ბატონი ბიძინა ივანიშვილის პიროვნების განსაკუთრებულობამ. ადამიანი, რომელიც დაიბადა სოფელში, რომელმაც ბავშვობასთან ერთად იწვნია სოფლის ყოფა, გაიგო გლეხკაცის შრომის ფასი, ჩაიხედა ბუნების წიაღში, ბავშვობის ასაკშივე მხარში ედგა ოჯახს, იყო უბრალო მუშაც, გაიარა სამეცნიერო გზაც, დაბოლოს, როცა დააგროვა დიდძალი ფინანსური კაპიტალი, უარი განაცხადა მდგომარეობაზე, სიმდიდრეზე და თავისი ოჯახის უსაფრთხოებაზეც კი, რათა ეხსნა სამშობლო. მე, როგორც ანთროპოლოგი და ფსიქოლოგი, თამამად ვამბობ, არ შეიძლება ასეთმა ადამიანმა უღალატოს თავის ერსა და ქვეყანას.

**— თქვენს პროგრამას მეც ვიცნობ და თუ სწორად მახსოვს, იქ მოტანილ ბევრ საკითხზე ბიძინა ივანიშვილი მოსვლის დღიდან ალაპარაკდა.**

— წარმოიდგინეთ, რომ ერთი ერთზე დაემთხვა ჩვენი შეხედულებები ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე, უვარგისი დეპუტატის გამოწვევის თაობაზე, თითოეული ქართველის თვითდამკვიდრებისთვის აუცილებელი სამართლიანი სოციალური პოლიტიკის გატარებისა და თავისუფლების განცდის დამკვიდრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ა.შ. ეს ადამიანი მზად არის, ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს საქართველოში პოლიტიკური ეთიკა, სახელმწიფოში პრიორიტეტი უნდა გახდეს განათლება, ჯანდაცვა და ეკონომიკური აღმავლობა, მისთვის პოლიტიკა არ წარმოადგენს მიზანსა და მით უმეტეს თვითმიზანს; ამბობს, რომ დაალაგებს და ალაგმავს საქართველოში კვაზიპოლიტიკურ გადმონაშთებს, მერე გაეცლება პოლიტიკას და გახდება ახალი მთავრობის ოპოზიცია, რათა არავის აზრად არ მოუვიდეს ხელისუფლების უზურპირება. ამის შემდეგ შეუძლებელია ადამიანი ამ მოძრაობისადმი გულგრილი დარჩეს. მართალია, უშეცდომოდ არ დაწყებულა კოალიციის პოლიტიკური საქმიანობა, განსაკუთრებით საკადრო პოლიტიკაში, მაგრამ, ვგონებ, რომ ამის მიზეზები ჩვენს ქართულ მენტალობაში უნდა ვეძიოთ.



**— ალბათ, წინააღმდგობები გექნებოდათ, როცა ბრძოლის ამ გზას დაადექით. ხომ არ იყო მუქარები ან შანტაჟი თქვენი და თქვენი ოჯახის მისამართით, როცა გაიგეს, რომ „ქართული ოცნების“ გვერდით დგომას აპირებდით?**

— წარმოიდგინეთ, რომ არავის უკადრებია ჩემთვის დამუქრება. აბა, გაბედონ!

მართალი კაცის შეშინება არაა ასე იოლი საქმე. ერთი რამ ვიცი დანამდვილებით, დღევანდელი სოციალური პოლიტიკა იმდენად უცხო და შეუთავსებელია მოაზროვნე გონთათვის, რომ ადამიანის დანიშნულებამ და სიცოცხლის საზრისმა აბსოლუტურად დაკარგა აზრი. რომელ შიშზეა ლაპარაკი? მე არ მესმის, რას ნიშნავს შიში, როდესაც საკითხი ჩვენი შვილების მომავალს, ჩვენს ყოფნა-არყოფნას ეხება.

**— ვინ იბრძვის თქვენს გვერდით, სამეგრელოს მოსახლეობის რა ნაწილია ეს?**

— ჩვენს გვერდით დგას სამეგრელოს თითქმის ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების მატარებელი ელექტორატი და მინდა გითხრათ, რომ მათი რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

**— მოგეხსენებათ, ზუგდიდი სამეგრელოს ცენტრია. ზუგდიდში წყდება ხშირად სამეგრელოსთვის მნიშვნელოვანი საკითხები. ასე, რომ, თქვენ ახლა მოვლენების ეპიცენტრში ხართ. რა სიტუაციაა, რა განწყობებია ხალხში?**

—გაყალბების შემთხვევაშიც კი გაუჭირდება მთავრობას სამეგრელოში არჩევნების მოგება, საზოგადოება ძალიან გაბრაზებულია ამ რეჟიმზე. მოსახლეობა, ვინც ხმამაღლა ამბობს, რომ ხმას ნაცმოძრაობას მისცემს, ჩუმად გვეუბნება, რომ შიშის გამო ხმამაღლა ვერაფერს ამბობს, თორემ აპირებს ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს. ხალხი ნელ-ნელა გადმოგვყავს, რომ იტყვიან, „ნათელ“ მხარეზე. ადრე მოსახლეობასთან შეხვედრებისას იყო გამოხტომები, ხელის შეშლის მცდელობები, მაგრამ ახლა ამასაც მოეშვნენ, არავინ არ გვიწევს აგრესიულ წინააღმდეგობას.

რაც შეეხება ზუგდიდის მნიშვნელობას, მოგახსენებთ, რომ ზუგდიდში არა მარტო სამეგრელოს ბედი, არამედ საქართველოს ბედიც კი წყდებოდა ხშირად და ვგონებ, რომ ის არც ამჟამად უღალატებს თავის ისტორიულ დატვირთვას. ხალხში არის ამაღლებული განწყობა, შიშის ფაქტორი ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა.

**— თქვენი ძირითადი კონკურენტები რა არგუმენტებით გიპირისპირდებიან — სამეგრელო ავაშენეთ, ავყვავეთ და ახლა „ნურას უკაცრავად“, ვერ გადმოგაბარებთო?**

— ვხვდები, დაახლოებით, თქვენი შეკითხვის კონტექსტს. როლანდ ახალაიას თანამოაზრეებს გულისხმობთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ საოცარი რამ ხდება, როლანდ ახალაია ზუგდიდის ქუჩებში ბუნჩულასავით დადის, არავის არ ერჩის და არავითარ აგრესიას არ ამჟღავნებს. თვითმმართველობა კი გამწარებულ ფაციფუცშია. ახლა იწყებენ გაზისა და წყლის მილების გაყვანას, ამონტაჟებენ გარე განათებას, შიდა გზების მოასფალტებას... მაიცდამაინც ახლა გაახსენდათ მოსახლეობის დაზღვევა და სოფლის მეურნეობის აღორძინება. მწარედ მეცინება ამაზე.

უნდა დამთავრდეს ასეთი უმსგავსო პოლიტიკური ფარისევლობა, პოლიტიკური უზნეობა, გაუგონარი სიყალბე, ცინიზმი, მოსახლეობის ტოტალური დაბეჩავება. მრცხვენია, რომ ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს ეს მანქურთები კაცობრიობის განვითარების ველურ ფორმაში აბრუნებენ... ამათ პოლიტიკა ბინძურ საქმედ აქციეს, ეროვნული საუნჯეები შეგვიბილწეს, ყოველივე ამაღლებულის ნიველირება მოახდინეს, საზოგადოება გახლიჩეს მტრებად და მოყვრებად, თაობათა შორის მისასვლელი ხიდები ჩატეხეს, ახალგაზრდობის დიდ ნაწილს ტვინები გამოურეცხეს, დასმენა-ჩაშვების ინსტიტუტები წაახალისეს, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი საზღვარგარეთ ლუკმა-პურის საშოვნელად გადახვეწეს და ახლა არჩევანის უფლებაც წაართვეს, ომები და უბედურებები დაატეხეს საზოგადოებას თავს, ოსი და აფხაზი მოსახლეობა კიდევ უფრო დაგვაშორეს, მიკვირს, როცა კიდევ ჰყავთ მხარდამჭერები. ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა, რა ხდება მიშას მხარდამჭერთა ტვინებში. ისინი ფსიქიატრის პაციენტები უფრო მგონია.

ქვეყანას ვერ "გადმოგაბარებთო"? არ ვიცოდი, თუ ჩვენი ქვეყანა ვინმეს კერძო საკუთრება იყო. მაგრამ, როგორც სააკაშვილს უყვარს თქმა, ნურას უკაცრავად! მალე დამთავრდება საქართველოს გაიგივება კონკრეტულ პირებთან.

**— კოალიციის ფართომასშტაბიანი შეხვედრა სამეგრელოში, ალბათ, გადამწყვეტი იქნება არა მხოლოდ კოალიციის საქმიანობის წარმატებისთვის, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რა გზას აირჩევს სამეგრელო საქართველოს გამარჯვებისთვის და სიბნელის და ძალადობის დასამარცხებლად. თქვენი აზრით, რა მოხდება მიტინგზე, აჩვენებს სამეგრელო იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის ნებას უერთდება?**

— იცით, რომ შეხვედრა 9 სექტემბერს იყო დანიშნული, მაგრამ ახლა ლაპარაკობენ, 21 ან 23 სექტემბერს იქნებაო. ძალიან კარგი. მაშინ სწორედ საქართველოს ღირსეულ ამომრჩეველთა მთლიანი მუხტის კონცენტრირება მოხდება აქ, სამეგრელოში და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და გპირდებით. ჩვენ სერიოზული გეგმები გვაქვს ამ დღესთან დაკავშირებით, სერიოზული განცხადებებიც იქნება კონკრეტულ თემებზე, მაგრამ ახლა ნუ მომთხოვთ დაკონკრეტებას. წინასწარ არაფერს გეტყვით. ერთი კი იცოდეთ, ვაპირებთ, სწორედ აქედან შევუძახოთ ჩვენს დამქცევრებს: "თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს, სიკვდილი გვიჯობს ცდაშია".

საქართველოს განთავისუფლება აქედან დაიწყება და უეჭველი გამარჯვებით დასრულდება.

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# koalicia `qarTuli ocnebis~ mesveurebo, yuradRebiT waikiTxeT es interviu da dauyovnebliv imoqmedeT, Toremar Cevnebis gayalbeba ukve damTavrebuli da gaformebulia!

## ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის წევრის მანანა ბიწაძე-მიქელაძის სკანდალური ინტერვიუ

**გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი არჩევანის“ თავმჯდომარე, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის წევრი მანანა ბიწაძე-მიქელაძე:**

**— ქალბატონო მანანა, თქვენ კომისიის სიებს ხმა არ მიეცით, რა იყო ამის მიზეზი?**

— სიების გამოსწორება უკვე, პრაქტიკულად შეუძლებელია იმიტომ, რომ 15 სექტემბერს სია საბოლოო სახით დაიდება. მას დაემატება კომისიაში შემოტანილი ხარვეზები, რაც „ქართული ოცნებისა“ და „ამომრჩეველთა ლიგის“ მიერ იქნა აღმოჩენილი. რაც შეეხება მიზეზებს, თუ რატომ არ მივეცი სიას ხმა — უპირველესი პრობლემა იყო, თუ რა მეთოდოლოგიით უნდა ემუშავა კომისიას. გადაწყდა, რომ კომისია, ძირითადად „კარდაკარის“ მეთოდით იმუშავებდა. გარდა ამისა, კიდევ ოთხი უწყება თავიანთ სიებს მოგვაწვდიდა, რითაც შეივსებოდა ეს სია და საბოლოო სახეს მიიღებდა. „კარდაკარისთვის“ 11 ათასი ადამიანი შეირჩა, რაც რთული პროცესი იყო და მეთოდოლოგია დაიდო. მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით იმთავითვე კითხვები გამიჩნდა. მაგალითად, მეთოდოლოგიის მიხედვით საზღვარგარეთ გასული ადამიანი, მხოლოდ იმ შემთხვევაში ფიქსირდებოდა, თუ მისი ოჯახის წევრი ამ ფაქტის შესახებ დაწერდა განცხადებას და ხელს მოაწერდა.

**დღეს, ასეთი მინაწერი მხოლოდ 300 ათას ადამიანს აქვს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ეს რაოდენობაა ქვეყნიდან გასული. ეს განპირობებულია იმით, რომ ადამიანებს ეშინიათ და ვერ ბედავენ სასწორზე შეაგდონ ოჯახის წევრების ბედი, რომლებიც მათი რჩენის ერთადერთი წყაროა.**

ეს ადამიანები საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფებიან. ადამიანების ნდობა ხელისუფლების მიმართ, პრაქტიკულად ნულოვანია. აქედან გამომდინარე იმის მოლოდინი, რომ ქვეყნის გარეთ გასული ადამიანების ციფრი ზუსტი იქნებოდა, არ გამართლდა. მხოლოდ და მხოლოდ 300 ათასმა ადამიანმა დაგვიდასტურა მათი ოჯახის წევრების საზღვარგარეთ ყოფნის შესახებ.

**— ეს ხმები შეიძლება „ნაციონალების“ ჯიბეებში მოვიაზროთ?**

— იცით რაშია საქმე? — დღეს გაყალბების ტექნოლოგიები ძალიან დაიხვეწა. ადრე საარჩევნო ყუთებს იპარავდნენ, ერთმანეთს სცემდნენ — სახეზე იყო უხეში გაყალბების სცენები. 2010 წელს კოორდინატორები იდგნენ და თითოეულ მოსულ ადამიანს აღნიშნავდნენ. ვინც არ მოვიდოდა ურეკავდნენ და მოჰყავდათ. ახლა, ეს ტექნოლოგია კიდევ უფრო დაიხვეწა. აქვე მინდა ისიც აღვნიშნო, რომ თავად საარჩევნო გარემო იმდენად მიკერძოებული, არაპროპორციული და არასამართლიანია, რომ ეუთოს წარმომადგენელმა ლენინიზმზე მიანიშნა ხელისუფლებას. ხელისუფლება სრულიად განუკითხავად ფლობს



ადმინისტრაციულ რესურსს მაშინ, როდესაც „ქართულ ოცნებას“ ვითომ ფინანსური მონიტორინგის საბაბით მოგელაძის უწყება კაპიკის დახარჯვის უფლებას არ აძლევს. კარგად მახსოვს, კოდექსზე მუშაობისას, როდესაც პარტიებს შორის 12 პუნქტიანი შეთანხმება შედგა, ითქვა — ნებისმიერი შესწორება, რომელიც კოდექსში გაკეთდებოდა პარტიებს შორის უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. ამ დათქმის შემდეგ პარტიები აგვისტოს არდადეგებზე წავიდნენ. სექტემბერში როცა შევიკრიბეთ, პარლამენტში ხელისუფლებაზე მორგებული სრულიად ახალი კოდექსი დაგვხვდა. მაშინ თავხელიძე ამბობდა — ვისაც რამდენის შოვნა და დახარჯვა შეუძლია, იმდენი იშოვოს და დახარჯოსო — 200 ათასი იურიდიულმა პირმა და 60 ათასი — ფიზიკურმა პირმაო. ამ დროს პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა და ხელისუფლებამ ფორს-მაჟორში დაიწყო მუშაობა მოქალაქეთა პოლიტიკურ ორგანულ კანონში და სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ავადსახსენებელ ცვლილებებზე. საბოლოოდ დრაკონული კანონები მივიღეთ. სამაგიეროდ, ხელისუფლებას ყველაფრის უფლება აქვს. კოდექსში პირდაპირ ჩაიწერა, რომ აგიტაციაში მონაწილეობის უფლება გუბერნატორსაც აქვს. დავუბრუნდეთ სიებს. შიდა მიგრაცია საქართველოში ძალიან დიდია.

**წარმოგიდგენიათ, მარტო ჩვენ დღევანდელი მდგომარეობით 600 ათასი ადამიანის სია დავდეთ, ანუ 600 ათასზე მეტი შიდა მიგრანტი გვყავს. ქვეყანაში, სადაც 600 ათასზე მეტი შიდა მიგრანტი გყავს, რომელ სტაბილურობაზეა საუბარი?**

გაუსაძლისი პირობების გამო სოფელი დაიცალა და ყველა თბილისში ჩამოვიდა. ეს 600 ათასი კაცი არჩევნებისთვის ხიფათს წარმოადგენს.

**— ალბათ, მათთვის ადგილზე ჩასვლა და ხმის მიცემა პრობლემაა, არა?**

— მოგახსენებთ, როგორც ვიცით, საქართველოს კანონმდებლობით საქართველოში არჩევნები ჩატარებულად ითვლება თუ მოსახლეობის 30 პროცენტი მოვა. იმიტომ, რომ 30 პროცენტიანი რესურსი აქვს ხელისუფლებას. არასამთავრობო ორგანიზაციები ბარიერის 50 პროცენტამდე აწევას ვითხოვდით, მაგრამ ეს არ მიიღწა იმიტომ, რომ მათ 50 პროცენტიანი ბარიერის რესურსი არ აქვთ. 30 პროცენტიანი რესურსი ნიშნავს იმას, რომ ამომრჩეველთა 30 პროცენტი უნდა გამოცხადდეს არჩევნებზე, რათა იგი ლეგიტიმურად ჩაითვალოს. ეს ის რაოდენობაა, რომელსაც დღეს ხელისუფლება აკონტროლებს.

**— ამაში ის ხმები თუ ითვლება, რაც ხელისუფლებას გაყალბების შემდეგ შეუძლია დამატებით მიიღოს?**

— არა. ესაა „ნაციონალების“ ნამდვილი ხმები, რასაც ისინი უეჭველად იღებენ. კარგად მოგეხსენებათ, როგორ უვლიან ისინი თავიანთ ხმებს — ეს ადამიანები თავად მიჰყავთ ხმის მისაცემად, პრაქტიკულად, 100 პროცენტიანი დასწრება აქვთ.

**ნახეთ, რა ხდება? — დავუშვათ 600 ათასი შიდა მიგრანტიდან 300 ათასი ივანიშვილის მომხრეა. ამ 300 ათასი კაცის წასვლა სოფელში წარმოგიდგენიათ?!**

ისინი ხომ თავიანთ სოფლებში არიან რეგისტრირებულნი. არჩევნებისას კი იმ ადგილას უნდა ჩავიდნენ, სადაც რეგისტრირებულნი არიან, სხვანაირად მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ავიღოთ 4 სულიანი ოჯახი, მას ხომ დაახლოებით 100 ლარამდე უჯდება სოფელში წასვლა და 100 ლარამდე უკან დაბრუნება. როგორ ფიქრობთ, ამ ოჯახებს შეუძლიათ საარჩევნოდ სოფლებში წასვლა და უკან დაბრუნება?!

**— ანუ ეს ხმები იკარგება?**

— დიახ, რა თქმა უნდა. ხმები იკარგება და ვისი ხმებია ეს? — რა თქმა უნდა, ოპოზიციის. საქართველოში შემდეგი სიტუაციაა — 30 პროცენტი, რომელიც არჩევნებზე მოდის 100 პროცენტად ითვლება, ანუ აქედან ითვლება პროცენტები. დარჩენილი 70 პროცენტი კი, პრაქტიკულად დაკარგულია, თუ ხალხი არ მიხვდა, რომ არჩევნებზე მისვლა თითოეული მათგანის ვალდებულებაა. თუ ასე არ მოხდა, ხელისუფლება, დიახაც მოახერხებს არჩევნების გაყალბებას.

**— თქვენ ახსენეთ, რომ არჩევნებში გაბერილი სიებით გვიწევს მონაწილეობა. რა გამოსავალია ამ სიტუაციიდან?**

— წლების განმავლობაში სიებში მოსახლეობის მიწერები ხელსაყრელი და მარტივი იყო, ადრე ასეთ ადამიანებს მოჩვენებებს ეძახდნენ. „მოჩვენებების“ სამი კატეგორიაა — გარდაცვლილები, მიწერილები და საზღვარგარეთ წასულები.

ჩვენი კომისიის მიერ აღმოჩენილი იქნა 79 ათასი ადამიანი, რომელიც 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ, როგორც რეესტრი იუწყება, კომერციული თვალსაზრისით, სიიდან საერთოდ ამოწერეს. მაქვს ეჭვი, რომ, ეს 79 ათასი ადამიანი ჩვენმა კომისიამ ძალიან უაპელაციოდ კვლავ დააბრუნა სიაში.

**— რის საფუძველზე მოხდა კომისიის მიერ ამ პირების სიაში დაბრუნება?**

**— მათი სიაში დაბრუნება ყოველგვარი გადამოწმების გარეშე მოხდა, ერთადერთი რაც გაკეთდა ისაა, რომ არჩევნების დღეს ამ ადამიანების სია ცალკე მაგიდაზე იქნება გამოტანილი, რაც დამკვირვებლისთვის სამიზნე იქნება. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ ამ სიას ხმა არ მივეცი იმიტომ, რომ მე არ ვიცი ამ 79 ათასი ადამიანიდან ვინ არის რეალური ამომრჩეველი და რამდენია მიწერა.**

მიწერა დღეს სერიოზული პრობლემაა იმიტომ, რომ უამრავი სახლი დაინგრა, ასევე, არის მისამართები, რომელიც პრაქტიკაში არ არსებობს, მაგრამ თავად ადამიანები არსებობენ. ჩვენი მეთოდოლოგიის მიხედვით ამ შემთხვევაში იწერება, რომ კონტაქტი არ დამყარდა. პრაქტიკულად, ასეთი ადამიანი სიიდან ვერ ამოგვყავს იმიტომ, რომ ვერ ვპოულობთ და რეალურად ვერ ხერხდება შემოწმება — არსებობს თუ არა ეს ადამიანი.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია, რომ თქვენს მიერ აღმოჩენილი უზუსტობები, იგივე ის მილიონნრასი ათასი დაუზუსტებელი ხმა, რომელიც ყბადაღებულ თემად იქცა, არჩევნებამდე გასწორდეს?**

— ამ ყველაფერში ეჭვი მეპარება და გეტყვით, რატომაც — კომისიამ უკვე დადო თავისი სია და თვლის, რომ ეს რეალურია. დაახლოებით 100 ათასი ხარვეზი იქნა შემოტანილი ერთად „ქართული ოცნებისა“ და „ამომრჩეველთა ლიგის“ მიერ. ეს ხარვეზები კაცმა არ იცის როგორ გასწორდება პრაქტიკულად, სასტარტო სია, რომელიც 1 თებერვალს რეესტრმა შემოიტანა ყველასთვის ერთი იყო.

**მთავარი ახლა დადებული ე.წ. გადამოწმებული სიაა. დავუშვათ, 100 ათასივე ხარვეზი გასწორდა, გამოდის, რომ სიას მაქსიმუმ 100 ათასი**

## 3 600 საარჩევნო უბანში კომისიის თავმჯდომარეები „ნაციონალები“ არიან, 2500 უბანზე მდივნები კი „ქრისტიან-დემოკრატები“



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**მოაკლდება, მაგრამ ის, რომ მილიონორასი ათასი კაცი ამოვარდეს სიიდან, გამორიცხულია, ეს წარმოუდგენილი და შეუძლებელია.**

იმიტომ, რომ თუკი ამდენი ათასი დაუზუსტებელი ადამიანია, ეს აქამდე უნდა გასწორებულიყო.

**— საიდან მოდის ეს მოსაზრება, რომ 1.200 ათასი დაუზუსტებელი ხმა დაფიქსირდა სიებში, რა საფუძველი აქვს ამას?**

— ეს მოსაზრება მოდის იქიდან, რომ მილიონ ნახევარზე მეტი ადამიანი საზღვარგარეთაა გასული. მხოლოდ 300 ათას რომ წერენ, დანარჩენი სად წავიდა მაშინ?! ეშმაკურად არის გაკეთებული ყველაფერი — სიის მეთოდოლოგიის საფუძველია მთავარი და არა რეალობა. ამაშია, ამ სიების მთელი მარილი. მეთოდოლოგია უფრო დახვეწილი უნდა ყოფილიყო — თუ პირი განცხადებას არ დაწერდა, სხვა მექანიზმით უნდა მომხდარიყო ამ ადამიანების ფაქტობრივი მდგომარეობის მოპოვება. ამერიკიდან ჩამოსულმა ერთ-ერთმა ექსპერტმა გვითხრა — შეიძლება შესანიშნავი სია დადოთ, მაგრამ მას ნდობა არ ჰქონდეს და ჩათვალეთ, რომ ფუჭია თქვენი შრომაო. ადამიანების ნდობა კომისიების მიმართ ზოგადად დაბალია, ამიტომ ნურავის გაუკვირდება კაციტაძის კომისიის სიისადმი გაჩენილი ეჭვები. როცა ტოტალური უსამართლობაა, როგორ იქნება სიები ზუსტი?!

**— თუ შეჯერდა ამ ეტაპზე „ქართული ოცნების“ და „ამომრჩეველთა ლიგის“ სიები?**

— ეს პროცესი ახლა მიმდინარეობს და 15 სექტემბერს დასრულდება. ეს იქნება საბოლოო სია, რომლითაც 2012 წლის არჩევნები უნდა ჩატარდეს.

**— სიის საბოლოო ვარიანტის დადების შემდეგ ამომრჩეველს გარანტია აქვს, რომ გასწორებული სიებით მოუწევს არჩევანის გაკეთება?**

— როგორც ზემოთაც ვთქვი, „ქართული ოცნებისა“ და „ამომრჩეველთა ლიგიდან“ სულ 100 ათასი ხარვეზია შემოსული. ასე, რომ 100 ათასივეც რომ გასწორდეს, სიაში დიდი ცვლილება არ მოხდება. იმიტომ, რომ სია დაახლოებით 100 ათასი რომ გამოვაკლოთ 3.500 ათასი დარჩება, ამით არაფერი იცვლება. როცა ვამბობთ, რომ სიაში 1.200 ათასი ადამიანია ზედმეტი და მას მხოლოდ 100 ათას ვაკლებთ, 1.100 ათასი ხომ რჩება (!).

**— ქალბატონო მანანა, რასთან გვაქვს საქმე, როცა 90-იან წლებში სია 3.700 ათასი იყო, ხოლო 2012 წელს 3.600 ათასია?**

**— ზვიად გამსახურდიას დროს 3.700 ათასი იყო. ეს არის პერიოდი, როდესაც აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი საქართველოს იურისდიქციაშია, ანუ არჩევნები მაშინ მთელს საქართველოში ჩატარდა. მაშინ ქართველები ხუთი მილიონი ვიყავით. დღეს ამბობენ 4 მილიონი მაცხოვრებელიაო. თუ ეს მართლა ასეა, მაშინ 3.600 ათასი ამომრჩეველი საიდან არის?! ანუ 18 წლის ქვემოთ 400 ათას ადამიანზე მეტი არ არის?!**

გარდა ამისა, აფხაზეთის ომიდან 18 წელი გავიდა. ამ პერიოდში საქართველოს გენოფონდმა საშინელი დარტყმა განიცადა, სწორედ ამ ადამიანების შვილებით უნდა შევსებულიყო დღეს სია. ჩვენ ხომ ვიცით, რომ 30 ათასი ვაჟკაცი დაიღუპა. უკაცრავად, მაგრამ საიდან წამოვიდა ეს ნამატი მაშინ, როცა უამრავი ადამიანი ქვეყნიდანაა გასული. 2007 წლის შემდეგ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია საზღვარი მოწესრიგებულია — კონტროლდება ვინ გადის და შემოდის, მაგრამ 2007 წლამდე რამდენი ადამიანია გასული იცის ვინმემ ამის შესახებ? — არავინ არაფერი არ იცის. სტატისტიკით 1 მილიონი ადამიანი გასულია საქართვთელოდან.

**გამსახურდიას დროს, როცა აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს იურისდიქციაში შედიოდა და ქვეყნის მოსახლეობა 5 მილიონი იყო, ამომრჩეველთა რაოდენობა 3 700 000 შეადგენდა. ახლა მხოლოდ 4 მილიონი ვართ და 3 600 000 ამომრჩეველი საიდან გაჩნდა?**



**— როგორც ვიცი „კარდაკარის“ პროგრამაში ყველა, ერთიდაიგივე, 2 თებერვალს ცესკოს მიერ მოწოდებული სიით ახდენდა შემოწმებას?**

— დიახ, მე თუ მკითხავთ, ვთვლი, რომ შემოწმება ახლა უნდა ჩატარებულიყო და შემოწმებულიყო ის სია, რომელიც ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიამ დადო. სწორედ ეს სია იყო გადასამოწმებელი და აქ აღმოჩენილი ხარვეზები უნდა გამხდარიყო განსჯის საგანი. გულახდილად გეტყვით, 100 ათასკაციანი ხარვეზი ძალიან მეცოტავება. ანუ კომისიის საბოლოო პროდუქტი გადამოწმებული არაა. როგორც ვიცი, „ქართულმა ოცნებამ“ სულ 350 ათასი ხარვეზი შემოიტანა, მაგრამ მათ შორის საფუძველი მხოლოდ 53 ათასს აქვს. ეს მეთოდოლოგიის ხარვეზია.

**— რა შედეგი დადო ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიამ?**

**— ამომრჩეველთა ერთიანი სია პროექტისთვის „კარდაკარ“ — 3.483.142, მონაცემები ზუსტია — 2.160.608; დაზუსტებები პირად მონაცემებში — 39. 426; გამოტოვებული ამომრჩეველი — 72, გარდაცვლილი — 25.949; საზღვარგარეთ წასული — 291.471; რეგისტრაციის მისამართიდან მოხსნილი — 132.156; შიდა მიგრაციაშია — 649.839; კონტაქტი ვერ მყარდება — 183.621 ადამიანთან. ეს უკანასკნელი ისევ სიაში რჩება, რადგან ამოღების უფლება არ გვაქვს.**

ასევე, ბინაში მიწერილების სიიდან ამოყრის უფლებას მეთოდოლოგია არ გვაძლევს. როცა კითხულობენ— რა უნდა გავაკეთოთ? — საჭიროა უბანზე კვალიფიკაციური კადრი, ობიექტური დამკვირვებელი და ა.შ. რაც მთავარია, ამომრჩევლის მაქსიმალური დასწრება.

**— საუბარია იმაზეც, რომ კედელზე გამოკრული და უბნის სიები შეიძლება სხვადასხვა იყოს. რა მექანიზმები არსებობს ამასთან საბრძოლველად?**

— ძალიან დიდი მადლობა ეს რომ შემახსენეთ. ეს ყოველთვის პრობლემა იყო. მოგეხსენებათ ჩვენი სამართალდამცავების, სასამართლოების მდგომარეობა. სამართალი დიდი ხანია მომსახურების ზონიდანაა გასული და მისი დაბრუნება ვერა და ვერ ხერხდება. რაც თქვენ ბრძანეთ, ასეთი შემთხვევა ხშირად ყოფილა, მაგრამ სამწუხაროდ სასამართლომ არც სიების გადათვლის, არც ბიულეტენების გახსნის საშუალება არ მოგვცა და ა.შ. ამ მხრივ, კომისიის დადებითი მხარეა ის, რომ კომისიის 21 წევრს და 11 რეგიონალური სამსახურის უფროსს საშუალება აქვს უშუალოდ არჩევნების დღეს შევიდნენ და სიები ერთმანეთს შეადარონ — სამაგიდო, კედლის და ის სია, რომელიც ჩვენმა კომისიამ დადო. ეს რესურსი გამოსაყენებელია, მაგრამ სხვა საკითხია ვინ და როგორ შეძლებს ამას.

**— ქალბატონო მანანა, საერთაშორისო დამკვირვებლები წინა არჩევნების დროს ყოველთვის აღნიშნავდნენ დაშვებულ ხარვეზებს, მაგრამ ამბობდნენ, რომ საბოლოო ჯამში არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა. ეუთოს განცხადებები გვაძლევს ამ ეპოქის დასასრულის იმედს? რისი იმედი შეიძლება გვქონდეს ამ არჩევნებზე?**

— 2008 წლის არჩევნებზე ბოლნისის მაჟორიტარის შტაბის უფროსი ვიყავი და სამწუხაროდ იქ ვნახე როგორ „აკვირდებოდნენ“ საერთაშორისო დამკვირვებლები. უბანზე, რომ შევედი ძალიან მორცხვად თავდახრილი საერთაშორისო დამკვირვებელი ვნახე. როდესაც ერთ-ერთი კომისიის წევრს კაბინაზე ფარდა გადახსნილი ჰქონდა და ცხვრებივით რიგში ჩამდგარ ხალხს სასურველ ნომერს თვითონვე ახაზინებდა. როცა დამკვირვებელს ვკითხე, რეაგირებას რატომ არ ახდენთ-მეთქი უხერხულად გამიღიმა. ჩემი აზრით, თუ ქვეყნის ბედი თავად არ გადილევებს და მას მხოლოდ საერთაშორისო დამკვირვებლებს მიანდობ, ეს უზნეობაა. საერთაშორისო ორგანიზაციები როცა ჩამოდიან, ჯერ ჩვენ განწყობას, დამოკიდებულებას აკვირდებიან — როგორ იბრძვიან ადგილობრივი ორგანიზაციები სამართლიანობის აღსადგენად და მხოლოდ ამის შემდეგ დებენ თავიანთ დასკვნას. მათი დასკვნა მყისიერი არასოდესაა, ყოველთვის გარკვეულ დროს ითხოვენ. იმედი მაქვს, დღეს საქართველოში თვისობრივად სხვა მდგომარეობაა — ოპოზიცია რეალურია. „ქართული ოცნების“ რეალურად გამოჩნდა რესურსი, რომელსაც არჩევნების სრულფასოვნად გაკონტროლება შეუძლია.

**amomrCevelTa dazustebul sias, SeiZleba 100 000 adamiani gamoakldes, magram milionorasi aTasi `amomrCeveli~ rom amovardes siidan, es warmoudgenelia**



**— ქალბატონო მანანა, თქვენი საუბრიდან აშკარაა, რომ არჩევნები გაყალბდება, ბევრი საუბრობს, რომ ასეთ შემთხვევაში მეორე დღეს გარეთ გამოვალთ და დაე მსოფლიომ დაგვთვალოს რამდენი ვართო. მაგრამ მანამდე ხომ არ არის საჭირო განგაშის ზარების დარეკვა?**

— დღევანდელი საარჩევნო სივრცე ცალსახა, ცალ კარში თამაშს ჰგავს, ანუ სრულიად უსამართლო და მიკერძოებულია. შევთანხმდეთ იმაზეც, რომ სიები გაბერილია. კიდევ ერთი ძალიან საინტერესო და ნიშანდობლივი მომენტი — **რამდენიმე დღის წინ საუბნო საარჩევნო კომისიების არჩევნები ჩატარდა. 3.600-ზე მეტ უბანში ნაციონალური მოძრაობის წევრები თავმჯდომარეებად აირჩა. ერთ უბანზე შეეშალათ და შემთხვევით „ქართული ოცნების“ წევრი აირჩიეს, ორი დღის მერე ისევ გადაირჩეს. 2.500 უბანზე კი მდივნად „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრები აირჩიეს.**

ეს მაძლევს იმის დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ არჩევნები, რა თქმა უნდა გაყალბდება. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ დღეს არჩევნების ჩატარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მერე რა, რომ არჩევნები გაყალბებულია, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა ამ პროცესს ხელი შევუშალოთ. დღეს ოპოზიციური ფრთა ძალიან მოტივირებულია. თუმცა ხელისუფლების სასარგებლოდ ყველაფერი გამარტივდა — კანონმდებლობა, მოიხსნა ვიდეოთვალი. ასევე, უნდოდათ მარკირების გაუქმებაც, რაც დიდი ბრძოლის შემდეგ დავტოვეთ. თუმცა კაცმა არ იცის რა სითხეს აწვეთებენ მარკირების დროს, ვინ ყიდულობს ამას და სად ინახავენ. როგორც გავიგე სამხედროები თურმე აცეტონით იშორებდნენ და ერთი უბნიდან მეორეში გადადიოდნენ. ასე, რომ საქმე ძალიან ბევრია, მაგრამ ორი აზრი არ არსებობს, რომ არჩევნებს ალტერნატივა არა აქვს. ჩვენ ეს ეტაპი უნდა გავიაროთ.

**— მილიონზე მეტი ადამიანი საზღვარგარეთ არის გასულიო, ვამბობთ, მაგრამ მათ ხომ შეუძლიათ იქ დააფიქსირონ თავიანთი არჩევანი?**

— საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო კანონი იმის შესახებ, რომ არჩევნებში მონაწილეობას უცხოეთში მცხოვრები მხოლოდ და მხოლოდ ის ადამიანი მიიღებს, რომელიც საკონსულოში აღრიცხვაზე დადგება და წარმოადგენს ცნობას საცხოვრებელი ადგილიდან. ცნობას ვინ იძლევა საზღვთარგარეთ? — შსს. არალეგალურად მცხოვრებისთვის კი ამის გაკეთება რას ნიშნავს, ალბათ ხვდებით. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო თავის მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას უზღუდავს.

**— ბოლოს მინდა აიდი ბარათებზე გკითხოთ. ხომ არ ქმნის იგი არჩევნების მხრივ პრობლემას გამომდინარე იქედან, რომ მასზე მისამართი არ ფიქსირდება?**

— დიახ. მაგრამ პრობლემა სხვა რამეა. როცა მოქალაქე აიდი მოწმობას იღებს, სამწუხაროდ კანონი მას ძველი პასპორტის ჩაბარებას არ ავალდებულებს. ადრე, ნებისმიერი პასპორტის აღება, ძველის ჩაბარებას გავალდებულებდა. აიდი პასპორტზე მისამართი არ აწერია. ამიტომ მოქალაქეს შეუძლია არჩევნებში ხმა ამ აიდი ბარათითაც მისცეს და სხვა უბანზე ძველი პასპორტითაც. ეს გაყალბების, სიების გაბერვის ერთ-ერთი საშუალებაა.

**— რამდენი აიდი ბარათია თუ იცით ამ ეტაპზე გაცემული?**

— რამდენადაც ვიცი 300 ათასი უკვე გაცემულია და რამდენს გასცემენ კიდევ არჩევნებამდე, არ ვიცი.

**თამარ შველიძე**

# guram petriaSvilo, deputatobis kandidatad Sen mogvelande, `rusTavi-2~-dan Sen mogvelande da amis Semdeg kidev mevar dauToebis Rirsi?



გურამ პეტრიაშვილი

ამ რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „მაესტრო“-ში ოცწლიანი განშორების შემდეგ თმაშევერცხლილი გურამ პეტრიაშვილი ჰყავდათ სტუმრად, სადაც მან ჩვეული ლექსიკონით, ასე „გამაკრიტიკა“ მე, ჟურნალისტი ირინე გოგოსაშვილი.

გურამ პეტრიაშვილი: „მაგალითად, დღეს ჯერ არ წამიკითხავს და, წავიკითხავ ალბათ, დღეს, რომელიღაც გაზეთში, ხარჩილავას გაზეთში ვიღაც ქალმა დამცხო. რატომ დამცხო? – საინტერესოა! ვერ მიაღწიეს თავის მიზანს, ალბათ. მე შიმშილიც გამოვცადე, სიცივეც, უსახლკარობაც გამოვცადე, უმუშევრობაც, ყველაფერი გამოვცადე. ერთადერთი არ გამომიცდია სიკვდილი! ალბათ, უნდა მოვმკვდარიყავი მე და მაშინ იქნებოდა კმაყოფილი ის ქალბატონი, რომელიც ჩემზე წერს. გავაუთოვებ იმ ნაძირალას, დავავიწყებ წერა-კითხვას საერთოდ! გპირდებით მე თქვენ, როცა წავიკითხავ იმ გაზეთს, რა დაბეჭდეს, ჯერ ვნახოთ! გვინდა-არ გვინდა გადავდივართ პიროვნებებზე იმიტომ, რომ პიროვნებებმა მოახდინეს ეს ამბავი, განა სხვამ მოახდინა?!“

ძვირფასო მკითხველო, ვიდრე პატივცემულ გურამს ვუპასუხებდე, შეგახსენებთ, რომ „საერთო გაზეთის“ №36, შალვა ნათელაშვილს, შევბედე და შევახსენე, რომ ბატონი პეტრიაშვილი სამშობლოში დაბრუნებისთანავე მიიწვიეს „რუსთავი-2“-ის გადაცემა „პროფილში“, სადაც მას არათუ კეთილგანწყობილი შეკითხვები დაახვედრეს, არამედ მთელი ჯალაბითაც მიიწვიეს და ათასი დითირამბი უმღერესთქო! ისიც შევახსენე, პატივცემული პეტრიაშვილი წარსულში „სახალხო ფრონტის“ წევრი იყო და თავდაუზოგავად ლანძღავდა ზვიად გამსახურდიას, ხოლო შემდეგ, ქება-დიდება დაუწყო მას და ამდაგვარად მოხვდა უზენაეს საბჭოში-თქო! ისიც შევახსენე, პეტრიაშვილი სამშობლოში დაბრუნებამდე ბიძინა ივანიშვილს „მესია“-ს რომ უწოდებდა ერთ-ერთ გაზეთში, მაგრამ ბიძინამ, თავისთან რომ არ მიუშვა, ვკითხე, შენთან როგორ ამოყო თავი, ანუ ივანიშვილის მაგინებელ კაცთან-თქო? და, ერთიც – შალვა ნათელაშვილს ვეკითხებოდი: „ჩემო შალვა, პეტრიაშვილმა სახალხო ფრონტს თუ უღალატა, თავის „ოცნებას“ თუ უღალატა, სად გაქვს გარანტია, რომ შენც არ გიღალატებსთქო?“ აი, სულ ეს იყო... მაგრამ, როგორც ეტყობა ნათელაშვილისადმი დასმულ შეკითხვებსა და რჩევებს „რაღაც“ დავაკელი და ამ „რაღაცებით“ გაგულისებულმა პეტრიაშვილმა, ჩვეული სიძულვილით – ხან ნაძირალა მიწოდა, ხან დაუთოვებით დამემუქრა და ხანაც წერა-კითხვის დავიწყებით დამექადნა.

ეჰ, ჩემო ძვირფასო, ბატონო გურამ!

„ნე ტუდა პოპალი, ნე ტუდა“...

რატომ? ახლავე მოგახსენებთ...

ჯერ ერთი, რა დავწერე მე ისეთი, რაც თქვენ არ გაგიკეთებიათ და რაც სულ ახლახან არ ჩაიდინეთ? რაო, თქვენთვის ღალატი უცხო ხილია და ცილი დაგწამათ ვინმემ?

აკი, რამდენიმე დღის წინ თვითონვე ბრძანეთ ტელეკომპანია „მაესტრო-ში“ – მე ზვიად გასახურდიასაც ვუღალატე, რადგან არალეგიტიმურ არჩევნებში მივიღე მონაწილეობა და ხმა „ლეიბორისტებს“ მივეცითო. თურმე ამის მოწმეებიც გყოლიათ, და კიდევ მე მადანაშაულებთ რამეში? დიახ, სწორედ თქვენ ბრძანეთ: „წინა საპარლამენტო არჩევნებში, მე არ ვმალავ, ამის მოწმეებიც არსებობენ, მხარი დავუჭირე ლეიბორისტებს! ეს, იცით, საიდან მოდის? ეს არის არა პარტიული ამბები, არამედ ეს არის ჩემი ცხოვრება, ჩემი ცხოვრება კი ასეთია, მე ვარ სოფლელი ბიჭი...“ და ა.შ. ე.ი.

**ჩემო ძვირფასო ბატონო გურამ, თქვენ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების ერთგვარ ანდერძს: „კანონიერების აღდგენამდე ყველა არჩევნები არალეგიტიმურად ჩაითვალოს“-ო, უღალატეთ, არაფრად ჩააგდეთ და შორეული უკრაინიდან „ხუნტის“ არჩევნებში მიიღეთ მონაწილეობა, ხომ? იქნებ გვიპასუხოთ, რატომ და რამ გიბიძგათ ამისკენ?**

ახლა თუნდაც ამ ფაქტის შემდეგ თქვენ კიდევ ბედავთ და ჩემზე ამბობთ – ნაძირალააო?“ არადა რა შუაშია აქ სოფლელი ბიჭისა და ე.წ. „ელიტარების“ ბრძოლა, როცა ღიად და აშკარად, თქვენ თვითონვე ახდენთ საკუთარი თავის ლუსტრაციას?

თუმცაღა, რა? განა სულ ასეთი ღვარძლიანი, ასეთი უტიფარი, ასეთი უპრინციპო და ამავე დროს, სასაცილო არ იყავით ყოველთვის?

განა ყოველთვის სხვებს იმას არ უკიჟინებდით, რასაც თავად სჩადიოდით? დღესაც ასეა, მაგრამ თუკი ადრე თქვენი ბრიყვული ჰაბიტუსი ანეიტრალებდა თქვენსავე გესლს, დღეს სხვაგვარად აღიქმება თქვენი ყოველი სიტყვა, რადგან ჭაღარამ დაგიკრათ თავი! ჯვრიანი ქუდი გახურავთ თავზე და ასე თუ ისე დადინჯებული სიტყვა ესმით ადამიანებს თქვენგან! ამიტომ კი ბევრს ჰგონია, რომ სულ სხვა გურამი „ელანდებათ“ და არა ის, რომელიც 90-იან წლებში თვალებს აბრიალებდა „ბუნკერის ტელევიზიიდან“: მოგელანდებითო!!!

**„ნაძირალა“ – იცით, ეს სიტყვა როგორ ადამიანს ეწოდება, ბატონო გურამ ჩემი გაგებით? აი, ისეთს – საკუთარი კარიერისთვის ყველაფერს რომ კადრულობს, იდეას რომ ღალატობს და მკვდრებზე გადაბიჯებით რომ ადის მატერიალურ თუ პოლიტიკურ პიედესტალზე, გაიგეთ?**

ვიდრე წერას ამიკრძალავდეთ და თითებს დანით დამაჭრიდეთ, თქვენი ნებართვით, ერთი ნაძირალას ისტორიები უნდა ვაუწყო ჩემს მკითხველს და შემდეგ მან განსაჯოს ყოველივე... მაშ ასე! როგორც ე.წ. პრეზიდენტი მიშა იტყოდა ბნელ და უკუნ დროში ჩვენს ბედკრულ საქართველოში არსებობდა გამომცემლობა „საქართველო“, წარსულში „საბჭოთა საქართველო“ და მისი დირექტორი, პოეტი ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი გახლდათ! დიახ, სწორედ ის ჩარკვიანი, რომელმაც ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვას ხმა არ მისცა! და რომელმაც 9 აპრილის მოვლენების შემდეგ დაპატიმრებული ზვიადის ციხიდან გამოშვების შუამდგომლობას, უშიშრად მოაწერა ხელი, ჰოდა, ბატონი ჯანსუღი, როგორც უკვე მოგახსენეთ, გამომცემლობა „საქართველოს“ თავკაცობდა და იგი, როგორც პატრიოტი კაცი ზვიად გამსახურდიამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაკავებულ, თანამდებობაზე დატოვა. ზვიადის ეს „ჟესტი“, ზოგიერთ მედროვეს არ მოეწონა, ათასი ხლართებით გადაწყვიტეს, ჩარკვიანი „საქართველოდან“ გაეძევებინათ და მისი ადგილი „ღირსეულად“ დაეკავებინათ! როცა დიდი ინტრიგებისა და კულუარული გარჩევების შემდეგ, ჩარკვიანი დაიღალა, ზვიადს სთხოვა: „კარგი, წავალ აქედან, მაგრამ მანქანა დამიტოვეთ, 10 წელია ჩემი ხარჯებით ვინახავ და თანაც ეს მძღოლი ოჯახის წევრივით არის ჩემთვისო“. მართლაც პრეზიდენტ გამსახურდიას სიტყვიერი ბრძანებით სახელმწიფო მანქანა გაზ-24 მძღოლითურთ პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს დარჩა. ჩარკვიანი გამომცემლობა „საქართველოდან“ ჟურნალ „დროშაში“ გადაიყვანა ხელმძღვანელად. ხოლო, ეს ჩარკვიანის მაგივრად, აბა, თუ მიხვდებით ვინ დაინიშნა გამომცემლობა „საქართველოს“ თავმჯდომარედ? ვინ და... ინტრიგების მთავარი მქსოველი, ავყია და დიდი „პატრიოტი“ გურამ მელენტის-ძე პეტრიაშვილი, მააშ?! არადა, ბატონ გურამს, როგორც უზენაესი საბჭოს დეპუტატს, ადმინისტრაციული თანამდებობა კანონით ეკრძალებოდა! მაგრამ... ეს არ არის ახლა მთავარი. მთავარი ის არის, რომ მიუხედავად პრეზიდენტ გამსახურდიას სიტყვიერი ბრძანებისა, გურამ პეტრიაშვილმა ჯანსუღ ჩარკვიანის თანამდებობიდან წასვლის მეორე დღესვე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საქართველოს მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს წერილით მიმართა, სადაც ეწერა – პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა გამომცემლობა „საქართველოს“ კუთვნილებაში მყოფი ავტომანქანა გაიტაცაო!!!

**ეგ კიდევ არაფერი... ბატონი პეტრიაშვილი გამსახურდიას აიძულებს – დაარსდეს პრეზიდენტთან არსებული საგამოძიებო საქმეთა კომიტეტი და თავმჯდომარე თავად გურამ პეტრიაშვილი დანიშნეს!!!**




გამსახურდიამ ის „კაპრიზიც“ შეუსრულა ბატონ გურამ და იცით, რატომ?

იმიტომ, რომ ზვიადი ბუნებით ძალიან რბილი და დამთმობი იყო! თანაც ჭირის დღესავით სძულდა „შარა-შარა“ მოყვირალი „პეტრიტალები“ და ის პატივმოყვარე ადამიანები, ვინც გუშინ ერთ მზეზე ლოცულობდნენ და ღამით კიდევ, ათას ვარსკვლავებზე! მეტიც, ზუსტად ვიცი, თავის ახლობლებს ეუბნებოდა: „პეტრიაშვილი არ დამანახოთ კაბინეტშიო“!

ისე, ბატონი გურამი ღვარძლიანი კაცი, რომ არის იქიდანაც ჩანს, რომ ვინც მისი კარიერული აღმასვლა განახორციელა, სწორედ იმ ადამიანებს მისდგა და აგინა „რუსეთუმეების“ ეგიდით!

ჯერ ერთი და... ელდარ შენგელაიას „დასცხო“ – ცოლი რუსი რატომ გყავსო? და, ეს მაშინ, როცა თავად პეტრიაშვილის მეუღლე უკრაინელი ქალბატონი გახლდათ!

მერე რეზო ესაძეს მიადგა, „ხუნტას“ უჭერ მხარსო!

ახლა ვირტუოზ მევიოლინე ლიანა ისაკაძეზე აღარაფერს ვამბობ როცა თქვა: „ოი, ისეთი კონცერტი მქონდა „ხრამში“ („ხრამ“-რუსულად ტაძარი) რომ მიადგა და უთხრა –„ხრამ“ რუსული სიტყვაა და როგორ გაბედე მისი თქმაო?! არადა, ელდარმაც და რეზომაც – ერთი შეუხედავი, გიჟის გამომეტყველებიანი კაცი, ფილმებში „ცისფერი მთები“ და „ნეილონის ნაძვის ხეში“ მიიწვიეს და არაფრისგან ცნობილი მსახიობი გამოძერწეს!

ბატონო გურამ, როცა ბრძანებთ: „მაგ ქალბატონს წერა-კითხვას დავავიწყებო“, ნუთუ ამას სერიოზულად ამბობთ? კარგი, წერას დამავიწყებთ, მაგრამ „აქედან“, ანუ თავიდან რომ ვერ ამომიშლით იმ ყველაფერს, რაც თქვენისთანებზე ვიცი და მახსოვს, ამას რა ვუყოთ?

იცით მე, თქვენი „შედევრებიც“ მახსოვს, აი, მაგალითად თუნდაც ეს:

„ეჰ, ძროხავ, ძროხავ,
კუდით ჰაერში
ვარდებს რომ ხატავ...“

ისე, რა მაგის პასუხია და ვიდრე თქვენ უკრაინაში ბრძანდებოდით, „თქვენმა ძროხამ“ ხბო მოიგო, ანუ თქვენგან უნუგეშოდ მიგდებულმა საქართველომ სააკაშვილი და მისი დანიშნული ოპოზიცია „მოიგო“ და რა გასაკვირია, მთელი ამ წლების განმავლობაში ყველა ერთად „კუდით ჰაერში ვარდებს რომ ხატავენ“, – არა?

შე დალოცვილო! შალვა ახლა კი არ ამბობდა: „სააკაშვილი და ივანიშვილი ერთი ბანდის წევრები არიან“, შენს ჩამოსვლამდე ამბობდა და იცი, რა მაინტერესებს? 2008 წლის არჩევნებში მონაწილე, მაშინდელი და დღევანდელი „ლეიბორისტი“ გურამ პეტრიაშვილი კიევიდან ბიძინა ივანიშვილს რას ეტენებოდი და მას ლამისაა „მესიად“ რატომ აცხადებდი? ანდა, რომ ამბობ: „მე ყველაფერი გამოვცადე, შიმშილი, უსახლკარობა, უმუშევრობა და ერთადერთი რაც არ გამომიცდია – სიკვდილიაო! ალბათ, უნდა მოვმკვდარიყავი მე და მაშინ იქნებოდა კმაყოფილი ის ქალბატონი! ო, შენ რაც უკვე გაგახსენე და რაც ჯერჯერობით არ გამიხსენებია, ამის შემდეგ თავი ცოცხალი გგონია?

**კარგი, ჩამოხვედი საქართველოში და ღმერთმა გაგიმარჯოს, მაგრამ 2000 წლის ამნისტიის შემდეგ რატომ არ ჩამობრძანდი ისევე, როგორც ეს 1997 წ. მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ გააკეთა, როგორც უამრავმა ე.წ. „ზვიადისტმა“ და სამშობლოდან იძულებით გადახვეწილმა სხვა ადამიანებმა გააკეთეს? რაღა მაინცდამაინც არჩევნების წინ ჩამობრძანდი და, ჰოი, საოცრებავ, – დეპუტატობის კანდიდატად მოგველანდე? „რუსთავი-2“-ით მოგველანდე და ამის შემდეგ კიდევ მე მიპირებ დაუთოვებას, შე მართლა ნაძირალა?**

შენ და შენისთანები, საქართველოდან რომ გაიხვეტეთ და აქ სამოქალაქო ომი, აფხაზეთი და სამაჩაბლო დაგვიტოვეთ საომრად იცი მაშინ მე, „ნაძირალა დედაკაცი“ სად ვიყავი? „ზვიადისტ“ და „პუტჩისტ“ ორმეტრიან ქართველ ბიჭებს ერთნაირად დავტიროდი, ვიდეოკამერით ხელში, ხან მკვდრებს ვილებდი მათ და ხან ცოცხლებს, 13 წლის ერთადერთ შვილს დავდევდი სოხუმში და ვწყევლიდი იმ დღეს, როცა თქვენისთანები გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე, გაიგე?

**პეტრიაშვილო, შენგან განსხვავებით, მე, ირინე გოგოსაშვილი არასოდეს არც კარიერისტი ვყოფილვარ, არც შოვინისტი, არც პატივმოყვარე და არც ამპარტავანი. მე თუ მძულდა, დღესაც მძულს ის ადამიანები, ვისაც ჩემი სამშობლო სძულდა! მე თუ ვიბრძოდი, ბოლომდე ვიბრძოდი ყოველთვის და შენგან განსხვავებით, ნუგზარ წიკლაურისგან განსხვავებით, უხუცესი „ნაციონალი“ გოგი ოჩიაურისგან განსხვავებით, ეკა ხერხეულიძისგან განსხვავებით, ჩემი პოლიტიკური გემოვნება კუჭის გემოვნებაზე არასოდეს გამიცვლია, გაიგე?**

შე ნაღდო პატრიოტო და უანგარო ადამიანო (როგორც თავს ხშირად უწოდებ), იქნებ აუხსნა საზოგადოებას, რატომ არ იყავი ზვიადის გვერდით მაშინ როცა მას „ხუნტის“ ჯარები დასდევდნენ კუდში? იქნებ იმიტომ, რომ ტყეში თანამდებობებს ველარ გიბოძებდა? ფაქტი ჯიუტია – შენ არც ზვიადისტი იყავი და არც ახლა ხარ „ლეიბორისტი“, შენი სამარადჟამო „სტატუსი“ კარიერისტობაა და ეს ბევრმა იცის!

ახლა ამის შემდეგ კიდევ ერთხელ გიმეორებ – ვინ არის ნაძირალა და მაგრად დასაუთოებელი, მე თუ შენ?

მთელმა საქართველომ იცის ჩემი და ასლან აბაშიძის მეგობრობის ამბავი და აბა, ჰკითხე „ლეიბორისტებს“, რაიმე თანამდებობა, ფული, პატივი მითხოვია და წამიღია ოდესმე მისგან? სწორედ აბაშიძის და ჩემი ერთადერთი სამშობლოს ერთგულებით იყო, რომ შიმშილიც გამოვცადე, ციხეშიც ვიჯექი, სახლიც დამიწვეს და სამშობლოდანაც გამაქციეს შენი მასპინძელი ტელევიზიის პატრონებმა, მაგრამ როდესაც უსამშობლობით სულშეხუთული, 3 წლის შემდეგ საქართველოში დავბრუნდი – შენგან განსხვავებით არავის მივუწვევივარ ეთერში და ათასი კომპლიმენტიც არავის მოუძღვნია ჩემთვის, აღარაფერს ვამბობ – დეპუტატობის კანდიდატობაზე!

და, ერთიც – მე, ტელევიზიაში დიდხანს ნამუშევარი ჟურნალისტი ვარ და ზუსტად ვიცი რა შემთხვევებში უთმობენ, ერთ დროს მიუღებელ ადამიანებს ძვირფას საეთერო დროს და ისიც ხანგრძლივი ქრონომეტრაჟით!

ასე, რომ ჩემთვის ყველაფერი დღესავით ნათელია ალბათ, თქვენც მიხვდით ძვირფასო მკითხველო, „რაღაც-რაღაცებს“ და ახლა ამის შემდეგ გურამ პეტრიაშვილი „დამაუთოვებს“, თითებს დამაჭრის, ნაძირალას მიწოდებს თუ ფეხებსაც ვერ მომჭამს რაიმე მნიშვნელობა აქვს?

**ირინე გოგოსაშვილი**

# darwmunebuli var, rom Cemi dabadebis dRe istoriaSi Seva, rogorc saakaSvilisgan saqarTvelos xsnis dRe!



**„საერთო გაზეთის“ სტუმარია ბატონი თემურ მირიანაშვილი, რომელიც ფართო საზოგადოებამ გაიცნო და დაიმახსოვრა მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრ სააკაშვილისთვის პირდაპირ მიხლილი ფრაზით: „თქვენ გიჟი ხართ, ოფიციალური გიჟი ხართ!“ ბატონი თემური პირველი „ექიმია“, რომელმაც დიაგნოზი დაუსვა იმ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც შემდგომში საქართველოს პრეზიდენტად იქცა.**

**— ბატონო თემურ, საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება და ამ ფონზე რამდენად ლოგიკურად გეჩვენებათ ხელისუფლების ქმედებები.**

— სხვანაირად როგორ უნდა მოიქცნენ?! აკეთებენ იმას, რისი გაკეთებაც შეუძლიათ. ამ ხელისუფლებას შეუძლია, დემოკრატიის აბსოლუტურად ყველა ნორმის დარღვევა, აბსოლუტურად ყველანაირი უნამუსობის კადრება და ყველანაირი კანონის აბსოლუტური დასახიჩრება.

საქმე იმაში გახლავთ, რომ იციან, ოდნავადაც რომ დაუშვან დემოკრატია, ერთი პროცენტიც არ გააჩნიათ გამარჯვების, დამარცხდებიან ნულზე. კატასტროფული მდგომარეობა აქვთ, ისე შეაზიზღეს ხალხს თავი, რომ ქართველი ხალხი და ზოგადად, საქართველოს მოქალაქეები ამათ არავითარ შემთხვევაში არ მისცემენ ხმას — ეს არის გამორიცხული! აკეთებენ იმას, რაც უნდა გააკეთონ და, ეს მთავრობა რომ ყოვლისმკადრებელია, ვიცით, ასე რომ, ყველაფერი ლოგიკურია!

**— გასაგებია, მაგრამ რაც ახლახან ჩაიდინეს ლოპოტას ხეობაში, ეს ხომ ნამდვილად არ არის მათთვის „ლოგიკური“...**

— რა თქმა უნდა, მაგაში გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ესენი, ყველაფერთან ერთად, თან სულელებიც არიან, გიჟები არიან — რამდენი ასეთი დანაშაული აქვთ ჩადენილი, ხომ ვიცით, რატომ გვიკვირს, პირველი შემთხვევაა, მეორე თუ მეათე? აქედან გამომდინარე, რამდენადაც ვიცნობთ ამ მთავრობას, ეს საქციელიც ლოგიკურია, და ტრაგიკული, მაგრამ სრულიად მოსალოდნელი მათგან.

**— ბატონო თემურ, აზრი რომ გამოითქვა, რუსეთის, ანუ პუტინის საამებლად მოაწყეს ეს სპეცოპერაციაო, ამაზე რას იტყვით?**

— ეგ აზრი მეც გამიჩნდა, რომ ახლა, თავისი ჭკუით „ეპადხალიმებიან“ პუტინს, მაგრამ მინდა გითხრათ სრულიად კატეგორიულად: პუტინის გულს, განსაკუთრებით ახლა, წინასაარჩევნო პერიოდში, ვერაფრით მოიგებენ. პუტინი, გარდა იმისა, რომ ამათ იცნობს ძალიან კარგად, საკუთარი ხელისგულივით, საკმაოდ ჭკვიანი კაციცაა და ამათ „წინასაარჩევნო პადხალიმობას“ არ აჰყვება, ასეთ პრიმიტიულ ილეთებზე არ წამოეგება. ასე, რომ, პუტინის ამათთან შერიგება, მე მიმაჩნია, რომ არის აბსოლუტურად გამორიცხული. ესენი ყველას ეპოტინებიან, მაგრამ, ამ შემთხვევაში, რუსეთის გადაბირება თავისკენ არ გამოუვათ არაფრის ფასად.

მე პატარა პროგნოზის გამოთქმას გავბედავ და ვნახოთ, თუ არ ახდეს — ბიძინა ივანიშვილის გამარჯვებიდან არცთუ დიდ ხანში დაიწყება საქართველოს გაერთიანების პროცესი.

რუსეთს არ სჭირდება ჩვენი ორი პატარა მიწის ნაგლეჯი, 17 მილიონი კვ/მ მიწა აქვს. თავიდანვე, ჩვენს ე.წ ეროვნულ მოძრაობას პროვოკაციული პოლიტიკის წარმოება რომ არ დაეწყო რუსეთის მიმართ ამერიკის დაკვეთით, არც აფხაზეთის პრობლემა დაგვიდგებოდა და არც სამხრეთ ოსეთის.

ხალხს ეგონა, რომ დასავლეთი ფანტასტიკური სამყარო იყო, მაგრამ დღეს ხომ ხედავს იგივე ხალხი, რომ ინგრევა დასავლეთი...

**— რას გულისხმობთ დასავლეთის დანგრევაში.**

— ეს რომ განვმარტო, ძალიან შორს წავალთ, მაგრამ შევეცდები მოკლედ ვთქვა. კაპიტალიზმის ეკონომიკური კრიზისები, თითქმის ორასი წელია გრძელდება პერიოდულად. პირველი ეკონომიკური კრიზისი 1825 წელს მოხდა — მარქსმა თქვა და მანვე იწინასწარმეტყველა 40-იან წლებშივე, რომ კრიზისი განმეორდება ყოველ 10-15 წელში — ეს ახდა. დააკვირდით, არასოდეს ყოფილა ისეთი ხანგრძლივი კრიზისი, როგორიც მიმდინარეობს დღეს, მეექვსე წელიწადია გრძელდება. ყველაზე ხანგრძლივი „დიდი დეპრესია“ იყო, რომელიც გაგრძელდა სამ წელს 1929-1933 წლებში. დღევანდელი კრიზისი გრძელდება უკვე 6 წელია, დასასრული არ უჩანს და არც დასრულდება. ისევ მარქსის თეორიით — როდესმე იქნება საბოლოო კრიზისი, რომელიც დასრულდება კაპიტალიზმთან ერთად. დღევანდელი კრიზისი, ყველა ნიშნის მიხედვით, არის საბოლოოო კრიზისი — ინგრევა დასავლური სამყარო, მთავრდება კაპიტალიზმი, ესენი კიდევ მკვდარს აეკიდნენ...

**— სამარემდე მათრიეო?...**

— რატომ უნდა ჩავყვეთ სამარეში, როცა აგერ გვყავს შეჩვეული მეზობელი, რომელთანაც 200 წელი ვიცხოვრეთ და თან, ვიცხოვრეთ დიდებულად.

**— თქვენს ამ სიტყვებზე ის ანტისარეკლამო რგოლი გამახსენდა, ახლა რომ ტრიალებს ტელეეკრანებზე, „აი, ასეთ წარსულში გპირდებათ ივანიშვილი დაბრუნებასო“ და საქართველოს ჩაბნელე-**



**ბულ უახლოეს წარსულს აჩვენებენ და „რატომღაც“ წლების მითითება აქვთ დავიწყებული...**

— უნდა აჩვენონ, დიახ. ახალგაზრდებს არ ახსოვთ, მაგრამ უფროს თაობას ხომ ახსოვს ეს რომელი დროცაა — საბჭოთა კავშირი რომ ინგრეოდა. ის უჩვენონ, ბინებს რომ ურიგებდნენ ხალხს უფასოდ; რომ უფასო იყო განათლება, უფასო იყო ჯანდაცვა, უფასო იყო დასვენება, მიზერული იყო ტრანსპორტის ფასი და ა. შ

— ამაზე კრინტს ძრავენ ეგ ნაძირლები?

**— თქვენი განწყობა გასაგებია, ამდენად 1 ოქტომბერთან დაკავშირებით რაღა უნდა გკითხოთ, უბრალოდ, აღვნიშნავ ხალხის აზრს, ბიძინა ჩოლოყაშვილის ხსენების დღეა და ხელისუფლებამ უნებლიე საჩუქარი გაუკეთა ბიძინა ივანიშვილს...**

— ცნობილია, რომ ბატონი პრეზიდენტი გადამეტებულ მნიშვნელობას ანიჭებს სიმბოლიკას და მისტიკურ თანხვედრებს ხელოვნურად ქმნის. ჯერჯერობით უცნობია, რა „დატვირთვა“ ჩადო, მაგრამ, როდესაც 1 ოქტომბერს დანიშნა არჩევნები, მხოლოდ შემდეგ გაიგო თვითონ მანაც და მისმა ამფსონებმაც, რომ ეს დღე ბიძინა ჩოლოყაშვილის ხსენების დღე ყოფილა — „ბიძინობა“ და გადაირივნენ, შემოიხიეს ტანისამოსი, მაგრამ რაღას იზამდნენ, თან, გარკვეული მიზეზების გამო გადატანაც არ შეუძლიათ. ამას გარდა, 1 ოქტომბერი ჩემი, თემურ მირიანაშვილის, სააკაშვილის დაუძინებელი ოპონენტისა და „ექიმის“ დაბადების დღეა და რა ვიცი, იქნებ მე „მომიძღვნა“ — (ვხუმრობ, რა თქმა უნდა). შემდეგი კვირა 7 ოქტომბერია და არჩევნების ამ დღეს დანიშვნა არ უნდოდათ, რადგან „7“ ბიძინას რიცხვია. — არაჯანსაღი ფსიქიკის ხალხთან გვაქვს საქმე, ხომ ხედავთ.

**— ბატონო თემურ, რა სახის საჩუქარი გინდათ რომ მიიღოთ დაბადების დღეზე.**

— ბიძინა გაიმარჯვებს და ეს იქნება ჩემთვის ყველაზე უკეთესი საჩუქარი! მიხეილ სააკაშვილს მოაშორებს ბიძინა ივანიშვილი. ეს მალე მოხდება!

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ბევრი რამ. რამდენიც ჩემი დაბადების დღე მახსოვს (და ბევრი მახსოვს), ყოველთვის კარგი დღე იყო ჩემთვის, მისრულდებოდა ჩემთვის მნიშვნელოვანი ან სერიოზული სურვილები, იმედები, ამდენად, არ მგონია, რომ წლევანდელმა 1-მა ოქტომბერმა მიღალატოს. ძირითადი საფუძველი არის, ჩემი, ასე ვთქვათ, ინტუიცია და სურვილი. გარდა ამისა, ამის თქმის საფუძველს მაძლევს თვით ივანიშვილის პიროვნება და მისი საქმიანობა არა მხოლოდ ბოლო ერთი წლის მანძილზე. ალბათ, თხუთმეტი წელი მაინც იქნება, რაც ამ პიროვნებას, პირადად არა, მაგრამ ვიცნობ და ვაკვირდები მის საქმიანობას. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ იგი არის უაღრესად ბრძენი და კეთილშობილი კაცი.

მოკლედ რომ ვთქვა, იმედი მაქვს, რომ ჩემი დაბადების დღე ისე ჩაივლის, რომ გამიხარდება...

**— დაბადების დღეს ხომ ვერ დაგიყადაღებენ და...**

— დამიყადაღოს, წაიღოს, კაცო!... დაბადების დღე იშვიათად მაქვს აღნიშნული, მაგრამ წელს, იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი დაბადების დღე ისტორიაში შევა, როგორც სააკაშვილისგან საქართველოს ხსნის დღე!

**მაია ჭელიძე**

## ჯუმბერ ლეჟავა ლონდონში საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელებზე ნაწყენია



ცნობილი ქართველ მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, რომელმაც დღეს კოალიცია “ქართულ ოცნებას” მხარდაჭერა გამოუცხადა, ლონდონში საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელებზე ნაწყენია.

როგორც მან დღეს ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრისას განაცხადა, იგი ლონდონის ოლიმპიადაზე რამდენიმე ქვეყნის გავლით, ველოსპიედით ჩავიდა. თითოეულ ქვეყანაში, ყველგან საპატიო დახვედრას უწყობდნენ საზოგადოების წარმომადგენლები თუ ქალაქის მერები, ლონდონში კი მას ქართული დელეგაციის ხელმძღვანელები დაემალნენ და არაფრად ჩააგდეს. ლეჟავას თქმით, მას საფრანგეთში “მოგზაურობის მეფეც” შეარქვეს.

“ნაწყენიც ვარ, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია”, - განაცხადა ლეჟავამ და დასძინა, რომ ხელისუფლებისადმი მისი პირადი წყენა არ არის ის მიზეზი, რის გამოც მან ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერა გამოუცხადა.

“რაც ჩამოვედი, ვხედავ, რომ ცალ კარში თამაშია... საერთოდ, მე მოძალადე ხალხს ვერ ვიტან... მე ვფიქრობ, დავუდგე იმ მხარეს, რომელიც მართლა ხელ-ფეხ შეკრულია და უნდა იბრძოლოს გამარჯვებისათვის. ვფიქრობ, რომ ბრძოლაც არ იქნება საჭირო, ისე დამარცხდებიან ისინი, თვითონ იმარცხებენ თავის ასეთი მოქმედებებით. ქართველი კაცის მიზანი ყოველთვის იყო სამშობლოს დამოუკიდებლობა და ხალხის თავისუფლება. ამიტომაც იყო, რომ დიდი სურვილი ჰქონდა ქართველ ხალხს გამარჯვების და 400-ზე მეტი გამარჯვება გვაქვს მოპოვებული. ეს დიდი ისტორიაა. ქართველი ხალხი მიჩვეულია თავისუფლებას და არა ისეთ მარწუხებში ყოფნას, როგორიც ახლაა. არ არის სასამართლო, არ არის კანონი”, — განაცხადა ლეჟავამ და ხელისუფლების მიერ კოალიციის წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკა “არასწორ დამოკიდებულებად” შეაფასა.

ბიძინა ივანიშვილმა ლეჟავა დადებით პიროვნებად დაახასიათა და განაცხადა, რომ ხელისუფლებას სწორედ ამ უკანსკნელიისნაირი თავისუფალი ადამიანების დამონება სურს.

“ასეთი ხალხის დამონება უნდა... თვითონ ველოსიპედითაც ვერ დადის და ამან მსოფლიო შემოიარა”, - განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა: ხელისუფლებას როგორც ჩანს არ ჰყოფნის ჭკუა იმის მისახვედრად, რომ მსგავსი ადამიანების დაპყრობას ვერ მოახერხებს.

**„მედიანიუსი“**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# Cxrorowyuelebi koalicia `qarTul ocnebaze~ did imedebs amyareben

**ვესაუბრებით კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატს ჩხოროწყუს რაიონში ბატონ ლევან იზორიას**

**— ბატონო ლევან, რა ხდება დღეს ჩხოროწყუში, თქვენ ამ კუთხის მკვიდრი ბრძანდებით და არაფერი გამოგეპარებათ, რა გაკეთდა ამ რაიონში მთელი რვა წლის განმავლობაში და რის მოლოდინშია ხალხი?**

— როგორც მაჟორიტარობის კანდიდატმა, რაიონში აქტიური მუშაობა ამ კუთხით დავიწყე 22 ივლისს და მას შემდეგ ერთი დღითიაც არ შემიწყვეტია. დღე-



ში მაქვს 4 შეხვედრა, შევხვდი უკვე დაახლოებით 2700 ამომრჩეველს, რომელთაც გავაცანი ქვეყანაში არსებული სიტუაცია და მათ შორის ჩვენი პარტიის პროგრამასაც ვაცნობ. უნდა გითხრათ, რომ მოსახლეობის ინტერესი ამ არჩევნებისადმი არის ძალიან დიდი და მათ შორის „ქართული ოცნების“ მიმართ, რადგანაც ამ კოალიციაში ისინი ხედავენ ხელისუფლების შემცვლელ რეალურ ძალასა და ალტერნატივას, რაც გარკვეულწილად ჩვენი ლიდერის საქმიანობასა და წარმატებას უკავშირდება. ხალხი კარგად ხედავს, რომ მათ ცხოვრებაში მთელი რვა წლის განმავლობაში არანაირი წინსვლა და უკეთესობა არ არის, პირიქით, უფრო გაღატაკდნენ. შეიძლება ჩხოროწყუს ხალხი „მაესტროს“ და სხვა არხებს ვერ უყურებს, მაგრამ მათი ინფორმაციის მთავარი წყარო ის რეალობაა, რომელშიც ისინი დღეს ცხოვრობენ. უმეტესობას მაინც ხომ აქვს სახლში მაცივარი და ხომ ხედავენ რომ ის ცარიელია? ეს სიდუხჭირე, არის მისთვის ინფორმაციის მთავარი წყარო! ყოველივე ამის ფონზე კი დიდია მოსახლეობის ინტერესი ცვლილებებისადმი, ისეთი შეცვლისადმი, რომელიც მათ ცხოვრებას გაუადვილებს. ფაქტობრივად, აქაური ამომრჩეველი დაიღალა, შეუსრულებელი დაპირებებისაგან, რომელსაც ისინი მთელი რვა წელია დაუსრულებლად ისმენენ. მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ არც ერთი დაპირება რაც ხალხს ამ რეგიონში დაპირდნენ — დღემდე არ შესრულებულა!

სიღატაკეს დავძლევთ — ამბობდა სააკაშვილი, დღეს ჩხოროწყუში 1000 ადამიანი იღებს სოციალურად დაუცველის 30 ლარიან შემწეობას, ხოლო 5 000 კაცი კი რიგშია. გამოდის 6 000 კაცი ღატაკია, სიღარიბის ზღვარს მიღმაა — ეს არის სიღარიბის დაძლევა? ამას დაუმატეთ 7 000 პენსიონერი, რომელსაც 100 ლარიანი პენსია აქვს, მომატებული ფასების კვალობაზე ისინი კარგ **მდგომარეობაში არიან? ცხადია — არა! ჯამურად თუ ვიტყვით, ჩხოროწყუს მოსახლეობის ნახევარზე მეტი — ღატაკია! ასეა მთელ საქართველოში.**

გავიხსენოთ ხელისუფლების შემდეგი დაპირება უმუშევრობის მოსპობა, დაასაქმეს აქ ხალხი? გახსნეს აქ საწარმოები, ქარხნები, ფაბრიკები? სად უნდა დაესაქმებინათ ხალხი? არ იყო ეს ტყუილი შეპირება? მოსახლეობის ერთი პროცენტიც კი არ არის აქ დასაქმებული. თვითდასაქმებული ტერმინი რომ შემოიღეს, საკუთარ კარმიდამოზე მომუშავე გლეხებისათვის, ამას კლასიკურ დასაქმებასთან არანაირი კავშირი არ აქვს. გლეხი საკუთარ მიწას ისედაც მიხედავს, მთავარია, რომ ისინი არავის მიერ არ არიან დაქირავებულნი და არ იღებენ არანაირ ხელფასს.

**სწორედ ეს ყველაფერი რაც ჩამოვთვალე, უმუშევრობა და უსახსრობა იმდენად მძიმე ასატანია უკვე ხალხისათვის, რომ სურთ ცვლილებები, დაპირებები, ოღონდაც ისეთი პიროვნების მხრიდან, ვინც მას რეალურად შეასრულებს და კვლავ „ნაციონალებივით“ არ მოატყუებს.**

ტყუილებით დაიღალა ხალხი! სურთ ხელისუფლებაში იხილონ პასუხისმგებლობის მქონე პატრიოტი პიროვნება, ვისაც უყვარს თავისი ერი და ქვეყანა. ასეთად კი ისინი მიიჩნევენ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც აქამდე დაპირებები არ გაუცია, მაგრამ რეალური საქმეები უკეთებია. ტყუილი „ლენტების ჭრა“ ნაციონალებისთვისაა მხოლოდ დამახასიათებელი, დაპირებები კი დემაგოგიაზეა აგებული.

რაც შეეხება ჩვენს დაპირებებს, ეს გახლავთ სოციალური სფერო, ჯანდაცვა, დასაქმება, სოფლის მეურნეობის აღორძინება და განათლების ხელმისაწვდომობა.

რეალურ მაგალითებს მოგიყვანთ, რაც დღემდე გააკეთეს ჩხოროწყუში. ააშენეს პატარა კლინიკა, 15 ადგილიანი — 30 000 სულ მოსახლეზე, თანაც მრავალპროფილიანი, სადაც ინფექციური დაავადების მქონე პაციენტი შეიძლება მშობიარე ქალის გვერდით აღმოჩნდეს, თანაც 1 დღე-ღამე მკურნალობა ღირს 80 ლარი. ასეთი რამ აქაურ მცხოვრებთა 90 პროცენტისათვის ხელმიუწვდომელია. ავადმყოფები ძირითადად მაინც მიდიან ზუგდიდში ან ქუთაისში.

უფრო მეტი, ფაქტებსაც გეტყვით. ერთ-ერთი აქაური პაციენტი სულ ცოტა ხნის წინ აქ იმიტომ გარდაიცვალა (მოქალაქე ვახტანგ გოგუა) რომ 18 000 ლარი მოსთხოვეს ოჯახს მკურნალობისათვის ქუთაისის საავადმყოფოში. მისმა ოჯახმა ეს თანხა ვერ შეაგროვა მოკლე დროში, ვერავინ მას ვერ დაეხმარა და ის გარდაიცვალა. ჩემი აქ ყოფნის პერიოდში მეორე ასეთი შემთხვევაც ვიცი, როცა სამკურნალო ფულის უქონლობის გამო ჩხოროწყუში ხალხი იღუპება, ამას ხომ მთელ საქართველოში მასიური ხასიათი აქვს. კოალიცია „ქართული ოცნება“ კი ვთავაზობთ ამ ხალხს უფასო ჯანდაცვას;




**— ჯანდაცვის საქმეში დახმარებას და დაპირებებს „ნაციონალებიც“ იძლევიან, რა სხვაობაა თქვენსა და მათ დაპირებებს შორის?**

— ძალიან კარგი კითხვაა, აგიხსნათ. ჩვენ ხალხს ჯანდაცვის სფეროში ვთავაზობთ სისტემურ ცვლილებებს. მილიარდები კი არ წყვეტს საქმეს სისტემის გამართვაა მთავარი. სისტემურ ცვლილებაში კი იმას ვგულისხმობ, რომ ხალხს კერძო სადაზღვევო კომპანიები კი არ უნდა აზღვევდეს, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა ხდებოდეს თანხების გადარიცხვა სამედიცინო დაწესებულებებში. ესენი კი კერძო სადაზღვევო კომპანიებს ამდიდრებენ დღეს, რომელთაც საწყალი ხალხის ხარჯზე — მილიონები იშოვეს!

ჩხოროწყუს მოქალაქეებიც ასევე ამბობენ, რომ (დზღვეულები ვინც არიან) მართალია დაზღვეულები ვართ, მაგრამ გარკვეული მომსახურებისათვის თანხას გვახდევინებენო. რას ნიშნავს ეს? ნახევრად არიან დაზღვეულები? ვინ დაუწერა მათ ეს კანონი? ეს არის სწორედ სისტემის გაუმართაობა, ხალხს ისინი ატყუებენ, ყველმ ხომ არ იცის დაზღვეულის უფლებები. ესენი კი სარგებლობენ და ხალხს „სძარცვავენ“ ამ მეთოდით ან სულაც კლავენ, იმის გამო რომ ფული ვერ **გადაიხადეს ეს არის დღევანდელი ჯანდაცვა, საიდანაც კარგად ჩანს, რომ სადაზღვევო სისტემა დღეს ხალხის ჯანმრთელობას სამსახურში კი არ დგას და მათ კი არ ემსახურება, არამედ კერძო კომპანიების გამდიდრებას ემსახურება** მხოლოდ. ასევე, ამ კომპანიების ხელშია დღეს ფარმაცევტული ბიზნესიც, კლინიკებიც, დისტრიბუციაც, სააფთიაქო ქსელიც და ყველაფერი. ასეთი მონოპოლია არსად არ არსებობს დღეს მსოფლიოში და ასეთი ჯანდაცვის სისტემის პირობებში ჩადებული მილიარდები — როგორც ამას ხელისუფლება ჰპირდება ხალხს — არის ისევ მონოპოლიებისა და ელიტური კორუფციის გამყარება და მეტი არაფერი. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, სისტემა უნდა შეიცვალოს, რომ ხალხმა შვება იგრძნოს და დაცულად იყვნენ — აი, ასეთ პირობებში შეიძლება მხოლოდ ის, რომ ჯანდაცვა ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს.

**— ჩხოროწყუში თქვენამდე ვინც იყო დეპუტატი რაიმე თუ გააკეთა, რომელიც შეგიძლიათ დაასახელოთ?**

— მთელი ოთხი წლის განმავლობაში საპარლამენტო დარბაზში ერთხელაც კი არ გაჟღერებულა ამ რეგიონის პრობლემები. ამჟამად კი ვინც გახლავთ „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი, ის აქამდე იყო ფოთის მერი, რომელმაც კერძო მესაკუთრეებს საკუთრებები დაუნგრია ყოველგვარი სამართლებრივი აქტის გარეშე ანუ საკუთრება არამართლზომიერად იქნა ჩამორთმეული. ამჟამად ამ საკითხს სწავლობს კომისია. ისიც მინდა გითხრათ, რომ ასეთი ფაქტები ერთი და ორი კი არ გახლავთ, არამედ არის ასეულობით. ეს აქ არავის უკვირს იმიტომ, რომ ნაცმოძრაობის სტილია. ასეთი საქმეების მკეთებელი კაცი კი დღეს ჩემი კონკურენტია ამ რეგიონში.

**— თბილისში საარჩევნო უბნებზე ჩატარებულ კომისიის პირველ სხდომას, უკვე მოჰყვა გაუგებრობები, გამოიკვეთა ის, რომ „ნაცმოძრაობას“ „ქართული ოცნების“ გარდა სხვა პარტიები ფაქტობრივად მოსყიდული ჰყავს, გადაბირებული, იქნებ გარიგებულიც, არ გაგიჭირდებათ ასეთ პირობებში საარჩევნო დღეს ოპოზიციას მუშაობა? ხომ არ იცით, იქნებ კიდევ რა სურპრიზებს გთავაზობენ ხელისუფლების წარმომადგენლები?**

— ამ მხრივ გაუგებრობები აქაც გამოვლინდა, დავაფიქსირეთ ასევე ისიც, რომ სიებში იყვნენ ბევრი გარდაცვლილები და გამოვავლინეთ ისინი. პრაქტიკულად სიებს ყოველდღიურად ვაზუსტებთ და რეაგირებას ვახდენთ. თუმცა, არჩევნების დღეს მე ხალხის იმედი მაქვს, იმ ხალხის, ვინც უკეთ იცნობს თავის უბანს და ისინი მტკიცედ დაიცავენ ხმებს. ჩხოროწყუ არ არის დიდი ქალაქი, სადაც ერთი ადამიანი მივა და მეორე უბანშიც მისცემს ხმას. აქ ყველა ერთმანეთს იცნობს, კომისიაში კი ისეთი ხალხი გვყავს, რომ ვერაფერს გაბედავენ, ამხელენ ყოველგვარ დარღვევას. მე ამის იმედი მაქვს.

დაბოლოს მინდა შევახსენო ყველას ჩვენი კოალიციის დევიზი — ამ არჩევნებში ჩვენ არცერთ ხმას არ დავთმობთ, და თუ გაყალბებას შეეცდებიან, კონსტიტუციით გათვალისწინებულ პროტესტის ყველა ფორმას გამოვიყენებთ. ამ ეტაპზე, სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ ამ არჩევნებში მე ხალხის დიდი იმედი მაქვს. ყველა ერთად უნდა შევეცადოთ, რომ ცხოვრება შევცვალოთ, მომავლის იმედი დაუბრუნდეს ხალხს.

**ეთერ კასრელიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## მსოფლიო პრესის მიხედვით

ქვეყანას ცვლილებები სურს და სჯერა ოპოზიციის ახალი ლიდერისა, რომელიც განიხილება არა როგორც მოსკოვის კაცი, არამედ ყოვლისმომცველი ფილანტროპი, – წერს **Le Monde**-ში გამოქვეყნებულ წერილში საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. ,,საქართველოს სურს ხელისუფლების შეცვლა. მიხეილ სააკაშვილმა ომის შემდგომ განვლილ პერიოდში ვერ მოახერხა და აღედგინა რეპუტაცია, მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით ეწევა ომში თავისი გამარჯვების შიზოფრენიულ პროპაგანდას“, – აღნიშნავს ავტორი.

ქვეყანას სურს ხელისუფლების შეცვლა რადგანაც:

უკვე 8 წელია, პრეზიდენტის პარტიას პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს;

ეს მას საშუალებას აძლევს, კონსტიტუციას ისე მოექცეს, როგორც სურს;

ანგარიშს არ უწევს ოპოზიციას, რომელსაც პარლამენტში სულ რამდენიმე ადგილი აქვს გამოყოფილი.

,,განუყოფელმა ძალაუფლებამ ომამდე და სიღარიბემდე მიიყვანა

# saqarTveloSi saakaSvilis despotizms bolo unda moeRos



ქვეყანა, რომელსაც ხელისუფლება სხვადასხვა ფერისა და მოდერნისტული კონსტრუქციებით ალამაზებს პოტიომკინის სოფლების მსგავსად და ამით საქართველოს გავლით ჩამოსულ უცხოელებს აკვირვებს“, – აღნიშნავს ზურაბიშვილი.

,,ჩვენ ვუახლოვდებით გადამწყვეტ არჩევნებს, რომელიც დაგვანახვებს – ეს ხელისუფლება, ვლადიმერ პუტინის მოდელის მიბაძვით, მუდმივად დარჩება თუ მთელი ოპოზიცია საიმედო, ფინანსურად უზრუნველყოფილი ლიდერის გარშემო დაირაზმება და ხელისუფლების დემოკრატიული გზით შეცვლის პირობებს შექმნის“, – წერს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი.

ხელისუფლების უამრავი კანონდარღვევა, ოპოზიციაზე ზემოქმედება და დისკრიმინაცია ნაკლებადსანდო გამოკითხვებზე უკეთ აჩვენებს, რომ ახლანდელი ხელისუფლება დარწმუნებული არ არის გამარჯვებაში და იგი მზად არის, როგორც თავად სააკაშვილი ამბობს, საამისოდ ყველა საშუალება გამოიყენოს. ,,ჩვენ კვლავ ვხედავთ მილიტარისტულ ვიდეორგოლებს ტელეარხებზე, მხურვალე განცხადებებს, მათ შორის, მიხეილ სააკაშვილის 29 აგვისტოს განცხადებას: ,,ჩვენ არაფერს დავთმობთ“.

,,საზღვარზე ხდება საეჭვო ინციდენტები: რუსეთის საზღვრის სიახლოვეს, შეიარაღებულმა დაჯგუფებამ მძევლად აიყვანა ახალგაზრდა ქართველი ბიჭები. იმავდროულად, დაღესტანში მომხდარ ტერაქტს რუსეთის შეიარაღებული ძალების მობილიზაცია მოჰყვა. ახალგაზრდები გაათავისუფლეს. საქართველოს სპეცსამსახურებმა დაიწყეს ოპერაცია, რომელიც შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრის მოკვლით დასრულდა. ბრძოლები გრძელდება“, – წერს სალომე ზურაბიშვილი. საქართველოს მოსახლეობა სოციალურ ქსელებში წერს, რომ მომხდართან დაკავშირებით ხელისუფლების განმარტებები დამაჯერებელი არ არის, ვკითხულობთ წერილში.

**Le Monde**

# brZola samxreT oseTis damoukideblobisTvis?

2008 წლის აგვისტოში რუსეთმა ისარგებლა ორი ხალხის – ქართველებისა და ოსების მტრული დამოკიდებულებით და თავისი წესრიგის დასამყარებლად ინტერვენცია განახორციელა, წერს სტეფანო მანი **L Indipendenza**-ში გამოქვეყნებულ წერილში.



,,ჭკუის სასწავლებელი იქნებოდა, დავუბრუნდეთ ოთხი წლის წინანდელ სამხედრო კონფლიქტს. იტალიელმა საზოგადოებრიობამ. ზაფხულის სეზონისა და ოლიმპიური თამაშების გამო, სათანადო ყურადღება ვერ მიაპყრო ამ კონფლიქტს. იტალია, მართალია ნატოს წევრია, მაგრამ მიუხედავად ამისა, აგვისტოს კონფლიქტის შესახებ პრესაში მხოლოდ რუსეთის ოფიციალური ვერსია იბეჭდებოდა...

ჩნდება ეჭვი იმ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ პირველმა წამოიწყო საომარი მოქმედებები. 8 აგვისტოს, კონფლიქტის 4 წლისთავზე, პუტინმა განაცხდა, რომ საქართველოში შეჭრის გეგმა 2006 წელს უკვე მზად ჰქონდათ მათ. ოს სეპარატისტთა შეიარაღებული ფორმირებები რუსეთის მეთურობით მოქმედებდნენ და ჰქონდათ განზრახვა, წამოეწყოთ ომი საქართველოსთან და რეგიონიდან ქართველები გაეძევებინათ“.

,,რა იყო ეს: ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის თუ რუსული იმპერიალიზმი?

ოსეთის მაგალითს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნიმუშად ასაღებენ. გახდა კი იგი დამოუკიდებელი?

დღესდღეობით, სამხრეთ ოსეთში სახელმწიფო ენა რუსულია, ვალუტა რუბლია, პასპორტი რუსულია, საქართველოსთან საზღვარი ჩაკეტილია, რუსეთთან კი – გახსნილი. სინამდვილეში, სამხრეთ ოსეთი იმის ტიპიური მაგალითია, რას ნიშნავს სტრატეგია – ,,დაყავი და იბატონე“. მოსკოვმა ისარგებლა ქართველებისა და ოსების დაპირისპირებით, შეიყვანა თავისი არმია რეგიონში და თავისივე წესრიგი დაამყარა. რუსეთმა მოახერხა და თავისი ყოფილი ,,პროვინცია“ (საქართველო) დააშოშმინა, დაანაწევრა მისი ტერიტორია და თითქმის თბილისის მისადგომებთან რუსული არმია განათავსა.

ნუთუ ეს არის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა?

**L Indipendenza**

# `vardebis revoluciis~ bneli mxare

საქართველოს საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო და უფრო მძაფრდება დაპირისპირება მმართველ ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და ოპოზიციას შორის, რომელსაც მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი უდგას სათავეში. ეს დაპირისპირება სერიოზული გამოცდაა საქართველოსთვის, რომელიც ლიბერალური ეკონომიკის, უცხოური ინვესტიციებისთვის ღია ქვეყნის რეპუტაციის შექმნას ცდილობდა, წერს ჟურნალისტი მაიკლ სესაირი **Financial Times**-ში.

ათწლეულზე ნაკლებ დროში, საქართველომ საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს შორის კორუფციასთან ბრძოლაში წარმატებას მიაღწია, აღნიშნავს წერილის ავტორი. ,,საქართველოს და ფინეთს, ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული პოლიციის შესაბამის რეიტინგში, ერთი და იგივე ადგილი უკავიათ“, – ავტორს მოჰყავს **Renaissance Asset Managers**-ის ხელმძღვანელის პლამენ მონოვსკის სიტყვები.

შეფასებები ამით არ მთავრდება: სააკაშვილის ადმინისტრაციას ქვედა დონეზე კორუფციასთან ბრძოლის გამო მართალია, აქებენ, მაგრამ კრიტიკოსები მას ბრალად სდებენ ავტოკრატიულ ტენდენციებში და მაღალ ეშელონებში კორუფციის არსებობაზე მიუთითებენ.



2011 წლის ოქტომბერში მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ არენაზე გამოვიდა როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მოწინააღმდეგე. ივანიშვილს, რომელმაც თავისი კაპიტალი რუსეთში შექმნა, მაშინვე ჩამოართვეს მოქალაქეობა და კრემლის ნდობით აღჭურვილ პირად მონათლეს. 2012 წლის ივნისში, ივანიშვილსა და მის მოკავშირეებზე დაკისრებული არაერთი ფინანსური სანქციის შემდეგ, საქართველოს აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ივანიშვილს ,,ბანკი ქართუს“ აქციების 100 პროცენტი ჩამოართვა. მყიდველი რომ ვერ იპოვა, სახელმწიფომ თავისი კონტროლი დააწესა ბანკზე, განმარტავს სიტუაციას წერილის ავტორი.

ანალიტიკოს მაიკლ ტეილორს მიაჩნია, რომ ბანკის ხელში ჩაგდებით ცდილობენ მიჩქმალონ უფრო სერიოზული პრობლემები. ,,სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის პატარა ჯგუფი აკონტროლებს ქვეყნის კერძო საწარმოების უმეტესობას. თქვენ ინვესტიციის ჩადება შეგიძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მათგანს დაუმეგობრდებით“, – აღნიშნავს ანალიტიკოსი.

მტკიცება იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად ადმინისტრაციულ და საკანონმდებლო მეთოდებს იყენებს, ივანიშვილთან დაკავშირებულ საქმეებს სცდება, ასკვნის ავტორი.

**Financial Times**

# islamisturi daZabuloba daRestans jijgnis



ამ ეტაპზე ჩეჩნეთში მეამბოხეთა მოძრაობა დასუსტებულია, მაგრამ რუსეთის ძალადობა კავკასიაში არ შეწყვეტილა, – წერს გამოცემა **El Pais**. ,,დღესდღეობით, ტერორის ერთ-ერთი ცენტრი დაღესტანია“, – წერს კორესპონდენტი როდრიგო ფერნანდესი, რომელიც იხსენებს სულ ახლახან მომხდარ ტერაქტს – ორი სუფიური საძმოს შეიხის – საიდ აფანდისა და მისი ოთხი თანამოაზრის მკვლელობას.

ბევრი დამკვირვებლის მოსაზრებით, ტრადიციული ისლამის (კავკასიისთვის ყველაზე ტრადიციული სწორედ სუფიზმია) ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი ლიდერის მკვლელობამ შესაძლოა გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქცია და დესტაბილიზაცია მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაში. საიდ აფანდის სიცოცხლის გამო შურისძიებას ბევრი შეეცდება, ამიტომაც ხელისუფლებამ უნდა მიიღოს სასწრაფო ზომები ძალადობის ახალი ტალღის გასანეიტრალებლად. როგორც ჩრდილოეთკავკასიელი, ისე რუსეთელი ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ მკვლელობის მოტივი შეიხის რელიგიური საქმიანობაა – იგი ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობის დაახლოებას ცდილობდა.

ზოგიერთი ექსპერტის ვარაუდით, დაღესტანი სამოქალაქო ომის პირას არის, ხოლო მკვლელობის ორგანიზატორებს სურდათ, დაღუპულის მიმდევრებს ხელში იარაღი აეროთ.

ზოგიერთი მუსულმანური დაჯგუფების წარმომადგენლებს არ სჯერათ, რომ შეიხი ვაჰაბიტებმა მოკლეს. ეს სპეცსამსახურების პროვოკაციას უფრო ჰგავს. საიდ აფანდის მკვლელობით შესაძლოა, დაინტერესებული ყოფილიყვნენ გარეშე ძალებიც, განსაკუთრებით არაბული დაჯგუფებები, რომლებსაც კავკასიაში საამიროს შექმნა სურთ.

ვაჰაბიტები პრობლემებს ქმნიან არა მარტო რუსეთში, არამედ მის საზღვრებთანაც. საქართველო ამტკიცებს, რომ სოფელ ლაფანყურის სიახლოვეს პოლიციას შეტაკება მოუხდა უცნობ წვეროსან მამაკაცებთან. რუსეთის გამოძიების ფედერალური ბიურო უარყოფს მომხდარს. დაღესტნიდან კი იტყობინებიან, რომ ცუნტის რაიონიდან გაქცეულმა მებრძოლებმა თავი სწორედ საქართველოს შეაფარეს.

**El Pais**

**მიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**




# xalxisazriT

ამ დღეების მოძმე მოვლენები რომ შევაფასოთ - ფაქტია, რუსეთს აამა მიშამ!

აბა, სოსო წიკლაურის დედას ჰკითხონ, პატივისცემით დაკრძალული შვილი ურჩევნია თუ ცოცხალი? ისე ირონიით ამბობთ, პატივისცემით დაკრძალესო თითქოს დანაშაული ჩაედინოს. სოსო ძალიან კეთილშობილი ადამიანი იყო და ძალიან დიდი პატრიოტი, ის სამშობლოს სამსახურისთვის ჩადგა ქართული ჯარის რიგებში, თუმცა, საბოლოოდ, ნაცრეჟიმის მსხვერპლი გახდა თვითონ.

"მაესტროზე" ზაზა ხუციშვილს სტუმრად ჰყავდა კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი... მან თქვა, რომ ამ ბოევიკებს, რომლებიც იქ ჩახოცეს, თავად ჩვენი ხელისუფლება წვრთნიდა და ამზადებდა სხვადასხვა საქმისთვის... აი, სწორედ ეს ბოევიკები აუჯანყდნენ ჩვენს ხელისუფლებას და ისინი ჩახოცეს ამ ბანდიტემა, რასაც ჩვენი სპეცრაზმელების სიცოცხლე შეეწირა... აი, ეს არის სიმართლე, თუ გაინტერესებთ... მან ისიც თქვა, რომ ეს ამბავი შეიძლება ასე მარტივად არ დამთავრდეს :((((((

მიუხედავად ნაცპარტიის მიერ გასაიდუმლოებული სცენარისა, მიუხედავად მ. სააკაშვილის არაფხიზელ მდგომარეობაში გაკეთებული გაუგებარი განცხადებისა, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე დღეს განვითარებულმა მოვლენებმა საერთაშორისო საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ საქართველოში არსებული ხელისუფლება კავკასიის რეგიონში დესტაბილიზაციის წყაროა და არჩევნების გზით არსებული ხელისუფლების შეცვლას ალტერნატივა არ გააჩნია. დღევანდელმა დღემ ისევ აგრძნობინა როგორც საქართველოსაც, ისე მის პარტნიორ ქვეყნებს პერმანენტული საფრთხე, რაც საქართველოს ხელისუფლებისაგან მომდინარეობს და გარდაუვალი გახადა საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოების ალიანსი, პროვოკატორი ხელისუფლების წინააღმდეგ.

არავითარ მძევლების აყვანას ადგილი არ ჰქონია, რაში სჭირდებობათ დამატებითი თავის ტკივილი. ჩემთვის გაურკვეველი რჩება ექიმის სიკვდილი. უშუალოდ მოჯახიდებთან კონტაქტში ის არ უნდა ყოფილიყო, ექიმის მოვალეობაა დაჭრილების დახმარების გაწევა. ჩემის აზრით, სამართალდამცავებმა შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა.

ჩვენმა ინტელიგენტმა ექს–პრეზიდენტმა შევარდნაძემ რამდენიმე დღის წინ რომელიღაც ინტერვიუში თქვა, სააკაშვილი სისხლს დაღვრის და არ წავაო. რა მალე ასრულდა მისი წინასწარმეტყველება! სისხლი უკვე დაიღვარა, ეხლა წავა თუ არ წავა, კიდევ საკითხავია. მოდელირებული ქრონიკის, ვითომ აჯანყებების შემდეგ აღარაფერია გასაკვირი. ისინი ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხით ყოველთვის გვაშინებდნენ. ახლა ეს ბურუსით მოცული სპეცოპერაცია. როგორც ჩანს, 1 ოქტომბერი იმაზე მალე დადგება, ვიდრე გვგონია.

ასეც ვიცოდი, დაიწყეს ჩვენმა "მშვიდობის მაძიებლებმა" სამხედრო პროვოკაციები. ჩათვალეთ, რომ სამოქალაქო ომი საქართველოში სააკაშვილმა მარიამობას დაიწყო. აი, ნამდვილი ქართველი მორწმუნე "ვაჟკაცი". ახლა ივანიშვილს პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადებს და სამშობლოდან გააძევებს. მერე ყველაზე აქტიურ ოპოზიციონერებს დაიჭერს, აწამებს, გააქრობს, ისედაც უკვე გაყალბებულ არჩევნებს უფრო გააყალბებს, დარჩება ბედკრულ საქართველოს მართველად, ერთიორ უგემოვნო ქალაქით შენობებით დაამშვენებს ჩვენს ქვეყანას და თავის რექტორ-დედიკოსთან და ბებია-ბიზნესმენთან ერთად თათქარიძესავით რუსულ თვითმფრინავებს ჭერზე ბუზებივით დაითვლის.

# mZevlebze laparakobs kaci, romelsac mZevlad hyavs ayvanili generali TamazaSvili

**ლაშა ნაცვლიშვილი:** ზოგადად, ის რაც მოხდა ლაფანყურში, საჭიროებს დაფიქრებას და სერიოზულ შეფასებებს. ზუსტად ინფორმაციის არარსებობა იწვევს ტოტალურ უნდობლობას და საფრთხის განცდას. უნდობლობა ინფორმაციისადმი, უნდობლობა ხელისუფლებისადმი და განცდა იმისა, რომ ესენი ყველაფერზე წამსვლელები არიან. და ამ ყოველივეს განაპირობებს ის რეპუტაცია და რენომე, რომელიც წლების განმავლობაში შეიქმნა ამ ხელისუფლებამ. ეს არის ხელისუფლება, რომელიც წლობით კულტივირებდა საფრთხის ხატს; ეს არის ხელისუფლება, რომელმაც 2008 წლის 21 მაისს მოაწყო ხურჩის სამარცხვინო ტერორისტული აქტი, რომელიც დააბრალა გაურკვეველ ადამიანებს და ძალიან ბევრმა დაინახა პარალელი ლაფანყურის ინციდენტსა და ხურჩის ტერაქტს შორის.

ჩემს ნდობას არ იმსახურებს არც სახელისუფლებო წყაროები და არც რუსეთის სასაზღვრო ძალების განცხადება. რაც შეეხება იმარატის განცხადებას, რომ ეს ადამიანები არანაირ ოპერაციას არ გეგმავდნენ, მაგრამ რას აკეთებდნენ, საიდან შემოვიდნენ, არც ამაზეა ნათქვამი რამე. ანუ კითხვები, როდის და საიდან შემოვიდა ეს ხალხი საქართველოს ტერიტორიაზე, უპასუხოდ გვრჩება. ამაზე პასუხი უნდა გაგვცეს ხელისუფლებამ და კომპეტენტურმა ორგანოებმა.



სხვათა შორის, საუბარი იყო იმაზეც, ხომ არ ცდილობს საქართველოს ხელისუფლება ჩრდილოელი მეზობლის სიმპათიების მოპოვებას. მინდა გითხრათ, ეს ხელისუფლება არც პროდასავლურია და არც პრორუსული, ეს ხელისუფლება და კერძოდ, მისი მთავარი პირი - სააკაშვილი არის პროსააკაშვილისეული, მისი მთავარი ამოცანა არის ხელისუფლების, ძალაუფლების შენარჩუნება და ამისათვის ის ეშმაკს შეეკვრება და ანგელოზს მოკლავს.

ამ ხელისუფლების წასვლის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს, ყველას ერთად მოგვიწევს გარკვეული ლიკვიდატორის ფუნქციების შესრულება, რადგან იმ კატასტროფული შედეგების ლიკვიდაციას ძალიან დიდი სოლიდარობა დასჭირდება და მე ვშიშობ, რომ ერთ-ერთი მიმართულება, რომელზეც ძალიან დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება, დეოკუპაციის, სამართლიანობის აღდგენის, ეკონომიკური რეაბილიტაციის პარალელურად, არის კავკასიელ ძმებთან ურთიერთობა, რომლეთანაც დაძაბულობის პირველი ნიშების ტონალობა გაისმა იმარატის განცხადებაში.

დღეს, გუშინ მე ვუსმენდი მიხეილ სააკაშვილს და ის საუბრობდა, რომ ახლა ის საქართველო აღარ არის და მიანიშნებდა წინახელისუფლების დროინდელ პანკისის მოვლენებზე და მოიხსენიებდა კრიმინალად გენერალ თამაზაშვილს. ამაზე მინდა რამდენიმე განმარტება გავაკეთო.




პირველი: 1999 წელს საქართველოში შემოვიდნენ პირველი ჩეჩენი ლტოლვილები, ამის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს უშიშროების საბჭომ, რომლის წევრი იყო მიხეილ სააკაშვილი და ხმა აქვს მიცემული ამ გადაწყვეტილებისთვის.

**რაც შეეხება კრიმინალის განადგურებას და კრიმინალად მოხსენიებას გენერალი თამაზაშვილისა და იმ დროისა, როდესაც მძევლებს იყვანდნენ, მძევლებზე ლაპარაკობს კაცი, რომელსაც მძევლად ჰყავს აყვანილი გენერალი თამაზაშვილი;**

კრიმინალზე ლაპარაკობს კაცი, რომელმაც კრიმინალი გაანადგურა, მაგრამ გაანადგურა კონკურენტი ორგანიზაცია იმისათვის, რომ ჩემი და თქვენი სამშობლო აეყვანა მძევლად; მთელი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა, რომელიც ახლა წარმოებს, რა არის, თუ არა ჩვენი თანამოქალაქეების მძევლად აყვანა ფულის გამოძალვის მიზნით და რა მნიშვნელობა აქვს, ჭიჭიაშვილი წაგიყვანს შენ და დაგამწყვდევს ომალოს მიღმა სოფელში, თუ ადეიშვილი წაგიყვანს და შენი თავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ საცხოვრებელის გაყიდვით უნდა გამოისყიდო, რა მნიშვნელობა აქვს?!

**ეს ზნედაცემული, კრიმინალი სააკაშვილი ვის კრიმინალზე ლაპარაკობს?! 2003-დან 2011 წლის 11 ოქტომბრამდე უზატონოდ ხმა არ გაუცია თამაზაშვილისთვის არავის. თუ ეს კაცი ასეთი კრიმინალი იყო, ამდენ დანაშაულში მხილებული იყო, სად იყვნენ 2011 წლამდე?! მეოთხე დღეს, როდესაც ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა პოლიტიკურ არენაზე, იარაღის ტარებისთვის იჭერს გენერალ კაცს და ეს ლაპარაკობს მძევლებზე?!**

ეს არის ელემენტარული ადამიანობა, ელემენტარული ეთიკა. ამ კაცს შვილები, შვილიშვილები ჰყავს, რაღაცა ხომ უნდა დარჩეს პოლიტიკის მიღმა, თუნდაც ანგარიშსწორების მიღმა. ანდაც, ყაჩაღობა არ არის ის, რაც ხდება ივანიშვილის და ქართუს მიმართ?! ყაჩარობა არ არის ის, რაც ხდება საქართველოს იმ მოქალქეების მიმართ, რომელთაც გაბედეს და ფინანსური შემოწირულობა გაიღეს „ქართული ოცნებისათვის". რა არის ეს, თუ არა ყაჩაღობა და კრიმინალი?!

დავუბრუნდეთ ისევ იმარატის განცხადებას, რუსეთის ხელისუფლების კეთილგანწყობის მოპოვებისათვის ძალისხმევა მიხეილ სააკაშვილს არ სჭირდება, მას ეს კეთილგანწყობა მოპოვებული აქვს, რადგან რუსეთი ვერასოდეს ვერ იშოვის ასეთ ლეგიტიმაციაამორღვეულ, დეგრადირებულ, არამოლაპარაკებად და საკუთარი ნაციონალური ინტერესების ვერდამცველ ხელისუფალს, როგორიც სააკაშვილია. და რუსეთის ყველა ის ქმედება დაწყებული კავკაზ-2012-დან, პუტინის განცხადებით დამთავრებული, რომ ის ემზადებოდა საქართველოს ოკუპაციისთვის, ემსახურება სააკაშვილის დეგრადირებული რეჟიმის შენარჩუნებას. მაგრამ ეს მომენტი გადავდოთ. რაც შეეხება შურისძიების მუქარას, ანტიტერორისტული კამპანია მსოფლიოში მიმდინარეობს 15-20 წელია. უფალი გვფარავდა და ეს ტერორისტული საფრთხე, მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ მასიურად განხორციელებული ტერორისტული აქტები ჩვენ აგვცდა, და თუ სააკაშვილი საკუთარ პორტფოლიოს, საბრალდებო დასკვნას მიამატებს იმასაც, რომ შემოითრევს საერთაშორისო ტერორიზმს საქართველოში, მაშინ, მგონი, ძალიან კარგად უნდა დავფიქრდეთ, მხოლოდ ერთი თვე დაგვრჩა, რომ ეს ჭირი მოვიცილოთ.



**TV9**

**ფრაგმენტები ინტერვიუდან**

**რედაქციისაგან:** „საერთო გაზეთის" წინა ნომერში გაიპარა ტექნიკური უზუსტობა — ერთ-ერთ ინეტნეტ-გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაზე დაყრდნობით თამაზ თამაზაშვილის ფოტოს ნაცვლად დაიდო სხვა პიროვნების ფოტო, რის გამოც ბოდიშს ვიხდით.



# roca ivaniSvili politikaSi movida, guges saflavze avedi da CavZaxe: mgoni gveSvela, guge, movida ivaniSvili-meTqi!

*გვესაუბრება „ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის“ ერთ-ერთი ვეტერანი, აბაშის ყოფილი პრეფექტი, ამჟამად კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი და წალენჯიხის მაჟორიტარი კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი* ***გიური ცანავა:***

**— ბატონო გიური, თქვენ ამჟამად წალენჯიხაში იმყოფებით. როგორი განწყობაა ადგილობრივ მოსახლეობაში?**

— მთელი სამეგრელო აქციის მოლოდინშია. ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ყველა დიდი ინტერესით ელოდება, რამეთუ სამეგრელოს მოსახლეობას ამის მნიშვნელობა კარგად ესმის. ამ აქციამ შეიძლება მთლიანად განსაზღვროს საქართველოს ბედი. თითქმის ყველა სოფლის მკვიდრს ზუგდიდში წამოსვლის და აქციაზე დასწრების უდიდესი სურვილი აქვს. მოგეხსენებათ, რომ ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობაზე ზეწოლა დიდია, მათ შორის არის საბუთების ჩამორთმევის ფაქტები, გაფრთხილებები იმის შესახებ, რომ მოსახლეობა ზუგდიდში არ წავიდეს, თორემ შესაბამის სანქციებს განახორციელებენ. ბევრი მძღოლი პურს სწორედ საკუთარი ავტომობილით ჭამს და ეშინიათ ამ ნაბიჯის გადადგმა. თუ მეგრელებს ყველა საშუალებით შეუშლიან ხელს, დარწმუნებული ვარ, ისინი, ზუგდიდში ფეხით ჩავლენ. აი, ასეთი საოცარი აღტკინება და პათოსია მოსახლეობაში. მინდა დანარჩენ საქართველოს ვუთხრა — მათ იმედებს არ გავაწბილებთ, ყველა კოლხი, ყველა მეგრელი აქციის დღეს ზუგდიდში ჩავა და ეს ძალიან დიდი რაოდენობა იქნება, არაფრით ნაკლები ვიდრე სხვა რეგიონების შეხვედრებზე იყო. ასე, რომ საქართველოს არ ვუმტყუნებთ, ჩვენ ცოტნე დადიანის შთამომავლები ვართ და უკან დახევა არ გვჩვევია. მითუმეტეს, რომ წალენჯიხაში უტუ მიქავას შთამომავალი ხალხი ცხოვრობს. ვფიქრობ, ჩვენ ქართველი გლეხის, ქართველი კაცის სიმბოლო ვართ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა. რა თქმა უნდა, ხელისუფლების მხრიდან ძალიან დიდი ზეწოლა, წინააღმდეგობა იქნება, მაგრამ ისევ ვიმეორებ, ყველაფერს გავუმკლავდებით, ფეხით ჩავალთ, აბა, რა ვქნათ?!

**— ბატონო გიური, ბოლო დროს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ მოსალოდნელია, ქვეყანაში ვითარების გამწვავება სწორედ სამეგრელოდან დაიწყოს. არის რეალურად ამის საშიშროება?**

— დიახ, არის! კარგად მოგეხსენებათ, რომ ზუგდიდში მთელი რიგი გაუგებარი კრიმინალური დაჯგუფებებია თავმოყრილი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როდესაც ზუგდიდის მოედანზე ზღვა ხალხი შეიკრიბება, მათ პროვოკაციის მოწყობის ხალისი დაეკარგებათ. ჩვენი მთავარი მიზანია როგორმე არჩევნებამდე მივიდეთ. კარგად გვესმის, რომ ხელისუფლება ყველა ხერხით ცდილობს ამ კალაპოტიდან — სამართლებრივი გზიდან ჩვენს ამოგდებას, იმიტომ, რომ მას არ აწყობს არჩევნები. ამას მთელი მსოფლიო ხვდება. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ არჩევნებამდე მივიდეთ. მესმის თქვენი კითხვის არსი, გაუსაძლისია ის, რაზეც თქვენ საუბრობთ — ჯარიმები, ყადაღები, დაჭერები და სხვა ათასგვარი უკანონობა, მაგრამ მიზანი ისაა, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ მოუსავლეთში არჩევნების გზით გავუშვათ.

**— მაშინ, როცა ოპოზიციონერი მაჟორიტარის შეხვედრას მოსახლეობასთან თეთრი პეპლის საწინააღმდეგო ხსნარით შლიან, რომელ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ვსაუბრობთ, რისი იმედი გვაქვს?**

— ის, რაც მოწამვლასთან დაკავშირებით მოხდა, იმ უკანონობების მწვერვალია, რაც ზოგადად ამ საარჩევნო პერიოდში ხდება. თუ ეს საკუთარი თვალით არ ნახე, წარმოდგენა შეუძლებელია — სპეციალურად დაგვედევნენ და მოგვწამლეს, იქ არც ხე იყო და მსგავსიც არაფერი. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა კვარაცხელიას ვკითხო — შენ, დედა გყავს? მას, როგორც პიროვნებას არ ვიცნობ. არ ვიცი რამდენად მართალია, მაგრამ როგორც მითხრეს, მისი ოჯახის წევრები ხმას „ქართულ ოცნებას“ აძლევენ. ესეც 21-ე საუკუნის პარადოქსია. როგორ შეიძლება თუ დედა გყავს, ქართველმა, კოლხმა კაცმა ეს გააკეთო. იგი გალიდანაა და მის მაგივრად მრცხვენია. გალი ჩემი დედულეთია, კვარაცხელიები განთქმული ხალხია, მეჯოგეები. სად გამოვყო თავი, ჩემს დედულეთში ასეთი რამ გამიკეთეს. თქვენ სწორად დასვით კითხვა, ამ ყველაფრის ფონზე რას უნდა ველოდოთო? — ყველაფერს უნდა ველოდოთ, ასეთი რამის ჩამდენი ადამიანისგან გასაკვირი არაფერია. ბოლო 20-30 წელია ყველა არჩევნებს ვადევნებ თვალს, ამის მსგავსი არაფერი მსმენია, ადამიანების მოწამვლა ნამდვილად არ გამიგია. ეს ალბათ მარტო ჩვენთან ხდება.



**— ბატონო გიური, თქვენ ამბობთ, რომ მთავარი მიზანი არჩევნებია. თუმცა, ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით დიდი შანსია არჩევნები გაყალბდეს. თუ საერთაშორისო ორგანიზაციები არ აღიარებენ შედეგებს, ამას ხელისუფლება „ლობისტურ შეთქმულებად“ ხომ არ მონათლავს?**

— რა თქმა უნდა, ამის საშიშროებაც არის. დარწმუნებული ვარ, რომ ეს არჩევნები გაყალბდება. იმიტომ, რომ გაუყალბებლობის შემთხვევაში ცხადზე ცხადია, რომ არჩევნებს „ქართული ოცნება“ მოიგებს. სამეგრელოშიც, მიუხედავად ზეწოლებისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩვენს მხარესაა. მახსოვს, ზვიად გამსახურდიას დროინდელი არჩევნები, ზუსტად ასეთი ვითარება იყო — როცა მასა, ადამიანების უმრავლესობა ზვიადის მხარეს იყო. ახლაც, ასეა, უმრავლესობა ივანიშვილის მხარესაა, მაგრამ არა მგონია ხელისუფლებამ წაგებას, დამარცხებას, გამამტყუნებელ განაჩენს მოაწეროს ხელი. ამიტომ, ამ ხელისუფლების შემყურე ილუზიებში არ ვარ და მათგან ყველაფერს ველოდები. ვფიქრობ, კონფლიქტები იქნება იმიტომ, რომ ხელისუფლება გააყალბებს არჩევნებს და ხალხი ამას არ მოითმენს.

**— თქვენ შესაძლო გაყალბებაზე ღიად საუბრობთ, ამის ფაქტორი მართლაც არსებობს, თუნდაც ის 1.200 ათასი დაუზუსტებული ხმა. რა სქემა არსებობს ამის საწინააღმდეგოდ, გამოდის, რომ წინასწარ გაყალბებულ არჩევნებში მივდივართ?**

— სწორედ მაგას ვამბობ, ხელისუფლებას უნდა ეყოს გონიერება, რათა ამაზე არ წავიდეს იმიტომ, რომ ბევრი საერთაშორისო დამკვირვებელი ჩამოვა და ხელისუფლება ვა-ბანკზე არ წავა. დარწმუნებული ვარ, გაყალბების შემთხვევაში ქუჩაში ძალიან ბევრი ხალხი გამოვა. ეს უკვე დამღუპველი იქნება თვითონ ქვეყნისთვის. ესკალაცია, სამოქალაქო ომის წინაპირობა არ უნდა დავუშვათ. ეს ხომ ერთხელ უკვე გავიარეთ. პირადად ვიყავი ამის მონაწილე, ეს საშინელებაა, სადაც მხოლოდ საქართველოა წაგებული. ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება. ამიტომ მაინც მგონია, რომ უგუნურების მორევში ხელისუფლება არ ჩაიძირება.

**— არის რეალურად ამის საშიშროება?**

— რა თქმა უნდა, არის. ხალხმა ხომ იცის რა სიტუაციაა. თუ ხელისუფლებამ არჩევნები საშინლად გააყალბა, თბილისში ხალხი ნამდვილად გამოვა, ამაზე ორი აზრი არაა.

**— ამ კუთხით როგორი განწყობაა სამეგრელოში?**

— თითქმის იდენტურია. არაფრით არ შეიძლება ჩვენი ქვეყნისთვის, დღევანდელობისთვის ის, რომ ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბოს. ამან ერში შეიძლება კატაკლიზმები გამოიწვიოს. ამის მერე უკვე რა და როგორ იქნება, პროგნოზის გაკეთება ნოსტრადამუსსაც კი გაუჭირდება. ეს კონფლიქტების ძალიან დიდი სტიმულიატორი იქნება.

**— ბატონო გიური, ცნობილია, რომ სამეგრელო სააკაშვილის მხარდამჭერ რეგიონად მოიაზრება. რა განაპირობებს ამას? თავის დროზე სამეგრელოში ზვიად გამსახურდიას ჰყავდა ძალიან ბევრი მხარდამჭერი.**

— მოგახსენებთ. ზვიად გამსახურდიას შედარება სააკაშვილთან არ შეიძლება. გამსახურდიას მარტო მთელი სამეგრელო კი არა, სრულიად საქართველო უჭერდა მხარს. იგი საკუთარი ხალხის ჭეშმარიტი პრეზიდენტი, ლიდერი იყო. რა ხდება იცით? — პირველი სამი წელი მართლა იყო დიდი განსხვავება, მოლოდინი. ეს გასაგებია იმიტომ, რომ ცნობილი მოვლენების გამო შევარდნაძე საშინლად არ უყვარდათ სამეგრელოში: საერთოდ, შევარდნაძის გადაგდებით თითქოს მეგრელებმა სააკაშვილს დაუჭირეს მხარი, მაგრამ მეგრელები ჭკვიანი ხალხია და მიხვდნენ, რომ სააკაშვილი შეიძლება უარესი ყოფილიყო. ამიტომ ეს მითქმა-მოთქმა თითქოს სამეგრელოში ისევე უჭერენ სააკაშვილს მხარს, როგორც გამსახურდიას, მცდარია. რა თქმა უნდა, არსებობს ადამიანების კატეგორია, ვინც სააკაშვილს უჭერს მხარს, განსაკუთრებით პენსიონერები, რომლებიც რეალურად ვერ აღიქვამენ სიტუაციას. მაგრამ ეს ძალიან მცირე მასაა. ახალგაზრდები, ყველა „ქართული ოცნების“ მხარესაა. არ დაიჯეროთ, რომ სამეგრელო სააკაშვილისაა. ეს მათივე გავრცელებული მოსაზრებაა.

— ვიცი, რომ ძალიან ძლიერი ხელშეშლა იქნება, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრი ხალხი მოვა. პრინციპში, მოსახლეობის რა ოდენობაცაა სამეგრელოში ის იქნება აქციაზეც, სხვა რეგიონებიდან ხალხს არ ველოდებით, პროცენტულად სხვა აქციებზე ნაკლები არაფრით იქნება.

**— სააკაშვილმა არჩევნებთან დაკავშირებით თქვა — 1 ოქტომბერი ყველა კრიმინალური ძალისა და დამპყრობლის ბოლო გაფართხალება იქნებაო.**

— პრეზიდენტი რუსთაველის ლექსსაც ამბობს, მაგრამ არასწორად. ასე, რომ ნუ გაგვიკვირდება ეს გამონათქვამი. რაც დიდმა შოთამ დაწერა იმას ამახინჯებს და მისსავე ნათქვამს როგორ დავუჯეროთ?! ასე რომ, ვის ან რას გულისხმობს კრიმინალებში, ყოვლად გაუგებარია. ბიძინა ივანიშვილი, ალასანია, მე, ნაჭყებია და სხვები კრიმინალები არავინ ვართ. პრეზიდენტს ახასიათებს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მსგავსი ტექსტების წარმოთქმა. მისი რიტორიკა მოსახლეობის 80 პროცენტისთვის გაუგებარია, ძალიან შეუსაბამო რაღაცებს ლაპარაკობს.

**— ახლა ირაკლი ალასანია ახსენეთ, რომელიც ზუგდიდში იყრის კენჭს. მისი მოწინააღმდეგე ნაციონალებიდან როლანდ ახალაიაა, რომლის წარდგენისასაც დავით ბაქრაძემ აღნიშნა — მისი ოჯახი არის სიმბოლო იმ ცვლილებებისა, რომელიც ბოლო პერიოდში საქართველოში ხდებაო.**

— დიახ, მესმის რასაც მეკითხებით, ვერ გამიგია რატომაა ახალაიები ახალი ცხოვრების სიმბოლო. არ მინდა არაკორექტული ვიყო, მაგრამ შეეკითხეთ თავად ზუგდიდელებს, ვინ რისი სიმბოლოა. ირაკლი ალასანია არის ქართული სიმამაცის, ერთგულების, გატანის, გმირობის სიმბოლო. იმიტომ, რომ მამამისი მამია ალასანია ზუსტად ისე მოკვდა, როგორც ქართველი კაცი უნდა მომკვდარიყო. სიცოცხლის ბოლომდე, ბოლო ამოსუნთქვამდე ის იდგა როგორც ქართველი კოლხი კაცი, ჟიული შარტავასთან ერთად. ისინი ცოტნე დადიანები იყვნენ. ეს იყო 21-ე საუკუნის საოცარი გმირობის მაგალითი. რაც შეეხება ალასანიას, მისი პიროვნება და თავად ოჯახი ნამდვილად არის სიმბოლო ქართული გმირობისა, მამაცობისა და ერთგულებისა. ზუსტად ისეთივე ბრწყინვალე პიროვნებაა ბატონი ირაკლი, როგორც მამამისი იყო. ეს მეგრელებმა, კოლხებმა იციან, მას სამეგრელოში ძალიან დიდი ნდობა აქვს.

**— ბატონო გიური, ერთ საკითხთან დაკავშირებითაც მინდა გკითხოთ, როცა გაგიცანით „თავისუფალ საქართველოში“ კახა კუკავას თანამებრძოლი იყავით. რა მოხდა, რამ განაპირობა თქვენი „ქართულ ოცნებაში“ წამოსვლა?**



— კახა, ახლაც ჩემი მეგობარია, მაგრამ ქვეყნის მომავალს სხვადასხვანაირად ვუყურებთ. მე ჩემი პრინციპები მაქვს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემთვის მთავარია ქვეყანა და არა პარტია ან პარტიულობა. ამიტომ კახას ვუთხარი — აუცილებლად უნდა წავიდე-მეთქი, ასეც მოვიქეცი. დავარღვიე პარტიული დისციპლინა და დავშორდით ერთმანეთს. პარტიული თანამოაზრეები არ ვართ, თუმცა მეგობრები ვართ. საოცრად დიდ პატივს ვცემ მას, ერთ-ერთი უნიჭიერესი ახალგაზრდა ქართველი პოლიტიკოსია. ასე, რომ პარტიიდან ჩემი წამოსვლა საკითხისადმი სხვადასხვა მიდგომებმა გამოიწვია.

**— ბატონო გიური, ბოლოს აუცილებლად მინდა გკითხოთ თქვენს ძმაზე გუგე ცანავაზე. ისიც, ხომ სწორედ სიმართლისთვის იბრძოდა.**

— სხვათაშორის, ჩემო თამრიკო, შეიძლება არც დაიჯეროთ, მაგრამ თბილისში რომ ჩამოვალ გაჩვენებთ მისი ნაწერებიდან ამონარიდებს. 4-5 წლის უკან გუგე წერდა პრესაში, თითქოს წინასწარმეტყველებდა — მხოლოდ ივანიშვილს შეუძლია ხელისუფლების დამარცხებაო. იგი ამბობდა, რომ ოპოზიციურ ძალებს ამის რესურსი არ გააჩნია. მაშინ, ეს ცოტა გასაკვირი იყო იმიტომ, რომ ივანიშვილს მაშინ არავინ იცნობდა. იგი იდუმალებით მოცული რაინდი, ქართველი გრაფი მონტე კრისტო იყო. როდესაც ივანიშვილი მოვიდა პოლიტიკაში საოცრად გამიხარდა, ავედი გუგეს საფლავზე და ჩავძახე: მგონი გვეშველა გუგე, მოვიდა ივანიშვილი-მეთქი. დარწმუნებული ვარ, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ახლა ივანიშვილის გვერდით იქნებოდა.

**თამარ შველიძე**

გვესაუბრება მწერალი
## მერაბ შათირიშვილი

**— მერაბ, თქვენ გურიიდან ხართ წარმოშობით, საინტერესოა, როგორ და რატომ აღმოჩნდით ფოთში და ქალბატონი ეკა ბესელიას გვერდით?**

— გაგეცინებათ და, მე, მერაბ თავაძე და ზაზა მამალაძე, ეს სამი გურული ვდგავართ დღეს ეკას გვერდით ფოთში. უკეთესი იქნებოდა, ვყოფილიყავი გურიაში, მაგრამ აი, დღეს აქ ვარ და ვმუშაობ შეძლებისდაგვარად. მივაღწიეთ იმას, რომ, მთელი პასუხისმგებლობით ვამბობთ, მოსახლეობის დიდი ნაწილი „ქართულ ოცნებას" და ეკა ბესელიას უჭერს მხარს. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ამაში დიდი დამსახურება თვით ეკას აქვს, რადგან იგი ძალიან ძლიერი, მებრძოლი და გონიერი ქალი აღმოჩნდა. ველოდი ამას, მაგრამ მან ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ეკა არის მაქსიმალისტი. ბრძოლაში შედის განწყობით — ან სიკვდილი, ან გამარჯვება. სხვათა შორის, მთელ საქართველოში ასე პრინციპულად დგას საკითხი და რა თქმა უნდა, ყველა მაჟორიტარის წინაშეც. სამეგრელოს რეგიონის მაჟორიტარებს მინდა მივმართო: ჩამობრძანდით ყველა თუნდაც ერთი დღით ფოთში და გაიარეთ ტრენინგები. ნახეთ, როგორ მუშაობს ფოთში საარჩევნო შტაბი, რომელსაც სურს ეკა ბესელიას გამარჯვება.

**— თქვენ რა პოსტი გიკავიათ შტაბში?**

— მე ვარ შტაბის წევრი. ვასოცირდები საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორად. ყველაფერი ვარ — ჯარისკაციც, ოფიცერიც, ყველგან ვარ, სადაც საჭიროა.

**— გიცნობ მერაბ და შემიძლია დარწმუნებით გითხრა, რომ კარგი იქნებოდა, თუ შენ გურიაში იქნებოდი დღეს. მაგრამ ახლა ფოთში ხარ, ეს შენი არჩევანი იყო?**

— მე და ეკა ბესელია ფეისბუკის მეგობრები ვართ. იქ, ცხადია, ვცვლიდით აზრებს და როცა მან თქვა: შეიძლება ფოთის მაჟორიტარად წავიდე, მე ვუთხარი: წამოვალ შენთან ერთად და ფოთიდან ხმების უმრავლესობას წამოგაღებინებ-მეთქი. დღეს თქვენს მკითხველს შემიძლია ვუთხრა, რომ ეკა ბესელია ფოთიდან ხმების 80 პროცენტს წამოიღებს. როლანდ ახალაიას კადრებს დავამარცხებთ ფოთში და შიშს მოვუხსნით მთელ სამეგრელოს. ეს სულისკვეთება არის კიდევაც ქალაქში. ასე, რომ, ეკა ბესელია — კარგი იურისტი, ძლიერი ქალბატონი, გულისხმიერი, კარგი ორატორი, ადამიანი, რომელიც ფოთის პრობლემებს ზედმიწევნით სწავლობს, ნამდვილად ღირსეული დეპუტატი იქნება ამ ქალაქის.



გახსოვთ, როცა ის წარადგინეს დეპუტატობის კანდიდატად ფოთში ამბობდნენ, რატომ ფოთში, ის ხომ სენაკელია?! სხვათა შორის, არც ნიკო ნიკოლაძე ყოფილა ფოთელი, თანაც იგი ამ ქალაქის საძირკვლის ჩამყრელ-გამაძლიერებლად ითვლება.

რამდენიმე ხნის წინ ქალბატონმა ეკამ მითხრა: მე არა ვარ ფოთელი, მაგრამ მინდა, გავხდე. მაშინ დავიწყე ოჯახის ძებნა და ვიპოვე ფოთის კოლორიტი, ისეთი ადამიანი, ვისაც მთელი ფოთი გულში იხუტებს — 80 წლის ბატონი ილია ქვარცხავა, რომლის ოჯახის წევრიც გახდა ეკა ბესელია. მან ამით მოუსპო სალაპარაკო ნაცმოძრაობის დემაგოგიას — ეკა ბესელია ფოთელი არ არისო. ეკა ბესელია უკვე ფოთელია.

**— სამწუხაროდ, არ გვაქვს საშუალება ფოთის ნაციონალების მაჟორიტარ დეპუტატს გავესაუბროთ, ამიტომ მაინტერესებს, როგორ მუშაობს ნაციონალური შტაბი, თქვენთან ჯანსაღი, დემოკრატიული კონკურენცია აქვთ?**

— ეს მომენტი არ არსებობს, მაგრამ არც ისეა, შევიწროებული რომ ვიყოთ, ან ტერორში, ან სხვა რაიმე სახის დაპირისპირება. იყო რამდენიმე წვრილ-წვრილი ინციდენტი, მაგრამ, საერთო ჯამში, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უხეში ზეწოლის ქვეშ ვართ. ეკა ბესელიას ფოთში იურისტების შესანიშნავი ჯგუფი ჰყავს ჩამოყვანილი და ნაცებიც ინციდენტებს ერიდებიან.

ფოთი არც ისე პატარა ქალაქია და ცენტრალური ოფისის გარდა საჭირო იყო ოფისები ქალაქგარეთაც. ხელისუფლებამ ყველანაირი რესურსი წაგვართვა, ანგარიშები დაუყადაღა „ქართულ ოცნებას" და ოფისების დასაქირავებლად ფულიც არ გვქონდა, როცა ოფისი უსასყიდლოდ გადმოგვცეს, ჩემი ძალისხმევით. მოკლედ, თვითონ ხალხია მოწოდებული ასე.

# `SeiZleba 1 oqtombris mere axali saparlamento arCevnebi dainiSnos~



ამას წინათ ზურაბ ზვიადაური იყო ჩამოსული. ენაცვალოს მერაბ შათირიშვილი. მთელი დღე ერთად ვიყავით და ბოლოს მითხრა: ახმეტაშიც რომ ისე იყოს, როგორც აქ არის, კარგი იქნებოდაო, მე დავპირდი, რომ ჩავიდოდი ახმეტაში. იქ ძალიან ბევრი შათირიშვილი ცხოვრობს. მე შათირიშვილების გვარის წინამძღოლად ვითვლები საგვარეულო კავშირების ჯგუფში, გამეხარდება, ჩემს მოგვარეებსაც თუ ვნახავ.

მაგრამ ისევ ფოთს რომ დავუბრუნდეთ: ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ ფოთში, როგორც გითხარით, განწყობა შეიცვალა, მიგვაჩნია, ერთ-ერთი მთავარი, რაც გავაკეთეთ — ფოთის საზოგადოებრივი დარბაზი შევქმენით. ეს დარბაზი ჩაერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, დარბაზში არის ფოთის ინტელიგენცია, ვინც ქვეყნის მომავალს უჭერს მხარს.

**— რას ფიქრობთ, მერაბ, საარჩევნოდ ხელისუფლებამ ძველი მეთოდები რომ გამოიყენოს და „ქართულ ოცნებას" დაგროვილი ხმები ან გაუყალბოს, ან წაართვას, როგორ მოიქცევით?**

— ნაცმოძრაობას არ აინტერესებს, რა მოხდება 1 ოქტომბერს საარჩევნო ყუთთან. მათ იციან, რომ დაშინებული და დატერორებული ადამიანი ხმას მაინც არ მისცემს, მაგრამ ძალადობა გამიზნული აქვთ არა 1 ოქტომბრისთვის, არამედ 2 ოქტომბრისთვის პრინციპით — არ გამოხვიდე ქუჩაში!

ვინ რამდენ ხმას აიღებს, ეს არაა მნიშვნელოვანი. საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანია თვით ფაქტორი. ის, რომ ეს არჩევნები არის გარდამტეხი გზაჯვარედინი, სადაც ან გადაიჩეხება სააკაშვილის მოძალადე ხელისუფლება, ან დაიღუპება ქართული საზოგადოება. დარწმუნებული ვარ, ეს არჩევნები გადაჩეხავს ამ ხელისუფლებას და სულ მალე საქართველოში საპარლამენტო არჩევნები ახალი, მეორე დაინიშნება დემოკრატიულ რეჟიმში.

**— ე.ი. კიდევ ერთი საპარლამენტო არჩევნები უახლოეს ხანებში? ეს თქვენი პროგნოზია?**

— დიახ, ეს ჩემი პროგნოზია, რადგან ეს არჩევნები არის სააკაშვილის რეჟიმის დანგრევის და საქართველოს დაღუპვისკენ მიმართული არჩევნები. ჩვენ არ ვაპირებთ ლაწირაკების, ტრადიციების, ქართველობის მოძულე ადამიანების ხელში დავტოვოთ ქვეყანა. ამ არჩევნებს სააკაშვილის რეჟიმის დასამარების პროცესად ვაქცევთ.

სააკაშვილი, რა თქმა უნდა, გააყალბებს, მაგრამ მისთვის მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია, რა მოხდება მეორე დღეს. იცოდნენ, რომ არის ძლიერი მოტივაცია — ყველა დაიცავს საკუთარ ხმებს. თუ სააკაშვილი არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და უკან არ დაიხევს, ეს არჩევნები მას ცუდად აუფეთქდება. მოჩვენებითი სახელმწიფოებრივი სიმშვიდე დაირღვევა და ამ დისონანსს, ლოგიკურად, შეეწირება ეს ხელისუფლება.

**— მანამდე ზუგდიდის შეხვედრა უნდა შედგეს. ზუგდიდში მთელი სამეგრელო მოიყრის თავს „ქართულ ოცნებასთან" შესახვედრად. ხალხი ეჭვობს, ყველაფერი წყნარად არ ჩაივლისო.**

— ფოთიდან წავალთ. სამეგრელოს რაიონებიდან, ალბათ, ჩამოვლენ, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ყველაფერი უკან დაუბრუნდება ხელისუფლებას მომაკვდინებლად. ამ შეხვედრისთვის არ ემზადება ხელისუფლება. გითხარით, 2 ოქტომბრისთვის ილესავენ კბილებს. თავისი მხარდამჭერების ქუჩაში გამოყვანას გეგმავენ, მაგრამ ის, რაც დაძრულია, ვერავინ შეაჩერებს. ქართველი ხალხის დაჩოქება და დამარცხება აქვთ საბოლოო მიზნად. ეს არ მოხდება, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ.

**— თქვენ მწერალი ხართ და პოლიტიკური პროცესების შუაგულში დგახართ. ბევრი მწერალი აქტიურობს დღეს ამ კუთხით, მაგრამ ზოგიერთი, ალბათ, ოჯახურ იდილიაში განაგრძობს „შემოქმედებით წვას" და საჭირო დროს ელოდება, ომახიანად რომ დაიძახოს: „აღსდეგ, საქართველო!"**

— მე ყოველდღე მენანება ჩემი თავი, როგორც მწერლის, რადგან ბევრი რამ მაქვს სათქმელი ჩემი ერისთვის. თუმცა დღეს ბედნიერი ვარ, რადგან ჩემი სიცოცხლე და შემოქმედებაც არაფერი იქნება, თუკი ქვეყნის კეთილდღეობისთვის არ ვიბრძოლებ. არის პერიოდი, როცა სამშობლო ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი ხდება. ახლა ჩემთვის ასეთი დღეები დგას — დედაზე, მამაზე, ჩემს შემოქმედებაზე მაღლა დგას ჩემი ქვეყანა და მისი მომავალი.

ბოლოს მინდა გითხრათ, დიდი ხანია თქვენთან არ ვყოფილვარ. ძალიან მომენატრეთ, მომენატრა თქვენი მკითხველები და მათთან საუბარი. მიმაჩნია, რომ მეც ვარ პატარა მონაწილე იმ დიდი საქმისა, რასაც „საერთო გაზეთი" აკეთებს ქართულ სინამდვილეში.

**ირანდა კალანდაძე**

## თელავში „თავისუფალი საქართველოს" ოფისი გაქურდეს

„თავისუფალი საქართველოს" კახეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის გიორგი მოსიაშვილის ცნობით, თელავში პარტიის ოფისი უცნობმა პირებმა გაუქურდეს. ოფისიდან წაღებულია კომპიუტერის პროცესორი, იუპიესი და ტელევიზორი. ოპოზიციონერი მომხდარს მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს, — იუწყება რადიო „ჰერეთი".

„შენობების რეაბილიტაციის გამო ოფისში რამდენიმე დღე არ ვიყავი. დღეს საღამოს ავედი და ოფისი გაქურდული დამხვდა, რის შემდეგაც გამოვიძახე პოლიცია და მოვიდა კრიმინალური სამსახური. თებერვლიდან მოყოლებული ჯერ წყალი გამითიშეს, შემდეგ დენი და ბუნებრივი აირი. ეს ყველაფერი უცნაურად მეჩვენება",— დასძინა მოსიაშვილმა.

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით აღიძრა. მომხდარზე გამოძიებას თელავის რაიონული პოლიცია აწარმოებს.

## „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

კოალიცია „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრს ბექა ჯიქიძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. როგორც „მედიანიუსს" „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ცოტნე ზურაბიანმა განუცხადა, ჯიქიძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 178 მუხლის 3 ნაწილის მიხედვით წაუყენეს, რაც ძარცვას გულისხმობს.

ზურაბიანის თქმით, ჯიქიძეს წინასწარი პატიმრობა აბსოლუტურად უსამართლოდ შეუფარდეს და 48 საათის განმავლობაში ბრალის წაყენებაც კი ვერ მოახერხეს. სამართალდამცველებმა „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ფრთის წევრი, 18 წლის ბექა ჯიქიძე პირველ სექტემბერს დააკავეს. კოალიციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის ინფორმაციით, ჯიქიძე ოფისიდან გამოსვლის შემდეგ, დაახლოებით 18.00 საათზე, ორმა პოლიციელმა გააჩერა, ჯერ სურათები გადაუღეს და შემდეგ ეკიპაჟი გამოიძახეს და განყოფილებაში გადაიყვანეს. მას ბრალად მოქალაქის ძარცვა ედება. დღესვე შს სამინისტრომ ბექა ჯიქიძე დაკავებაზე ინფორმაცია გაავრცელა. როგორც შსს-ს ვებგვერდზეა აღნიშნული, ჯიქიძემ 2012 წლის პირველ სექტემბერს ექვს პირთან ერთად დანის მუქარით მოქალაქე მიშა ქოჩლიშვილს ფულადი თანხა გასტაცა. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

# somxuri karuseli Tu saakianis morigi somxuri `padnoJka~?!

„ვეფხისტყაოსნის გადამბულბულებელმა“ სააკაშვილმა ის რომ არ იცოდეს, “სახელის გატეხვას თავის გატეხვა რომ სჯობს”– აღარ გვიკვირს. სახელი დიდი ხანია გატეხილი აქვს, ხელიც მოუტეხავს, ცხვირიც და თავსა და ფეხებს თავად ამტვრევს თავის “ნაციონალ მონებსაც”. ასეთია უთავმოყვარეო ადამიანის ბედი. “მოქკავშირიდან- ნაციონალებად” ქცეული “მიხოელებისგან” სომხურ კარუსელებსაც მივეჩვიეთ, სომხურ სპექტაკლებსაც და “ყველაფერს პირველს მსოფლიოში და მეორეს ერევანშიც”, რაც სააკაშვილისეულად ასე ჟღერს: “პირველად საქართველოს ისტორიაში”. მიუხედავად ამისა, “კოჭოიებს”, “მოდელირებულ ქრონიკას” და “ სააკას ტყუილების გუდას” შეჩვეული ქართული საზოგადოებისთვის მაინც ძნელი დასაჯერებელი აღმოჩნდა ლაფანყურში, დაღესტნის საზღვართან ნაციონალურად დადგმული მორიგი სპქტაკლი. ამ “ცხვრის ტყავში გახვეულმა მგლებმა” იმდენი იძახეს” მგელი მგელიო”, რომ მგლის ნაცვლად მართლაც “ რუსული დათვი” რომ შემოვიდეს, ამასაც ძნელად დააჯერებ ვინმეს. ან სცენარები მოუძველდათ, ან კიდევ სცენარის ავტორებმა აიღეს საბოლოოდ “მიშმაკებზე”’ ხელი. “მიშმაკებზე” აიღეს, თორემ საქართველოს დაშლასა და განადგურებაზე “მიშმაკების ბატონები” ხელს როგორ აიღებდნენ. საქართველო “ყელში გაჩხერილი ძვალია”, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ერთმანეთთან მსოფლიო ბატონობისთვის გადამტერებულ ორ სუპერსახელმწიფოს. სააკაშვილის გუნდის მფარველ სან-ფრანციკოულ სომხურ ლობზეც არაერთხელ გახმაურებულა პრესის ფურცლებიდან და “ვარდები რევოლუციაში” სომხურ კვალზეც არაერთხელ თქმულა. გინდ დაიჯერეთ და გინდა არა, ლაფანყურის მორიგმა “ოპერაციამაც” შესაძლოა “სომხურ კვალთან” მიგვიყვანოს.

გასაიდუმლოებულ სპეცოპერაციაშიც უკვე ბევრი კითხვის ნიშნები გაჩნდა. როგორ გადმოკვეთეს ბოევიკებმა ის საზღვარი და აიყვანეს მძევლები, რომელსაც “ნატოს წვრთნისა და ალჭურვის პროგრამით ნასწავლი” ქართული ჯარის წარმომადგენელი მესაზღვრეები უნდა იცავდნენ? რატომ გახმაურდა ეს თემა სახელისუფლებო მედიის მიერ მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მძევლების აყვანა 26 აგვისტოს მოხდა? რატომ არ იქნა ტერორისტების მიერ მოთხოვნები დაყენებული. ანუ რისთვის გადმოვიდნენ ჩვენს ტერიტორიაზე, თუ არანაირ მოთხოვნებს არ დააყენებდნენ და რატომ არ იქნა მიღებული ყველა ზომა მძევლების უსაფრთხოებისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად? რატომ ვრცელდება არაოფიციალური ინფორმაციები, რომ ეს ტერორისტები ქართული ჯარიდან უკადრებელი დავალების შეუსრულებლობის გამო გაქცეული ჯარისკაცები იყვნენ? სხვა ვერსიით კი ის, რომ ეს ჯგუფი სირიიდან საზღვრებგაუკონტროლებელ საქართველოში ჩამოსული მუჰაჯირი ბოევიკების ჯგუფია, რომლებიც თავისი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ ვერც აქეთ წავიდნენ, ვერც იქეთ და იძულებულნი გახდნენ ტყეს შეფარებოდნენ. ეჭვს იწვევს დაღუპული ქართველი ექიმის ყოფნაც ანტიტერორისიტული ოპერაციის წინა ხაზზე და მისი ჭირისუფლის განცხადება იმის თაობაზე, რომ შინიდან ჩუსტებში გასული ადამიანი ოჯახს ბათინკებში ჩაცმული დაუბრუნეს. (ჟვანიას მკვლელობისას უსუფოვის ცალი ფეხსაცმლის უნიჭო ანალოგია) ფაქტი ერთია, რომ ხელისუფლება ასაიდუმლოებს და რაღაც ბნელი საქმის მოწმეებს იცილებს. გამოცდილება აფრასიძეების ამოხოცვის მაგალითზე აქვთ. მაშინაც ე.წ. “ტეროსისტების დახოცვით” თავისი დანაშაულის კვალი დაფარეს და აფრასიძეებს თითქმის მთელი გვარი ამოხოცეს? მთავარი ის იყო, რომ ხელისუფლებამ ამ ე.წ. ტერორისტული ოპერაციით საზოგადეობას ისევ “მოუსინჯა კბილი”, მაგრამ “ფეხი არ ჩაუვიდათ”. სახელისუფლებო გუნდის გარდა ამ თემაზე “პოლიქრონიონ, არავინ იმღერა. მატყუარა, გამუდმებით სიტყვის გამტეხი კაცის საქართველოში არასდროს სჯეროდათ. არც ახლა მიუხედავად “წიკლაურების” მსცდელობისა, დაიჯერა ვინმემ რუსული აგრესიის კვალზე. “ტყეში საქეიფოდ წასული მძევლებიც”, როგორც ყოველი ამათი დადგმული სცენარისას არადამაჯერებლად სტყუოდნენ. „ბარამბოზე“ და „სნიკერსზე“ საქეიფოდ წასული კახელი ახლგაზრდების “ნადიმითაც” ვერავინ დააჯერეს. რატომ არ გადასცეს დახოცილები იმ მეზობელ სახელმწიფოს, რომელი სახელმწიფოდანაც ვითომ შემოიჭრნენ და არავის აჩვენეს დახოცილი ტერორისტების გვამები? რატომ უარყოფს ასე კატეგორიულად რუსეთის ფეესბე და დაღესტანი მათი საზღვრიდან ბოევიკების გადმოსვლის ფაქტს? რა მიზანს ემსახურებოდა ბოევიკების მიერ მძევლების აყვანა, როცა ტყეში გამოზამთრებას უპრობლემოდ შეძლებდნენ? კულუარულად რატომ გახმაურდა, რომ საქართველოს ხელისუფლება დაღესტნის დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებდა? ხომ არ არის ეს კიდევ ერთი რუსეთთან შეთანხმებული პროვოკაცია, როდესაც ორივე მხარე მოგებული დარჩება? რატომ შემუშავდა მაინცადამაინც სასომხეთში და რატომ ემთხვევა “კავკასია 2012”-ის სწავლების გეგმა “სნგს-ს ქვეყნების ექსპერტის” მიხეილ ალექსანდროვის განცხადებას და იმავდორულად მეზობელი სომხების დიდი ხნის მიზნებსა და გეგმებს საქართველოში? ალექსანდროვი აცხადებს, რომ “1921 წელს “ირანსა და რუსეთს შორის გაფორმებული მოლაპარაკების ფარგლებში, ირანის ჩრდილო საზღვრების დაცვასთან დაკავშირებით და გარეგანი აგრესიის აუცილებლობის შემთხვევაში, რუსეთს ჩარევის უფლება გააჩნია”. პოლიტიკოლოგი აღნიშნავს, რომ ანალოგიური გადაწყვეტილება რუსეთმა 1941 წელსაც მიიღო, როდესაც “საბჭოთა ჯარები” ირანის ჩრდილოეთით შევიდნენ. მაშინ გადაწყვეტილება ინგლისთან იყო შეთანხმებული. (რაც, ალბათ, ჩერჩილისა და სტალინის პირადი ურთიერთობებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ბ.ა.) ახლა კი რუსეთი გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად, ვინმესთან შეუთანხმებლად მიიღებსო.” ეს პოზიცია (ისევე როგორც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარება), აშშ-სგან და დასავლეთისგან სერბეთისა და კოსოვოს აღიარების საპასუხო ნაბიჯი იქნება. ლოგიკა მარტივია, თუ სხვა ქვეყნის ბედის განკარგვას, მის საშინაო საქმეეში ჩარევას “ბედავს და შეუძლია” აშშ-ს, შეუძლია და გაბედავს რუსეთიც! არც რუსეთს და არც აშშ-ს პირადი ინტერესების გარდა ამ ქვეყნების ბედი რომ არ ანაღვლებთ – ფაქტია. თუმცა, როგორც ყველაზე დიდ მართლმადიდებლური სახელმწიფოს, რუსეთს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიისა და უფლის პატრონ საქართველოსთან, ამ თვალაზრისით, პოლიტიკურ-რელიგიური კავშირი ხელს აძლევს. რამდენადაც სწორედ აშშ-მ, იუგოსლავიის დაშლით, რუმინეთისა და ბულგარეთის საყრდენის გამოცლით, რუსეთს ის მართლმადიდებლური ქრისტიანული საყრდენი გამოაცალა, რითაც რუსეთი მსოფლიოში ფაქტიურად, მეორე პოლუსს ქმნიდა. რაც სოდომიზმისა და აღვირახსნილი ლიბერალიზმის მსოფლიოში დასავლეთის საპირწონე პლაცდარმს წარმოადგენდა. მარტო ყოფილ მიერეთებულ გერმანიის ნაწილში მეძავებს სახელმწიფო ბიუჯეტში 16 000 000 ევრო შეაქვთ. დასაქმების ასეთი ფორმით ბიუჯეტის შევსება, შესაძლოა, „დასავლური ორიენტაციის საქართველოსთვისაც” მისაღები ფორმა გახდეს. ყველაფრის მიუხედავად, რუსეთს კარგად ახსოვს სერაფიმ საროველის რუსეთის გაფრთხილებაც იმ სავალალო შედეგებზეც, ვინც ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს ხელყოფს. რასაც ვერ ვიტყვით აშშ-სა და დასავლეთზე, რომელსაც საქართველო მხოლოდ კავკასიაში რუსეთის გავლენის შესასუსტებლად და აშშ-ს მიერ წარმოებულ ომებში “ნატოს” ჯარის ადამიანური რესურსის შესავსებად სჭირდება, რადგან იდეოლოგიურად, კულტურულად და მენტალურად და ეთნიკურადაც ბევრად განსხვავდება საქართველოსგან. ამ მიზეზით კი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, რელიგიის და კულტურის არარსებობის გამო, დასავლეთი ვერასდროს გაიგებს ისტორიული მეხსიერების დაკნინების გამო ქართველი ერის ტკივილს.

იმის გათვალისწინებით, რომ კავკასიის პოსტსაბჭოურ სივრცეში რუსეთის ჯარების დისლოკაციის ადგილი ჩვენს მეზობლად (სასომხეთის გიუმრის ბაზაზე მდებარეობს), აშშ-სგან ირანში “დემოკრატიული პროცესების დაწყებისას”, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომელი ტერიტორიიდან განხორციელდება შეტევები რუსეთის მიერ “ირანთან დადებული შეთანხმების შესრულების” შემთხვევაში. რუსეთსაც, ამერიკის მსგავსად, საქართველოში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნია. არც რუსეთი და არც ამერიკა მის ზურგში მოწინააღმდეგის რეკეტების დაყენებას რომ არ მიესალმება – უდავოა. მით უფრო, იმ “ნატოს ბლოკის”, რომელიც II მსოფლიო ომისთვის შეიქმნა და მისი დასრულებისთანავე უნდა დაშლილიყო. თუმცა დღემდე მაინც აგრძელებს მოქმედებას და ახლა უკვე, ფაქტობრივად, რუსეთის საზღვართანაც აპირებს დაბანაკებას. რაც შეეხება სააკაშვილს, რომელიც ივანიშვილის “ქართული ოცნების” პროგრესირებადი გამარჯვების ფონზე ხელისუფლებაში დარჩენის შანსებს დღითიდღე კარგავს, ლაფანყურში განვითარებული მოვლენები ყველაზე მეტად აძლევს ხელს. მისი ლობისტებიც ორ კურდღელს ერთდორულად დაიჭერენ: 1. საზღვარზე დაძაბულობის გაგრძელებისა და საგანგებო სიტუაციის შემოღების შემთხვევაში, ნაციონალებისთვის არასასურველი არჩევნები გაურკვეველ ვადამდე გადაიწევს. სააკაშვილი კიდევ უფრო მეტ ქართველს დახოცავს “სამშობლოს დაცვის მოტივით” და ადგილს გამოუთავისუფლებს საქართველოს მიწების დაპატრონების მსურველთ. 2. ივანიშვილის “ქართული ოცნებისადმი” გაჩაღებული რუსული კვალის რიტორიკა კიდევ უფრო ფართო პიარით გაიშლება. ამ საბაბით სააკაშვილი დაერევა და შესაძლოა ფიზიკურადაც გაანადგუროს და დააპატიმროს მისი ყველა რეალური პოლიტიკური ოპონენტი. ივანიშვილს კი (რისი დიდი ხნის სურვილიც აქვს) – საერთოდ დეპორტაცია გაუკეთოს. თავად ისევ ხელისუფლებაში დარჩეს. ან თუ სერიოზული საფრთხე იგრძნო, “დევნილი პრეზიდენტის სტატუსით” გაიქცეს კიდეც. რუსეთის საქართველოში შემოჭრის შემთხვევაში კი მას ის მეზობელი ქვეყნის მოქალაქეებიც შემოჰყვნენ და დიდი ხნის ნანატრი ქართული მიწები ახლა უკვე “ბატონის პოზიციებზეც” დაიკავონ. ასე, რომ თუ ვინმეს ლაფანყურის ინციდენტი ხელს აძლევს, ეს ისევ და ისევ სააკაშვილი და მმართველი გუნდია. ჯერ კიდევ ჩაუტარებელი არჩევნების წინ, რუსეთს საქართველოს საზღვრებთან პროვოკაციის დაწყების საფუძველი არ უნდა გააჩნდეს, რადგან საქართველოს სრული ოკუპაციის სურვილის შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოში ამის შესანიშნავი შესაძლებლობა ჰქონდა. აგრესიის შეჩერება მხოლოდ კოდორის ხეობის გასროლის გარეშე ჩაბარების სანაცვლოდ მოხდა და არა “ჰალსტუჰიჭამია სააკაშვილის” ან დასავლეთის შიშით. დასავლეთის შიშის შემთხვევაში, რუსეთს, ლოგიკურად, ვერც ეს “ბოლო ინციდენტი” უნდა გაებედა. მას, ამჯერად, არც კახეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაცვაზე აპელირების საფუძველი გააჩნია. სააკაშვილის “ნებისმიერი გზით” ხელისუფლებაში დარჩენის ინტერესი კი შესაძლოა, ჰქონდეს, რადგან მიუხედავად გაცხადებული ამერიკული კურსისა, სააკაშვილის ხელისუფლება ეკონომიკურად რუსეთს აძლიერებს, იდეოლოგიურად დასავლეთში გამეფებულ გარყვნილებასა და ე.წ. “ლიბერალურ ღრებულებებსა” და “ადამიანის უფლებებს იცავს”. რეალობაში კი, მოსვლის დღიდან, “დაშნაკურ-არმენულ” საქმეს აკეთებს და საქართველოს მიზანმიმართულად შლის და ანადგურებს. რუსეთი კი ვინც (საქართველოს სახით), კავკასიაზე ბატონობის შესაძლებლობას მისცემს, ახლაც მის მხარეს დაიჭერს და ტერიტორიებითაც დაასაჩუქრებს. თუ აშშ-ს სომხური ლობის მეშვეობით ვერ მოხერხდა საქართველოსთვის ქართული მიწების წართმევა, ახლა “იგივე ლობი” რუსეთში მცხოვრები დიასპორისა და ქართული წარმოშობის სომეხი თავდაცვის მინისტრის – ლავროვის მეშვეობით შეეცდება იგივეს. მთავარი შემსრულებელი კი კვლავაც მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკიანი და მისი გაურკვეველი წარმოშობის ე.წ. “რეფორმატორთა გუნდი” იქნება, რომლებიც თუ არჩევნებისას ხალხის სრული მობილიზაციის გამო “სომხურ კარუსელს” „სომხურ პადნოშკას” აუცილებლად დაუდებენ საქართველოს და ქართველ ხალხს.

**ბაია ამაშუკელი**







კოალიცია „ქართული ოცნების“ ექვსპუნქტიანმა მიმართვამ საქართველოს ხელისუფლებისადმი რონალდ რეიგანის სიტყვები გამახსენა, რომლებიც მან თავის ინაუგურაციაზე წარმოთქვა: „მთავრობა ვერ მოაგვარებს ჩვენს პრობლემას. პრობლემა თავად მთავრობაა“.

საქართველოს მთავრობაც ვერ მოაგვარებს იმ პრობლემებს, რომლებიც ამ მიმართვაშია ჩამოთვლილი, რადგან ეს პრობლემები თავად შექმნა ამ მთავრობამ, შექმნა როგორც თავდაცვის, ასევე თავდასხმის საშუალება და მასზე უარის თქმა მისთვის დამარცხების ტოლფასია.

„ქართულმა ოცნებამ“ იცის ეს, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობა, ეუთოს, ევროპარლამენტის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ზეგავლენას მოახდენენ საქართველოს ხელისუფლებაზე და აიძულებენ მას დემოკრატიის რელსებზე დააბრუნოს ხელისუფლების ჯავშანმატარებელი, რომელიც დიდი ხანია ამ რელსებიდან გადავიდა და პოლიტიკურ ჯუნგლებსა და ულრანებში ამოჰყო თავი.

დრო გვაჩვენებს, რამდენად რეალურია სააკაშვილის რეჟიმის ხელახლა აღზრდის და დემოკრატიულ ყაიდაზე გადამზადება-გადაკეთების მცდელობა, თუმცა ვფიქრობთ, რაღაც უმნიშვნელო კომპრომისების გარდა ხელისუფლება სხვა დათმობებზე არ წავა და უკან არ დაიხევს, რადგან უკანდახევის შემთხვევაში, მან, შეიძლება კატასტროფული მარცხი განიცადოს და ყველაფერი დაკარგოს.

— ხელისუფლების შეცვლა უნდა მოხდეს. მხოლოდ და მხოლოდ არჩევნებით! — გზა რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ აირჩია შეიძლება ჩიხში შევიდეს, რადგან, როგორც ათი თვის შემდეგ ირკვევა, ხელისუფლება სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას არ აპირებს და ისევ და ისევ არჩევნების გაყალბებით და ფალსიფიკაციით ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას.

**— არჩევნები უკვე გაყალბებულია... ასეთი არჩევნები არ შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს, — ასკვნის „ქართული კოალიცია“.**

რა თქმა უნდა, სჯობდა ეს დასკვნა სექტემბერში კი არა 4-5 თვით ადრე გაკეთებულიყო და საერთაშორისო თანამეგობრობისთვისაც ადრე მიგვემართა, მაგრამ, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

თუმცა ისიც საკითხავია, ძალიან გვიან ხომ არ არის უკვე ეს „გვიან“?

**გასაოცარია, რომ ამ ექვს მოთხოვნაში არაფერია ნათქვამი ამომრჩეველთა სიის დაზუსტების შესახებ, არადა, სწორედ ამომრჩეველთა სიაა გაყალბების მთავარი წყარო.**



კარგი და მისასალმებელია ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ხომ არ სჯობდა მსგავსი აქცია უფრო ადრე, თუნდაც სექტემბრის პირველ ნახევარში გამართულიყო და სწორედ ამ აქციაზე დასმულიყო ის საკითხები, რომელთა მოგვარების გარეშე არჩევნების ლეგიტიმურობაზე საუბარი ზედმეტია.

**— თუ არჩევნები გაყალბდება, 1 ოქტომბრის შემდეგ გამოვალთ და დავთვალოთ რამდენი ვართ, — აცხადებენ კოალიციის წარმომადგენლები.**

**კი, მაგრამ თუ დათვლაა, ბარემ ცოტა ადრე დაეთვალათ**

თუ გულწრფელნი ვიქნებით, არსებულ ხელისუფლებასთან ერთად არჩევნებში მონაწილეობის ფაქტი უკვე არის გარკვეული სახის კომპრომისი, რადგან იმ დანაშაულებრივი საქმეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ამ ხელისუფლებას აქვს ჩადენილი, ოპოზიცია არჩევნებზე კი არ უნდა საუბრობდეს, არამედ ხელისუფლების დაუყოვნებლივ გადადგომას უნდა ითხოვდეს, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაჩნდეს რეალური შესაძლებლობა სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

უკლებლივ ყველა ოპოზიციური პარტია და აგრეთვე კოალიცია „ქართული ოცნება“ ერთსულოვანნი არიან ამ ხელისუფლების შეფასებაში და მას დანაშაულებრივ, კრიმინალურ რეჟიმად მოიხსენიებენ.

იმ ტიპის ხელისუფლებას, როგორიც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებაა, არ შეუძლია სამართლიანი, მიუკერძოებელი და ობიექტური არჩევნები ჩაატაროს, რადგან ეს მისთვის თვითმკვლელობის ტოლფასია, ამიტომ ის შეეცდება რადაც არ უნდა დაუჯდეს გააყალბოს არჩევნების შედეგები, შემდეგ კი ეს გაყალბებული შედეგები ნებისმიერი საშუალებით, თუ დასჭირდა, იარაღითაც დაიცვას.

**ერთადერთი სწორი სვლა, ერთადერთი გამოსავალი შექმნილი კრიზისული სიტუაციიდან ის არის, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 29 სექტემბრისთვის კი არ გადადოს, არამედ დაუყოვნებლივ, უახლოეს დღეებში გაუკეთოს ორგანიზება თავის მრავალათასიან მხარდამჭერთა აქციას, იმ ექვს პუნქტს დაამატოს მეშვიდე და უმთავრესი პუნქტი — ამომრჩეველთა სიის დაზუსტება და საერთაშორისო დემოკრატიულ თანამეგობრობას, ეუთოს, ევროპარლამენტს**

## თუ ხელისუფლება საბოლოოდ აირჩევს ძალადობის და გაყალბების გზას, საქართველოს ორი არჩევანი აქვს: მივიდეს არჩევნებზე და დამარცხდეს ან არ მივიდეს არჩევნებზე და გაიმარჯვოს!

ძნელი სათქმელია, რას ეფუძნებოდა „ქართული კოალიციის“ ხაზგასმული ოპტიმიზმი, ამ ათი თვის მანძილზე, რომ ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით იყო შესაძლებელი და კოალიცია სწორედ არჩევნებში მოახერხებდა ხელისუფლების გაძევებას პოლიტიკური ასპარეზიდან.

ისიც საკითხავია, რამდენად იქნება საკმარისი არჩევნების ლეგიტიმურად ცნობისთვის თუნდაც ის, რომ კოალიციის ექვსივე მოთხოვნა სრულად შესრულდეს?

**ამ მოთხოვნების შესრულდება განა იძლევა იმის გარანტიას, რომ 1 ოქტომბერს არჩევნები არ გაყალბდება?**

**არა და არა!**

მაშინ რით არის გამართლებული განცხადება იმის შესახებ, რომ კოალიცია მზად არის, თუნდაც დღესვე მოაწეროს ხელი და ცნოს არჩევნების შედეგები, თუ მოთხოვნის ეს ექვსი პუნქტი შესრულდება?

მაშინ, როცა „ამომრჩეველთა ლიგის“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მტკიცებით, კაციტაძის კომისიის მიერ წარმოდგენილი სია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და მასში მილიონზე მეტი ადამიანის სია დაზუსტებას და გადამოწმებას საჭიროებს, რატომ დარჩა კოალიციის ყურადღების მიღმა ეს უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი ფაქტორი?

ეს ხომ ირიბი აღიარებაა იმისა, რომ ამომრჩეველთა სიებში საგანგაშო არაფერია და, აქედან გამომდინარე, არც არჩევნების დღეს არის მოსალოდნელი კანონდარღვევები.

არადა, ხომ ფაქტია, რომ სწორედ სახელისუფლო კომისიის მიერ წარმოდგენილ ამ სიაში ჩანს ყველაზე ნათლად და ცხადად, რომ ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას აპირებს, უფრო ზუსტად, მას უკვე გაყალბებული აქვს არჩევნები.

**ვიღაც-ვიღაცებს კოალიციის მხარდამჭერთა რაოდენობა, არ სჯობდა?**

იქნებ უფრო ეფექტური და პოზიტიური შედეგის მომტანი ყოფილიყო ამ ხალხმრავალი აქციის ფონზე გვეთქვა სიმართლე საერთაშორისო თანამეგობრობისთვის და ისიც დაგვეყოლებინა, რომ

**კოალიცია აცხადებს, რომ 29 სექტემბერს გამართავს ფართომასშტაბიან აქციას, სადაც თავს მოიყრის მისი ასიათასობით მხარდამჭერი, რაც თვალსაჩინოდ დაანახებს ყველას, თუ რამდენად მრავალრიცხოვანია ივანიშვილის მომხრეთა არმია.**

**არა მხოლოდ პოლიტიკური ლიდერები და კოალიციის ხელმძღვანელობა ითხოვს იმ ექვსი პუნქტის შესრულებას, არამედ ითხოვს ასიათასობით ადამიანი, რომლებიც ამ მოთხოვნების იგნორირების შემთხვევაში უნდობლობას უცხადებდნენ არჩევნებს.**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



**და, რაც მთავარია, სააკაშვილს და მის რეჟიმს პრინციპულად, კატეგორიულად განუცხადოს რომ ზემოთნახსენები შვიდპუნქტიანი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მონაწილეობას არ მიიღებს იმ ფარსსა და ტრაგიკომედიაში, რომელსაც 1 ოქტომბრის არჩევნები ჰქვია.**

— არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ნახევარი მილიონი ადამიანი გამოვა ქუჩაში და, აი, მაშინ დაგვთვალონ, რამდენი ვართ, — ბრძანა ბიძინა ივანიშვილმა.

ახლა სჯობია დაგთვალონ, ბატონო ბიძინა, დამიჯერეთ, ეს გაცილებით ეფექტური და რეალური შედეგის მომტანი იქნება დღეს, ვიდრე 2 ოქტომბერს.

**დღეს, დღეს დაანახეთ საერთაშორისო თანამეგობრობას ეს ნახევარი მილიონი ადამიანი და დღესვე დასვით კითხვა: — ამ ნახევარი მილიონი ადამიანის მონაწილეობის გარეშე რამდენად ობიექტური და დემოკრატიული იქნება 1 ოქტომბრის არჩევნები? ან როგორი იქნება იმ პარლამენტის ლეგიტიმურობის ხარისხი, რომელიც ამ „არჩევნებში“ „აირჩევა“?**

* * *

არავინ იცის, 2 ოქტომბრის საპროტესტო გამოსვლების პასუხად რას მოიმოქმედებს არაორდინარული გადაწყვეტილებების და არაპროგნოზირებადი სვლების მოყვარული სააკაშვილი.

**რატომღაც ხშირად ავიწყდებათ, რომ მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა 2012 წელს კი არა 2013 წელს ეწურება და ის 2 ოქტომბერს (გნებავთ, 3,4, 5, თუ 25 ოქტომბერს) ისევ პრეზიდენტად რჩება, რომლის ხელშიც დიდი ძალაუფლება იქნება კონცენტრირებული.**

როგორც ჩანს, სააკაშვილს და მის გუნდს დიდი ხანია შემუშავებული აქვთ გეგმა, როგორ და რა გზებით შეინარჩუნონ ძალაუფლება.

ამ გეგმის ერთი სერიოზული ნაწილია პარლამენტის ქუთაისში გადატანა, რაც მოვლენათა ექსტრემალურ რეჟიმში განვითარების შემთხვევაში, „ნაცმოძრაობას“ საშუალებას აძლევს „გამაგრდეს“ ქუთაისში და ამით დაიცვას თავი მუდამ უკმაყოფილო და საპროტესტოდ განწყობილი თბილისისაგან.

**არც ის არის გამორიცხული, 2 ოქტომბრის მშვიდობიანი საპროტესტო მანიფესტაციები პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოკუპანტი რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ პროვოცირებულ ამბოხებად და შეთქმულებად გამოაცხადოს, მიაფურთხოს ევროპარლამენტს, ეუთოს, აშშ-ს ადმინისტრაციას, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, ჩაკეტოს ქვეყანა და „მეამბოხეებს“ სასტიკად გაუსწორდეს.**

არც ის გაგიკვირდეთ, ოპოზიციისგან „შევიწროებული“ სააკაშვილის და „ნაც.მოძრაობის“ ქომაგად უცებ სააკაშვილის „მტერი“ პუტინი მოგვევლინოს და დაჩაგრულ კოლეგას მოწყალე კალთა გადააფაროს.

ბევრი, ძალზე ბევრი ვერსია შეიძლება ჩამოვთვალოთ, თუ როგორ სახიფათოდ და დრამატულად შეიძლება განვითარდეს მოვლენები 1 ოქტომბრის შემდეგ, ამიტომ საჭიროა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი პრევენციული ზომების მიღება ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

საჭიროა მეტი ინფორმაციის მიწოდება დანარჩენი მსოფლიოსათვის და დოკუმენტურად დადასტურებული სიმართლის თქმა, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში სააკაშვილის რეჟიმი და რა საფრთხეებს შეიცავს 1 ოქტომბრის არჩევნე-



ბი, როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი რეგიონისთვის.

* * *

ფეხბურთში არსებობს ასეთი ცნება — ხელოვნური აფსაიდი.

ეს ის შემთხვევაა, როცა მცველები, მოქმედებენ სინქრონულად, ერთბაშად გამოდიან წინ და მეტოქეს აფსაიდში ტოვებენ.

**თუ ხელისუფლება არაფრის შეცვლას არ აპირებს, დატოვეთ იგი აფსაიდში და „ეთამაშოს“ მერე პუკუდამალობანა საკუთარ ლანდს...**

**დაბოლოს, თუ ხელისუფლება საბოლოოდ ირჩევს ძალადობის და გაყალბების გზას, საქართველოს ორი არჩევანი აქვს: მივიდეს არჩევნებზე და დამარცხდეს ან არ მივიდეს არჩევნებზე და გაიმარჯვოს!**

**მიმომხილველი**

## sams plius erTi

მიუხედავად ხელისუფლების ძალისხმევით ცხოვრების დონის და დემოკრატიის არნახული აღმასვლისა, ჩვენ, უმადურები, მაინც უკმაყოფილო ვართ; „რუსეთის აგენტების“ გავლენით, ღვთითმოვლენილი პრეზიდენტის და მისი გუნდის შეცვლაზე ვოცნებობთ.

მადლობა ღმერთს არიან კიდევ ადამიანები, ვისაც შესწევს ძალა ჩვენ, უვიც აზროვნებადახშულთ თვალი აგვიხილონ.

გაზეთში ინტერვიუები წავიკითხე, რეალ-ტვ-ზეც ვნახე და ამას წინათ ნინო ჟიჟილაშვილის გადაცემაშიც გამოგვეცხადა პუბლიცისტ-პოლიტოლოგ-ანალიტიკოს-ჟურნალისტი გიგა (არისტრახო 2) ლიპარტელიანი.

როგორც ჩანს „ალისტრახო 2“ ხელისუფლებამ „გამოიწერა“ (სხვათა შორის რუსეთიდან) და აგერ წელიწადი ხდება გააფთრებული ესხმის თავს ერთადერთ სამიზნეს — ბიძინა ივანიშვილს.

ლოდ უცხოელებზე, ჩინელებზე, ბურებზე, არაბებზე, ინდოელებზე. მოკლედ ყველა მსურველზე ჩვენი მოქალაქეების გარდა.

არც ერთი ენერგეტიკული ობიექტი, რაც ყველა ნორმალურ ქვეყანაში სტრატეგიულად ითვლება, საქართველოს აღარ ეკუთვნის. ჩვენს გლეხებს მიწას ართმევენ, საძოვარსაც არ უტოვებენ და უცხოელებს აძლევენ. ტყიდან ფიჩხის გამოტანის უფლებას არ აძლევენ, უცხოელებს კი დაუკანონეს უფლება პირწმინდად გაჩეხონ ტყეები. წიაღისეულის გადამუშავებისას მომწამვლელი ნარჩენებით დააბინძურონ ნიადაგი და მდინარეები, მოწამლონ ატმოსფერო. შედეგი სავალალო იქნება. გარემოს გაუდაბნოება.

გიგამ იცის, ეს ყველაფერი ბიძინას ხრიკებია, მაგრამ არავინ უჯერებს.

გარემოს განადგურების მინისტრი ხაჩიძე კი თავისი სახელმწიფოებრივი გადაცემის დროს სულ ცხვირწინ გვიტრიალა ივანიშვილის წინააღმდეგ გესლითა და ბალღამით სავსე, ერთ წიგნად აკინძული, საეჭვოდ ძვირადღირებული გამოცემა.



ჩემო იმანო, სულ პირზე რომ გაკერია, ივანიშვილს რუსული ფული აქვს, რუსეთის მაღალ ეშელონებში აქვს კავშირიო, იქნებ მიპასუხო, რა აკავშირებს რუსეთის სახელისუფლებო წრეებთან ჩვენი ეკონომიკის მამინაცვალს — ბენდუქიძეს?! სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის გარეშე რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტებში წილს ვინ მიაშავებდა? (სხვა ქონებაზე აღარ ვამბობ) ალბათ, გიგა ბატონი გაკვირვებული იტყვის, ეგ არ მსმენია! შეიძლება თქვას, ბენდუქიძეს რუსული ფული კი არა, მონღოლური ტუგრიკები აქვსო.

იქნებ პატივცემულმა გიგამ ის მაინც იცოდეს, რა აკავშირებს რუსეთთან პრეზიდენტის ბიძას თემურ ალასანიას? ახალგაზრდობიდან რუსეთის სპეცსამსახურების მაღალჩინოსანს, წლების განმავლობაში გაეროში რუსეთის წარმომადგენლობის თანამშრომელს ამჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში რომ მოგვევლინა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსანს, დღეს-კი ჩვენს მინისტრ ვაშაძესთან ერთად საქართველოს საგარეო საქმეებს აკვარახჭინებს.

გიგა, ახლა არ გაიკვირვო, რა შუაშია სპეცსამსახური და ვაშაძეო?! ვითომ არ იცი, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სამსახური მარადიულ თანამშრომლობას ნიშნავს. შენ კი, დარწმუნებული ვარ, არ გესწავლება თავად რუსების ნათქვამი?

მაგრამ ბატონ ლიპარტელიანს ეს არ აინტერესებს. მისთვის მთავარია რუსეთიდან საქართველოში თავისი დესანტირების მიზანი — ყველანაირი საშუალებით ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გაწიწმატებული ბრძოლა.

ჰოდა, მგლის თავზე სახარების კითხვისა არ იყოს, მასზე არაფერი შეგონება არ გაჭრის. ამიტომ ახლა უნდა წავიდე, რომ ის გიგაა თუ ნასარიძე (ყველა გიგა ერთნაირად აზროვნებს?) გავალვიძო.

ეჰეი! გიგა! შე ღმერთგამწყრალო, რამ დაგარქმევინა ორგანიზაციისათვის „საქართველო არ იყიდება“! არ იყიდება კი არა, უკვე გაიყიდა! თანაც მხომოღვაწეობით კმაყოფილი დიპლიპიტოს ურახუნებს, რომელსაც სულ მანქანით დაატარებს.

გიგა იმასაც მიხვდა, რომ ბიძინა ივანიშვილია ის პიროვნება, რომელიც ქართულ ტერიტორიას ნაწილ-ნაწილ ჩუქნის ან 1 ლარად უთმობს მეზობლებს. სომხებს საზღვრები გადმოაქვთ აქეთ, აზერბაიჯანი უკვე დავით გარეჯში მღვდელთმსახურებსაც აღარ უშვებს, რაჭაში კურორტ შოვის ზევით მამისონის მთელი ტერიტორია რუსებს უფეშქაშა. აჭარაში თურქებს მოქალაქეობის ყალბ საბუთებს ურიგებს და კიდევ რას მოიფიქრებს, არავინ იცის, გიგა ნასარიძის გარდა და ამიტომაც საქვეყნოდ ჩამოხსნა ნიღაბი რუსეთის აგენტს ივანიშვილს.

ეეჰ, გიგა, ბიძიკო! ბლანჟეს გარდა სინდის-ნამუსიც რომაა საჭირო, არავის უთქვამს შენთვის?!

ეეჰ! გიგებო, თქვენ უმალ ენას მოიკვნეტთ, ვიდრე სააკაშვილს საყვედურს მაინც შეჰკადრებთ, თუ რატომ შეუერთა ცხინვალის რეგიონს ახალგორი, რაღაც გაუგებარი ადმინისტრაციის შექმნით. დალი — კოდორის ხეობა ზემო აფხაზეთად მონათლა და ორივე რეგიონის ოკუპაცია გაუადვილა ოკუპანტს. იქნებ იმაშიც დაეთანხმოთ, დაკარგულ ტერიტორიებს ქვა-ღორღის გროვა რომ უწოდა, 100-ზე მეტ დაკარგულ სოფელზე კი ბრძანა — დიდი ამბავი, რაღაც 3 სოფელი დაიკარგაო. უი, უი! მართალი ხარ, ეს ხომ ივანიშვილის ხრიკების ბრალია.

აი, ეროვნულ-დემოკრატების მთავარ თავკაცს რუსეთში აგენტურა რომ არ ჰყოლოდა,ვინ გამოუტანდა კრემლის საიდუმლო თათბირიდან ამბავს — როგორ იგეგმება საქართველოში ახალი საოკუპაციო კამპანია, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი უნდა „ჩაუდგეს“ სათავეში.

**დავით სოკოლოვი**

(რუსეთის აგენტი)

# am xelisuflebis muxanaTobis wyalobiT, SeiZleba, qarTvelieri moRalateerad gamogvacxadon da mTeli kavkasia Cvens winaaRmdeg daiZras...

***„საერთო გაზეთს" საერთაშორისო ორგანიზაცია „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის" თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.***

- ლოპოტას ხეობაში განვითარებულმა ინციდენტმა ძალზე დიდი მღელვარება გამოიწვია ჩრდილოეთ კავკასიაში, რაც კავკასიურ დიასპორებსაც გადაედო. ძალიან ბევრი ადამიანი სალაფიდებს, ანუ ე.წ. ვაჰაბისტებს პატივს არ სცემს და არც ანგარიშს უწევს, მაგრამ ისინი აღშფოთებულნი არიან, საქართველოს ხელისუფლების მუხანათობით და ღალატით.



ამით იმის თქმა მინდა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც კახეთში გაანადგურეს, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები მანამდეც იცნობდნენ, ეკონტაქტებოდნენ და შეიძლება საქმიანი გარიგებებიც კი ჰქონდათ. ეს ხალხი რომელი დაჯგუფების წევრები არიან დღემდე ვერ დავადგინეთ, რადგან მათი იდენტიფიკაცია არ მომხდარა. ჩვენი ჩრდილოკავკასიელი მეგობრები ვარაუდის დონეზე საუბრისგან თავს იკავებენ. მათ რომ გამოაცხადონ, ამა თუ იმ დაჯგუფების წევრები დახოცესო, შეიძლება ისინი არ იყვნენ და ოჯახის წევრები ტყუილად უნდა დაზაფრონ და პანიკაში ჩააგდონ. მიუხედავად ამისა, გარკვეული მონახაზები უკვე არსებობს. ვიმეორებ, ეს ის ხალხია, რომლებიც ჩვენს ხელისუფლებასთან კონტაქტში იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე მათგანს პირადად იცნობდნენ. ჩვენმა ჩრდილოკავკასიელმა მეგობრებმა პირდაპირ მითხრეს, ისინი ადრეც თანამშრომლობდნენო. სწორედ ამის გამო ენდო მათ ეს ხალხი და პირდაპირ მივიდნენ იქ. გზა შეეშალათო, რომ ამბობენ, ტყუილია, რადგან მარშრუტს შეიძლება 1-2 კილომეტრით ასცდე, 25 კილომეტრით აცდენა, თანაც ასე დაუბრკოლებლად, გამორიცხულია. ერთი სიტყვით, ეს შეხვედრა პირველი არ იყო. ისე, ეს ყველაფერი სახელისუფლებო ტელევიზიებმა ბოლოდან გააშუქეს, ანუ როცა ეს ხალხი უკვე ტყეში იყო გასული.

**- რას გულისხმობთ?**

- კონფლიქტი ტყეში გასვლამდე, ამ ორი მხარის შეხვედრის დროს მოხდა. ეს სისხლიანი ინციდენტი იმ კონფლიქტის შედეგი იყო, რომელიც არ ვიცით ზუსტად სად და რატომ მოხდა, რადგან მოწმეები გაანადგურეს. ხელისუფლება კი აშკარად მალავს სიმართლეს.

აქვე ისიც მინდა გითხრათ, რომ ამ ჯგუფს საზღვარი არ გადმოუკვეთია, ისინი კარგა ხანია საქართველოში არიან. უბრალოდ, რაღაც საკითხზე ვერ შეთანხმდნენ, მათაც გუდა-ნაბადი აიკრეს და წასვლა უნდოდათ, მაგრამ ცოცხლები არ გაუშვეს, ინფორმაცია რომ არ გაეტანათ.

**- ამ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე „საერთო გაზეთს" ინფორმაცია მიაწოდეს, რომ ე.წ. აფრიკის დასახლებაში მდებარე რომელიღაც ძალოვანი სტრუქტურის ბაზაზე დაპირისპირება მოხდა. იქ ახალი მეთაური დაუნიშნავთ, რომელმაც თურმე ყველა განსხვავებული აზრის მქონე თანამშრომელი გაათავისუფლა, რასაც ბუნტი მოჰყოლია. დაახლოებით 40 ჯარისკაცი სასწრაფოდ მოაშორეს იქაურობას და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანესო. სხვათა შორის, მოძრაობა „ივერიელების" ლიდერი ლევან კოჭლოშვილი თავის საგაზეთო ინტერვიუში აცხადებს, ამ ინციდენტამდე 5 დღით ადრე ჯარის ერთი დანაყოფი სოფელ ართანის ხეობაში აიყვანეს, მეორე კი სოფელ ლაფანყურში იყო დაბანაკებულიო. ეს ფაქტები ამ ყველაფერს ხომ არ უკავშირდება?**

- ზუსტად ამის თქმა ძალზე ძნელია, რადგან სამხედრო ბაზა გასაიდუმლოებული სივრცეა და არ მინდა პოლიტიკოსებისთვის დამახასიათებელი უსაფუძვლო განცხადებები ვაკეთო. რომელ ბაზაზე რა მოხდა, მაგას ვერ გეტყვით, მაგრამ ხსენებული ჯგუფის დახოცილ წევრებს შორის, სავარაუდოდ, საქართველოს მოქალაქეებიც არიან.

ხელისუფლება აცხადებს მძევლები ორჯერ ჩავანაცვლეთო, ე.ი. „გამტაცებლები" კონტაქტურები იყვნენ და მათთან დიალოგი შედგა. ასეთ დროს ძალის გამოყენება საჭირო არ არის. მეორე საკითხია, ისინი რას ითხოვდნენ. თუ მათ ისეთი მოთხოვნა ჰქონდათ, რომელსაც ეს ხელისუფლება არ ან ვერ შეასრულებდა, ამ მდგომარეობიდან ძალზე მარტივი გამოსავალი არსებობდა. ხელისუფლების წარმომადგენლებს შეეძლოთ მოემართათ ჩემთვის ან „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის" სხვა ლიდერებისთვის, რათა გვეშუამდგომლა გამტაცებლებსა და ხელისუფლებას შორის. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ეს გადამოწმებული მაქვს ჩვენი ორგანიზაციის გამგეობის წევრებთანაც, რომ ჩვენ ამ კონფლიქტს უსისხლოდ მოვაგვარებდით. გამოდის, ხელისუფლებას არ უნდოდა დიალოგი ამ ხალხთან, ანუ მორიგება-შეთანხმება და ამ ინციდენტის უსისხლოდ დამთავრება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ცოცხალი მოწმეები არ აწყობდათ.

როგორც გითხარით, ამ მუხანათობამ ძალიან დიდი აღშფოთება გამოიწვია ჩრდილოკავკასიაში, რაც პირდაპირ მითხრეს.

**აზერბაიჯანის მხრიდან მოემართებოდნენ საქართველოსკენ. მოხდა საშინელი ფაქტი, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან (კახეთის მხარე) აზერბაიჯანისა და რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმებმა ამ ხალხს ჩასაფრება მოუწყვეს და გაანადგურეს. მხოლოდ სამი მათგანი გადარჩა ცოცხალი და დღეს ისინი რუსეთის ციხეებში იხდიან სასჯელს.**

**- „გაყიდულები" ხომ არ იყვნენ?**

- რა თქმა უნდა. ვერ წარმოიდგენთ, „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციას" რამხელა ძალისხმევა დასჭირდა ამ მუხანათური ინციდენტის გასანეიტრალებლად. ჩრდილოკავკასიელები როგორღაც დავარწმუნეთ, რომ ეს იყო შემთხვევითობა და მებრ-







**პირველად თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცხადებ, რომ 2010 წლის ივლისში საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა სტუმრად მოიწვია რამდენიმე სერიოზული მებრძოლი, საუბარია კავკასიის გარეთ მცხოვრებ მებრძოლებზე, რომლებიც წარმოშობით ჩრდილოკავკასიელები იყვნენ. ისინი**




ძოლები გაყიდულები არ იყვნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მებრძოლთა გადაადგილების მარშრუტი მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა იცოდნენ. 30 აგვისტოს მქონდა მათთან კონტაქტი და სწორედ ეს ფაქტი გამახსენეს. ისიც მითხრეს, ძალზე დიდ პატივს ვცემთ თქვენს ორგანიზაციას, არც ქართველ ერთან და საქართველოს მოსახლეობასთან გვაქვს რაიმე პრობლემა, მაგრამ მეორედ ასეთ ღალატს აღარავის ვაპატიებთო. მათაც აინტერესებთ, საქართველოს ხელისუფლებას თუ ამ ხალხის დახოცვა არ უნდოდა, ჩვენ რატომ არ დაგვიკავშირდა, შუამავლად რომ გამოვსულიყავით. ვერაფერი ვუპასუხე. მათგან ერთი დაპირება მაინც მივიღე, ჩრდილოკავკასიელი მებრძოლები ამ დღეებში გააკეთებენ ხელახალ განცხადებას შურისძიებასთან დაკავშირებით, სადაც დააკონკრეტებენ, რომ არაფერს ერჩიან ქართველ ხალხს.

საქართველოს ხელისუფლებამ ძალზე დიდი შეცდომა დაუშვა. ერთი მარტივი კითხვა მაქვს, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო, მებრძოლთა მცირე ჯგუფის ლიკვიდაცია თუ ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ურთიერთობის გაფუჭება? ჩვენ სიტყვით კავკასიელებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვინდა. თუ ასეა, მაშინ გაგვეშვა ეს ხალხი თუნდაც მესამე ქვეყანაში, ეს არ სჯობდა მთელი ჩრდილოკავკასიელების, როგორც მეომრების ისე არამეომრების, ვაჰაბისტებისა თუ ტრადიციული ისლამის მიმდევრების უნდობლობას?

**მუხანათობას და ღალატს ყველა ერი ერთნაირად აფასებს, მითუმეტეს, რომ ქართული მხარის მხრიდან ეს მეორედ ხდება. ისინი ალარაფერს ამბობენ რუსლან გილაევის მიმართ ჩადენილ ღალატზე, როცა ის აფხაზეთში გააგზავნეს თავის მებრძოლებთან ერთად და სასიკვდილოდ გაწირეს.**

მესმის, რომ მათთან პრეტენზია გაქვს აფხაზეთის ომთან დაკავშირებით, მაგრამ მათ თუ ერთხელ შეეშალათ, შენ სამჯერ რატომ გეშლება, მითუმეტეს, თუ მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გინდა? თუ კეთილმეზობლობის მაგიერ ის უნდათ, რომ რუსეთმა ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის დაპირისპირების ცეცხლზე ხელი მოითბოს, მაშინ „სწორად" მოქცეულა ჩვენი ხელისუფლება.

**ჩრდილოკავკასიელებს ეჭვი აქვთ, რომ თავიდან საქართველოს ხელისუფლებასა და ამ ჯგუფს შორის დიალოგი კარგად მიდიოდა, მაგრამ მერე ჩვენი ხელისუფლება დაუკავშირდა რუსეთის სპეცსამსახურებს, მათგან დირექტივები მიიღო და ჩაატარა ეს სპეცოპერაცია.**

წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სასაზღვრო ზოლში ვერც სამხედრო ოპერაციას ჩაატარებდნენ და ვერც ავიაციას გამოი-

ყენებდნენ რუსეთთან შეუთანხმებლადო.

იქამდე მივდივართ, რომ ჩვენი ჩრდილოკავკასიელი მეგობრების ეჭვები - ეს ოპერაცია რუსეთის სპეცსამსახურებთან იყო შეთანხმებულიო, სიმართლეს შეეფერება.

**- ბატონო ზაალ, ხელისუფლება აცხადებდს, რომ ეს მებრძოლები დაღესტნელები იყვნენ. მათ იდენტიფიკაციამდე ასეთი დარწმუნებით განცხადების კეთება რას შეიძლება ეფუძნებოდეს? ისე ძალზე საეჭვოდ გამოიყურება იმ ხუთი ადგილობრივის გატაცებაც. თავიდან თქვეს ტყეში დაიკარგნენ და მეორე დღესვე იპოვესო. მერე უცებ ამ ინციდენტს მიაბეს. ეს ე.წ. მძევლები დარიგებული ბავშვებივით ლაპარაკობდნენ, თანაც რატომღაც მათი საუბრის მხოლოდ მცირე მონაკვეთები გვაჩვენეს. ისიც ძალზე საინტერესოა, რა ენაზე ეკონტაქტებოდნენ მათ „დაღესტნელი გამტაცებლები“, რაღაც მეეჭვება, ამ ახალგაზრდებმა რუსული ენა იცოდნენ...**

- როდესაც კავკასიის საემირო შეიქმნა (ამჟამად დოკუ უმაროვია ემირი), იქ ჩრდილო კავკასიის ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები გაწევრიანდნენ. მეომარს საერთოდ, ეროვნება არ აქვს, ვაჰაბისტები თვითონაც რელიგიურ მრწამსზე აკეთებენ აქცენტს და არა ეროვნულობაზე. ასე, რომ, თავიდანვე არასწორი იყო მიდგომა, დაღესტნური დაჯგუფება იყოო. დარწმუნებული ვარ, ამ დაჯგუფებაში ყველა ერის წარმომადგენელი იქნება და ყველაზე ცოტა სწორედ დაღესტნელები იქნებიან (ბოლო ხანს გავრცელებულმა ინფორმაციამ ზაალ კასრელიშვილის ეს ვერსია დაადასტურა - მ.ს.) ისინი სალაფიდები (ვაჰაბიტები) არიან. ეს არის ისლამის ყველაზე რადიკალური, შეურიგებელი ფრთა. მოჯაჰედობა მათზეც ვრცელდება, რადგან მოჯაჰედი ღვთის მეომარს ნიშნავს, ასე რომ, ვინც ალაჰის სახელით იბრძვის ყველა მოჯაჰედია.

**- ორი ქართველი სპეცრაზმელი და სამხედრო ექიმი თქვენი აზრით, მებრძოლებთან შეტაკებისას დაიღუპნენ?**

- ჩვენი ჩრდილოკავკასიელი მეგობრების თქმით, ისინი ოფიციალურად გამოცხადებულ სამ-



ხედრო ოპერაციამდე დაიღუპნენ. იმასაც ამბობენ, სროლა დაჯგუფების წევრებს არ დაუწყიათო, მაგრამ ცოცხალი მოწმე აღარ დარჩა, რომ გაგვეგო, სად მოხდა ეს კონფლიქტი და რაზე იდავეს. არის ვერსია,



რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამ ხალხს შეპირებული თანხა არ გადაუხადა და იმიტომაც მოუვიდათ დაპირისპირება. რა რაოდენობის თანხაზე იყო საუბარი და რატომ უნდა გადაეხადათ, არ ვიცით. როგორც ჩვენმა ჩრდილოკავკასიელმა მეგობრებმა გვითხრეს, მათ ზუსტი ინფორმაციების მისაღებად მინიმუმ ორი-სამი კვირა დასჭირდებათ, რადგან მებრძოლები ტყეში არიან და მათთან დაკავშირებას მხოლოდ საველე ფოსტითაა შესაძლებელი, თან ისიც ვერ დაადგინეს, რომელი მიმართულებით უნდა მოიძიონ ინფორმაცია.

**ხსენებული სამი ქართველი ვინ მოკლა, ვერ გეტყვით, მაგრამ ამის გარკვევა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. იმისათვის, რომ საზოგადოებაში ეჭვები გაფანტონ, კეთილი ინებოს ხელისუფლებამ და არასამთავრობო ექსპერტებს მისცეს საშუალება, დაათვალიერონ ის ტყვიები, რომლითაც ჩვენი მებრძოლები დაიღუპნენ.**

ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით სამძიმარს ვუცხადებ მათ ოჯახებს, ქედს ვიხრი მათი ვაჟკაცობის წინაშე.

**ოფიციალური ვერსიით, ექვსი მებრძოლი კვლავ ტყეშია. ის სამი მძევალიც თუ ისევ მათთანაა, ვერც ეს გავარკვიეთ. ამ მებრძოლების წინააღმდეგ ბრძოლის იმიტაციას სად გამოიყენებენ, კაცმა არ იცის.**

ხვალ რომ გამოაცხადონ ეს ჯგუფი მარტვილში გადავიდაო და იქ ჯარი შეიყვანონ გაგიკვირდებათ? მათ თურმე რუსეთში არ უშვებენ, მაგრამ სინამდვილეში რა ხდება, არ ვიცით. ეს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ცოცხალი მოწმე არ დატოვოს, მებრძოლებთან ერთად იმ სამ მოწმესაც ვგულისხმობ.

**- ნაცხელისუფლება ამტკიცებს, რომ ეს დაჯგუფება რუსეთიდან გადმოვიდა, რუსეთი კი ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს. თქვენც აცხადებთ, რომ ისინი რუსეთიდან არ გადმოსულან. გამოდის, სააკაშვილი კვლავ ცრუპენტელობს?**

- ხელისუფლების ეს ოფიციალური ვერსია ხაზს უსვამს, რომ უუნარო სასაზღვრო ჯარი



გვყავს. სასაზღვრო ზოლში კავკასიის მთელ პერიმეტრზე რუსეთის ჯარი დგას, სამხედრო წვრთნებისთვის ემზადებიან, რა დროსაც გასამმაგებული რაოდენობის სამხედრო კონტინგენტია, ხოლო უსაფრთხოების ზომები გაათმაგებულია.

**რუსული ავიაცია დღეში რამდენჯერმე ამოწმებს მთელ პერიმეტრს, სურათებსაც იღებს და როგორ გამოეპარათ მათ ამ დაჯგუფების გადმოსვლა? მიხეილ სააკაშვილს ვეკითხები, ვთქვათ, იმათ გამოეპარათ, შენ როგორღა გამოგეპარა? ე.ი. რუსებსაც და თქვენც გაწყობდათ და გადმოუშვით. მთლად უარესი, წინასწარ შეთანხმებულხართ, რომ რუსებისთვის არასასურველი სამხედრო დაჯგუფება თქვენი ხელით მოეშორებინათ, ბატონო მიხეილ!**

„საერთო გაზეთი“ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოცდილ, პროფესიონალ სპეციალისტებსაც ესაუბრა.

რესპონდენტთა განცხადებით, ჩვენ, პირველ რიგში, ის უნდა გავარკვიოთ, კახეთშიც თუ ამზადებენ იმგვარ ჯგუფებს (პარტიზანები თუ მოხალისე რეზერვისტები), რომლებზეც ირაკლი ალასანიამ ისაუბრა სამეგრელოსთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, ასეთი ჯგუფები ადგილობრივი მაცხოვრებლებითაა დაკომპლექტებული.

**თუ კახეთშიც არის ასეთი ჯგუფი, რომელსაც ოფიციალურად ამზადებენ, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ ეს ბიჭები მათთან იყვნენ მარიამობასთან დაკავშირებით საქეიფოდ ასული,**

მით უმეტეს, რომ, როგორც ადგილობრივები ამბობენ, ისინი „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები ყოფილან (ოპოზიციურად განწყობილებს იქ ცხვირს არავინ შეაყოფინებდა). შეიძლება, ქეიფის შემდეგ იჩხუბეს და სისხლისღვრაც მოხდა.

**ოფიციალური ვერსიით, დაღესტნურ დაჯგუფებასთან შეტაკებისას ორი სპეცრაზმელი და ერთიც სამხედრო ექიმი, რომელთა ასაკიც 40-45 წელია. მოხალისე რეზერვისტებს თუ ზონდერჯგუფებს, რაც გინდათ, ის დაარქვათ, ცხადია, სპეცრაზმელები ამზადებენ, თანამედროვე ბრძოლის ტაქტიკის მიხედვით, თურმე ყველა ოცეულს უნდა ჰყავდეს თავისი ექიმი. ასე, რომ, არ არის გამორიცხული, ეს ადამიანები ასეთ გასაიდუმლოებულ საწვრთნელ ბაზაზე, თუ ასეთი მართლაც არსებობს კახეთში, დაღუპულიყვნენ.**

ჩრდილოკავკასიელებზე დაყრდნობით, ზაალ კასრელიშვილიც აცხადებს, რომ ეს ადამიანები ზემოხსენებულ ინციდენტამდე დაიღუპნენ.

ერთი სიტყვით, გამორიცხული არ არის, რომ ის რაღაც კონფლიქტი სწორედ კახეთში მოხდა და ხელისუფლებას ეს რაღაცნაირად ხომ უნდა „გაეპრავებინა“. ახლა რაც შეეხება 11 დახოცილ მებრძოლს. მათი მხოლოდ სურათები გვაჩვენეს, სადაც სახეები დაფარულია. ასეთი სურათებითაა სავსე ინტერნეტი, ამიტომ ამის მიხედვით, მსჯელობა ძალზე ძნელია, თუმცა პროფესიონალთა განცხადებით, თუ მართლაც ამ სპეცოპერაციისას განადგურებული მებრძოლების ცხედრებია, მათი დაღესტნიდან გადმოსვლა უნდა გამოირიცხოს. ტელევიზიით ნაჩვენებ კადრებში აშკარად ჩანდა, რომ მათ სრულიად ახალი ტანსაცმელი ეცვათ, ანუ ისინი თვეობით ტყეში ნამყოფებს არ ჰგავდნენ. თანაც თურმე მებრძოლებს ასეთი ტანსაცმელი არ აცვიათ. ეჭვს იწვევს იარაღის რაოდენობაც. ამხელა არსენალს 20 კაცი მთასა და ტყე-ღრეში ვერ ათრევდა, თან ერთი ისეთი ტიპის „მუხა“ ჩანდა, რომელიც ლამის სტალინის დროს ამოიღეს გამოყენებიდანო. იარაღთან დაკავშირებით გენერალმა გია ყარყარაშვილმაც გააკეთა ძალზე საინტერესო შენიშვნა, სრულიად ახალი იარაღია, ერთი ნაკაწრიც კი არ ჰქონდაო.

ეს ინტერვიუები უკვე ჩაწერილი გვქონდა, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქართველი ძალოვნების მიერ დახოცილი ე.წ. ტერორისტები პანკისელი ქისტები არიან, ყოველ შემთხვევაში, შვიდი მათგანი მაინც. ჩვენ კვლავ დავუკავშირდით ზაალ კასრელიშვილს კითხვით, რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ეს ინფორმაცია.

**- ბატონო ზაალ, დაღუპულები მართლაც თუ არიან ქისტები და თუ არიან, მაშინ ეს წინასწარ გათხრილი და მიტოვებული სამარეები რას მივაწეროთ?**

- მართლაც ქისტები არიან და ოთხი მათგანის ვინაობა უკვე ცნობილია. ქისტები შურისძიებით იმუქრებიან. ხელისუფლება ელოდება, რომ ცოტა მაინც ჩაწყნარდეს მღელვარება. საქმე იმაშია, რომ ჯიჰადისთვის დაღუპული ადამიანები მუსულმანებისთვის გმირები არიან და მათი საფლავები წმინდა ადგილად ითვლება, სადაც სალოცავად მიდიან. ამ ადამიანების საფლავები მუსულმანთა მასობრივი თავშეყრის ადგილად იქცევა. არჩევნების წინ ხელისუფლებას არ აწყობს, რომ პანკისის ხეობაში უამრავი მუსულმანი ჩავიდეს, რადგან ამას შეიძლება სერიოზული ექსცესები მოჰყვეს. სხვათა შორის, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა საღვთო ომში დაღუპული მებრძოლების ცხედრებს მათ ოჯახებს არ აძლევს, თვითონ კრძალავენ, რადგან ისინიც ძალიან ერიდებიან მუსულმანთა დიდ თავყრილობებსა და დაძაბულობას.

**მანანა სუხიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# atrovebuli

ნურავინ მიწყენს თუ ვაღიარებ, რომ არც ერთი კანდიდატის წინასაარჩევნო დაპირებებს არ ვუსმენ, რადგან „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ აბსოლუტურად ზუსტად გამოხატავს ჩემს დამოკიდებულებას ყველას მიმართ, მაგრამ სოციალურ ქსელში ისეთ პოსტს გადავაწყდი, ძალიან დამაინტერესა, რა კავშირში იყო საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაუპატიურებასთან, ვის ვინ უპირებდა გაუპატიურებას და რატომ? მოვძებნე პატივცემული მარიკა ვერულაშვილის შეხვედრა ამომრჩეველთან ყვარელში და კარგა ხანს ვიცინე. მოდი და ნუ გაგეცინება. ყველაფერი გამიგია რომ ამომრჩეველს შეპირდე, მაგრამ როგორც მარიკამ ყვარ-




ლელი ქალები დაამუნათა, მსგავსი არ მსმენია.

მარიკა ვერულაშვილი, ნაციონალების“ მაჟორიტარი კანდიდატი; — „ ძალიან ცუდი კადრები მაქვს ნანახი, რა მოაქვს რუსის ჯარს ჩვენს ქვეყანაში და რა გველოდება, რა?! ყველაფერი დაგვავიწყდება, ბებო! 106 ლარი კი არა, საკუთარი თავი დაგავიწყდებათ, პირობას გაძლევთ! 106 წლის მოხუცი ქალი, რომელიც სახლიდან ვერ გაიყვანეს, ხო, კადრები მაქვს, რომ ხუთი რუსი ჯარისკაცი რიგრიგობით როგორ აუპატიურებს, აი, ეს გველოდება ჩვენ! აი, ამ მთების იქით და ახალსოფლის მთების იქით დაღესტანია და სახმელეთო ჯარი უკვე მომდგარი იყო — ამაზე ვსაუბრობთ. სასაცილო არ არის, ბებო, ეს!“

ბებო, რომელსაც მარიკამ შეუძახა, რა გაცინებსო, ნამდვილად არ იყო 106 წლის და რა ექნა, ეცინებოდა, ვინ იცის, რა კახური ენაკვიმატობის თქმა უნდოდა, მაგრამ კამერებს მოერიდა.

როგორც მარიკა ვერულაშვილის წინასაარჩევნო შეგონებიდან ჩანს, რუსეთს მხოლოდ ორი მიზანი აქვს საქართველოში ასასრულებელი, სამხედრო პირებს — გააუპატიურონ მოხუცი ქალები და რუსეთის პრეზიდენტს — კვერცხებით ჩამოკიდოს საქართველოს პრეზიდენტი, აი, ის ორი სტრატეგიული ობიექტი (რკინიგზასა და გაზსადენთან ერთად) რაც გადაგვრჩა და რუსეთისა არ არის...

რატომ უჩნდებათ დიად ნაციონალებს მხოლოდ სექსუალური ფანტაზიები, ვფიქრობ და ვერაფრით დამიწმინდავებია, არადა, ქალიან- კაციანად, მხოლოდ ამ მიმართულებით ჰქრის მათი გონება.

ახალგაზრდული ბანაკების ბუჩქებისკენ სწორება ძლივს მოვინელეთ და ახლა მოხუცები გვყავს გადასამალი.

ეს კი არა და, ოთარ ტატიშვილის „ღამის შოუში“ სტუმრობისას თამარ ჩერგოლეიშვილმა ნინო ჯანგირაშვილის „ფეისბუქური“ დებატების შესახებ რომ ისაუბრა, ლალი მოროშკინასა და თაკო ფხაკაძის გახმაურებული „შეტაკების“ შემდეგ ნინოს სტატუსს გამოეხმაურა, სადაც იგი წერდა, რომ შემდეგი ჩხუბი მათ შორის მოხდებოდა. ჩერგოლეიშვილმა უპასუხა (იგულისხმება, რომ ხუმრობით): „შენ თუ სკანდალი გინდა, ეთერში ჩემი და შენი სექსი აჯობებსო“ — აი, კიდევ ერთი მამალი ნაციონალის ფანტაზია.

ამ ფონზე ბავშვურ ანცობად ჩანს კობა ხაბაზის დროსტარებები უმწიფარ გოგონებთან და სხვა დიდ-დიდ ნაციონალთა ხვინტრიცი მოპირდაპირე სქესის ლამაზმანებთან...

ზოგადად, ვინ ვისთან და როგორ ატარებს მოჭარბებულ დროს, არავისი საქმე არ არის, მაგრამ ე.წ სახელმწიფო მოხელეები, გონებრივად თუ ვერა, სექსუალურად მაინც ხომ უნდა იყვნენ დამწიფებულები? (არჩილ კბილაშვილის ცნობილი წინადადება ქილიკის საგანი გახდა, მაგრამ უკვე ვეჭვობ, მართლს ხომ არ ამბობდა ეს კაცი?)

მარიკა ვერულაშვილმა, როგორც ჩანს, კონკრეტული მიზეზი, რატომ უნდა დაგვესხას თავს რუსის ჯარი, რის წასართმევად და მისათვისებლად, ვერ მოიფიქრა და გაუპატიურებასღა გადასწვდა, იფიქრა, ვიღას ემახსოვრება 12 წლის წინანდელი პარლამენტარების იდეაო და მოძველებული, მაგრამ მაინც „თემა“ შემოაგდო, იმდროინდელი, „რეფორმატორ-ნოვატორობა“ რომ უნდოდა ყველა გზააბნეულს და დედისგან დაწყევლილს...

12 წლის წინ — **„მართალი გაზეთი“ №21 დეკემბერი 2000 წელი**

**ქართული პარლამენტის სექსო-პოლიტიკური ვნებები**

*გიხაროდენ! ეროვნული თავმოყვარეობა იღვიძებს!*

*საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება: საქართველოს პარლამენტმა გადაწყვიტა გამოყოს სპეციალური საპარლამენტო კომისია, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სექსუალური ომების საკითხს; დაადგენს და გამოამზეურებს ამ სახელმწიფოების მიერ ჩადენილ კონკრეტულ ფაქტებს და ამის მიხედვით მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ამ სახელმწიფოებთან შემდგომი ურთიერთობების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით!*

*1837 წელს ნიკოლოზ I ეწვია საქართველოს. ქართველმა დიდებულებმა იმპერატორს ორბელიანის ულამაზესი ასული მაიკო „მიართვეს“ ძღვნად. რა იცოდნენ მაშინ ქართველმა დიდებულებმა, რომ 163 წლის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტი ამ საჩოთირო ამბავს გაიხსენებდა და პოლიტიკურ სარჩულს გამოაკერებდა.*

*— დროა, ეროვნულმა თავმოყვარეობამ გაიღვიძოს ქართველობაში! დროა, ეროვნული ღირსების გრძნობა დავიბრუნოთ! — ქუხდნენ ეროვნულ თავმოყვარეობაგაღვიძებული პატრიოტი ქართველი პარლამენტარები და რუსეთს მრისხანედ უქნევდნენ მუშტებს. განსაკუთრებით კაკო აქტიურობდა, ასათიანი: — როგორ, რუსებს ამდენი შეურაცხყოფა როგორ შევარჩინოთ, გამოვიდეთ დსთ-იდან და საერთოდ, კარგად იყვნენ რუსები, ჩვენ მაგათთან არაფერი გვესაქმებაო.*

*ნამდვილი ვაჟკაცია ეს ჩვენი კაკო ასათიანი, ნამდვილი ჯიგარია. სადაური ამბავი გაიხსენა, კაცო? რა ბოღმას ატარებდა თურმე ამდენი ხნის განმავლობაში პატრიოტულ გულში? როგორ გაუძლო გულმა, როგორ არ გაუსკდა ლობიო პარკივითა?*

*პატრიოტ კაკოს არც პატრიოტი კობა დავითაშვილი ჩამორჩა. იმანაც სულ ფუთიანი მუშტები იბრაგუნა მკერდში. ეგეთი ამბები როგორ შევარჩინოთ რუსებს, სად არის ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა და სინდის-ნამუსიო.*

*სესია დამთავრდა. თვალებაცრემლებული და გულაჩუყებული დარბაზი დიდხანს, დიდხანს უკრავდა ტაშს პატრიოტ პარლამენტარებს.*

*დარბაზში ამაყად ფრიალებდა ქართული დროშა.*

*განსაკუთრებით ბედნიერი და გაბადრული იმ დღის გმირი კაკო ასათიანი ჩანდა.*

*ბატონი კაკო იმ ღამესვე მიიწვია „კურიერმა“, სადაც მან უკვე ღია ეთერში მიმართა ქართველ ერს ეროვნული თავმოყვარეობის დროულად გამოღვიძების აუცილებლობის შესახებ.*

*სტუდიაში მაყურებელთა ზარი არ წყდებოდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ქართველებში ბატონი აკაკისა და კობას წყალობით ეროვნულ-სექსუალური თავმოყვარეობა აშკარად გამოღვიძების გზაზე იდგა და საცაა მთლად გაიღვიძებდა.*

* * *

*— უსმინე წუხელ?*

*— ვუსმინე, აბა, არ ვუსმინე?!*



*— ხომ მაგარი ბიჭია ეს ჩვენი კაკო?*

*— მაგარია, მაგარი... თუმცა ცოტა შორიდან უნდა დაეწყო...*

*— მაინც საიდან?*

*— საიდან და თამარ მეფიდან. არ გახსოვს გიორგი რუსმა რა გვიქნა?*

*— აუჰ, სულ არ გამხსენებია. არა, ძმაო, მარტო დსთ-იდან გამოსვლასა და სავიზო რეჟიმის შემოღებაზე არ უნდა გავჩერდეთ — ომი უნდა გამოვუცხადოთ რუსეთს! ეს როგორ დამავიწყდა, კაცო! ომი, ხვალვე უნდა გამოვუცხადოთ ომი, თამარ მეფის შერცხვენა რავა უნდა შევარჩინოთ მაგათ!*

*— მეთორმეტე საუკუნეშიც ეგეთი დაუნდობლები იყვნენ ეგენი, მაიკო ორბელიანს ვჩივი? — მზესავით ქალი, თანაც მეფე გაგვიბახა და წავიდა.*

*— ომის გარეშე ამ სირცხვილს ვერ ჩამოვიბანთ, თუ ეროვნული თავმოყვარეობა იოტისოდენა მაინც შეგვრჩენია, ახლა გამოჩნდება მაგი...*

*— რუსებს ომი რომ უნდა გამოვუცხადოთ, ეს გარდაუვალია, მაგრამ ამ ბერძნებს რა ვუყოთ?*

*— ბერძნებს რას ერჩი?*

*— ბერძნებმა არ იყო, მედეა რომ მოგვტაცეს, უჭკვიანესი, უმშვენიერესი მედეა... ვინცხა ბერძენმა იასონამ როგორ გაგვიბედა ეს ქართველებს!*

*— საბერძნეთთანაც უნდა გავწყვიტოთ დიპლომატიური კავშირი და თურქეთთანაც...*

*— თურქეთთან ომი გარდაუვალია, მაგრამ ჯერ რუსეთს მივხედოთ.*

*— ისე, გულახდილი თუ ვიქნები, ამ რუსებთან არ ვართ ჩვენ მთლად მართლები, მარტო მე და შენ რამდენი რუსის ფითქინა ქალი გვყოლია, ახლა სხვა ქართველებიც დაამატე...*

*— მერე კონტრარგუმენტად ეგ რომ მოგიყვანოს რუსულმა მხარემ, სად მიდიხარ? — მარტო ბერია რომ გაგვიხსენონ, ეგ ეყოფათ ორი ომის დასაწყებად.*

*— გადავდოთ მაშინ ამ რუსეთთან ომი და პირველი თურქებს დავარტყათ, ან ბერძნებს.*

*— კაი გამახსენე, ჩემი ცოლი თურქეთშია!*

*— ჩემი კიდევ, საბერძნეთში!*

*— ჰოდა, გამოვიხმოთ დროზე!*

*— გამოხმობით, კი, გამოვიხმობთ, მარა ჩამოვლენ? რაც თურქეთსა და საბერძნეთში დაიწყეს ჩვენმა ქალებმა სიარული, ფერ-ხორცი მოისხეს, დამშვენდნენ, გალამაზდნენ, ახლა, როგორ გინდა გლდანში თუ ვაზისუბანში გააჩერო უფულობაში, უშუქობაში, უწყლობაში...“*

მარიკასეული დასკვნა მოკლედ ასე იკითხება „თუ რუსეთის აგენტ ივანიშვილს მიცემთ ხმას, რუსი ჯარისკაცები, რომლებიც 106 წლის მოხუცს ხუთ-ხუთად აუპატიურებენ, ჩვენ სულ 15-15-ად გაგვაუპატიურებენო“, — სხვა დასკვნა ძნელი გამოსატანია.

ისე, თვითონ რას აკეთებენ ნეტავ, ნაკლებს?

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# trabaxSi nu CamomarTmevT, me vuyvarvar Cems xalxs da es arCevnebSi gamoCndeba

**გვესაუბრება ვეტერანი ფეხბურთელი, მარტვილის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან" მურთაზ ხურცილავა.**



*მურთაზ ხურცილავა, დაიბადა 1943 წლის 5 მაისს მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში. თამაშობდა თბილისის „დინამოში" 1961-1975 წლებში დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.*

*უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 292 მატჩი, სსრ კავშირის ნაკრებში 70 თამაში, წლების მანძილზე იყო სსრკ ნაკრების გუნდის კაპიტანი, ორჯერ 1968-1970 წლებში დაამთავრა მსოფლიო ჩემპიონატებზე, 1972 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი, 1972 წლის მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი.*

*ამჟამად ბატონი მურთაზ ხურცილავა კოალიცია „ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატია მარტვილის რაიონში.*

**— ბატონო მურთაზ, ეგებ გვითხრათ, რა განწყობაა ადგილობრივ მოსახლეობაში?**

— განწყობა, სიმართლე გითხრათ, საბრძოლოა. ხალხს სიმართლე უნდა, თანასწორობა და სამართლიანობა. სიყალბე ყველას მობეზრდა. ამას, ალბათ, ყველა ხვდებით. სიმართლე გითხრათ, ახლა ინტერვიუსთვის ნაკლებად მცალია, ჯობდა, არჩევნების შემდეგ გვესაუბრა.

**— კი, ბატონო, მაგრამ დღეს მზად ხართ იბრძოლოთ გამარჯვებისთვის?**

— ჩემი ცხოვრება სულ ორთაბრძოლებში განვლე, ახლაც მზად ვარ საბრძოლველად და ბოლომდე ვიბრძოლებთ ისე, უბრძოლველად, თქვენც იცით, არაფერს დავთმობ.

**— ბატონო მურთაზ, ახლა, სამწუხაროდ, ზოგიერთი სპორტსმენი ზონდერჯგუფებში ჩაეწერა. რას იტყვით ამის შესახებ?**

— თქვენც და ყველამ კარგად იცის, რომ პირადად მე სპორტი ჯანსაღი ცხოვრების წესად მიმაჩნია. აბა, რა გამართლება უნდა მოვუძებნოთ მათ, ვინც კახი კალაძეს ებრძვის. ან საერთოდ, რა უნდა ველაპარაკოთ იმ სპორტსმენებს, თუნდაც წარუმატებლებს, თავის საკუთარ ხალხზე ხელს რომ აღმართავენ. ეს ყოვლად მიუღებელია.

**— როგორ გგონიათ, სამართლიანად ჩაივლის მომავალი არჩევნები?**

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არჩევნებმა სამართლიანად ჩაიაროს და ყველა ხმა დავიცვათ. თუმცა, როგორც გითხარით, მთავარი ბრძოლა ჯერ წინ გველოდება და აქ ძალ-ღონეს ნამდვილად არ დავიშურებთ ხალხის ნების აღსასრულებლად.

**— დაბოლოს, მინდა გკითხოთ, ადგილობრივი მოსახლეობისაგან თუ გრძნობთ მხარდაჭერას?**

— იცით, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მშობლიური კუთხის, ხალხის კი არა, მთელი საქართველოს მხარდაჭერას და სიყვარულს ვგრძნობდი.. გთხოვთ ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, ასეა ახლაც, ჩემი მშობლიური რაიონი და ხალხი მიჭერს მხარს. ალბათ, ეს არჩევნებზეც გამოჩნდება.

**— როგორ ფიქრობთ, ზუგდიდში დაგეგმილ შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილთან თუ იქნება ხალხმრავლობა?**

— მაისიდან მოყოლებული, როგორც ნახეთ, „ქართულ ოცნებასთან", ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრებზე ყოველთვის ხალხმრავლობაა. გამონაკლისი არც ზუგდიდი იქნება, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა აქედან დაიწყება.

**გია ბურდული**

# utopiuri winadadebebi utopiuri gamarjvebis Semdeg

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს აუკრძალა არჩევნებში მონაწილეობა უცხოეთში, ჩვენი ქვეყნის საკონსულოებსა და საელჩოებში რეგისტრაციის გარეშე მთავრობის წინადადებით (ინიციატორი დიასპორების სახელმწიფო მინისტრი პაატა დავითაია) გაჩნდა ინიციატივა დიასპორული პარლამენტის შექმნის თაობაზე.

ისმის კითხვა, რა საჭიროა დიასპორების სამინისტრო და ამ კუთხით არსებული საპარლამენტო კომიტეტი (თავ-რე ნუგზარ წიკლაური). როდესაც საპარლამენტო მოსმენებზე დეპუტატმა ბაღათურიამ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ სტამბულის ბაზარზე ქართველებს მონებად ჰყიდიან, ამას არც მორჩილი საპარლამენტო უმრავლესობის რეაქცია მოჰყოლია და არც შესაბამისი, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაქცია.

## რას ითვალისწინებს დიასპორების პარლამენტი

დავითაიას ინფორმაციით, საქართველოს დიასპორულ პარლამენტს ეყოლება თავმჯდომარე, რომლის ფუნქციასაც თავად სახელმწიფო მინისტრი შეითავსებს, ამ ორგანოს ეყოლება სპიკერი, რომელსაც პირადად დიასპორის წარმომადგენლები აირჩევენ. რომელიც გახდება პარლამენტის საპატიო წევრი.



დიასპორული პარლამენტის პლენარული სხდომა წელიწადში ერთხელ 5 დღის განმავლობაში ქალაქ ქუთაისში პარლამენტის შენობაში ჩატარდება. დიასპორელთა პარლამენტში იქნება 45 წევრი. მათგან 15-ს სახელმწიფო მინისტრი დანიშნავს დანარჩენ 30-ს კი საქართველოდან გადახვეწილი ჩვენი მოქალაქეები აირჩევენ. იმისათვის, რომ გადახვეწილებმა საქართველოს პარლამენტში თავიანთი წარმომადგენელი აირჩიონ, აუცილებელი პირობაა ქვეყანაში ცხოვრობდეს მინიმუმ ათასი ქართველი და ჰქონდეთ თანამემამულის სტატუსი.

2012 წლის 1 მარტიდან საქართველოს პარლამენტში შესული კანონპროექტის მიხედვით („დიასპორული ორგანიზაციების შესახებ") განისაზღვრება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სტატუსი და გაიცემა შესაბამისი დამადასტურებელი მოწმობა. უცხო ქვეყნებში მცხოვრებთ გარკვეული პრივილეგიები მიენიჭებათ, ისინი თავისუფლად შეძლებენ განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლას, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღებენ ზოგად და უმაღლეს განათლებას და ასევე შეეძლებათ საქართველოს წარმოადგენდნენ სპორტის ეროვნული ნაკრებების ამა თუ იმ სახეობებში.

დავითაიასა და წიკლაურს არ დავიწყებიათ ფინანსური საკითხებიც. უცხოეთში მყოფი ქართველისათვის თანამემამულისათვის სტატუსის მინიჭება ფასიანი უნდა იყოს, სამოქალაქო რეესტრში საკითხის განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მომზადებას 80 დღე სჭირდება, რაც სტატუსის მსურველს 150 ლარი დაუჯდება. 70 დღეში საკითხის გადაწყვეტა 250 ლარი ჯდება.

## რა არ გაითვალისწინეს ინიციატორებმა

დიასპორული პარლამენტის შექმნის იდეას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ინტერნეტსაიტებში. უცხოეთში მყოფ ქართველებს შემოთავაზებული იდეა მოსწონთ, მაგრამ დიდი უმრავლესობა თვლის, რომ ემიგრანტთა დიდი უძრავლესობა თანამემამულის სტატუსის მიღებას ვერ მოახერხებს. მიზეზად კი უმეტესად ის სახელდება, რომ საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა საზღვარგარეთ (ძირითადად, ევროპაში) ლუკმა-პურის საშოვნელად არალეგალურადაა ჩასული. მათ თავიანთი გასჭირვებიათ. ამის გამო ისინი თავს იკავებენ საელჩოებსა თუ საკონსულოებში მოსვლისა და დარეგისტრირებისაგან.

ამ პრობლემის დარეგულირების მექანიზმისაგან წიკლაური და დავითაია არაფერს გვთავაზობენ. სამაგიეროდ უცხოეთში გადახვეწილ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს არჩევნების მოგების (მოიგებენ კი?) შემდეგ დიდი დახმარების გაწევას ჰპირდებიან.

**ზაზა ბილიხოძე**

## ბექან გუნავა ახალქალაქის საოლქო კომისიის თავმჯდომარის შეურაცხყოფას უარყოფს

საარჩევნო ბლოკის "ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება" წარმომადგენელი ბექან გუნავა უარყოფს ცესკოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, მან საარჩევნო კომისიის ორ წევრთან, მედეა ნეფარიძესა და ნინო ფხაკაძესთან ერთად ახალქალაქის საოლქო კომისიის თავმჯდომარეს, ჰასმიკ მარანგოზიანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.



გუნავა მარანგოზიანს შეურაცხყოფის მიყენებასა და პროვოკაციის დაგეგმავაში ადანაშაულებს.

"ჰასმიკ მარანგოზიანი აგრესიულად იყო განწყობილი კომისიის ჩვენი წევრების მიმართ. გვლანძღავდა... ჩვენი კომისიის წევრებს აბრალდებდა, რომ მათ საოლქო კომისიაში ფული მოიპარეს, ხოლო პროტესტის გამოთქმის შემდეგ ხელი დაარტყა კომისიის წევრ მედეა ნეფარიძეს, შემდეგ კისერზე ჩამომეკიდა მე და ჩამარტყა თავში", - აცხადებს გუნავა.

ახალქალაქში გუშინ მომხდარი ინციდენტის შესახებ დღეს განცხადება "ნაციონალური მოძრაობის" ახალმა წევრმა, მმართველი პარტიის საარჩევნო სიის მე-13 ნომერმა სერგო რატიანმაც გააკეთა.

"ვფიქრობ, ქსენოფობია არის ის, რაც აერთიანებს ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანებული "ქართული ოცნების" ლიდერებს. მათი ბოლოდროინდელი ენა გვაფიქრებინებს, რომ მათი მიზანი საქართველოში ქსენოფობიური განწყობების და ეთნიკური შუღლის გაღვივებაა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მათ მოითხოვეს, რომ ამ ადამიანს ქართულად გაეცა პასუხი და როდესაც ეს ვერ მოისმინეს, შეურაცხყოფა მიაყენეს", - განაცხადა რატიანმა.

ცნობისთვის: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, 2012 წლის 3 სექტემბერს, ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში ამავე კომისიის წევრებმა მედეა ნეფარიძემ, ნინო ფხაკიძემ და საარჩევნო ბლოკის "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" წარმომადგენელმა ბექან გუნავამ საოლქო კომისიის თავმჯდომარეს ჰასმიკ მარანგოზიანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია გმობს აღნიშნული ძალადობის ფაქტს და საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილეს თავშეკავებისა და ურთიერთპატივისცემისკენ მოუწოდებს.

## კომისიამ უნდა გაარკვიოს, რა მოხდა რეალურად სპეცოპერაციის დროს – ახმედ ზაკაევი

ჩეჩნეთის ყოფილი კულტურის მინისტრის და ვიცე-პრემიერის ახმედ ზაკაევის განცხადებით, მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია, თუ როგორ მოხვდა დუკვახა დუშოევი ჯგუფში.

ამის შესახებ ახმედ ზაკაევმა ტელეკომპანია „მეცხრე არხთან" საუბარში განაცხადა.



„დაზუსტებით ვიცი, რომ დუკვახა დუშოევი ბოლო 6 თვის განმავლობაში რუსეთის ტერიტორიაზე არ იმყოფებოდა. ბრიტანეთის პოლიტიკური თავშესაფრის ქვეშ ის მთელი ამ დროის მანძილზე საქართველოში, პანკისის ხეობაში ცხოვრობდა. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ მოხვდა ის ამ ჯგუფში, რომელმაც საქართველოს ოფიციალური უწყებების ინფორმაციით, რუსეთ-საქართველოს საზღვარი დივერსიული მიზნებისთვის გადმოკვეთა. ჩვენ უკვე შევქმენით შემსწავლელი კომისია, რომელმაც ქართულ ძალოვან უწყებებთან თანამშრომლობით უნდა გაარკვიოს, რა მოხდა რეალურად სპეცოპერაციის დროს. იმის მიუხედავად, ითანამშრომლებს თუ არა ქართული მხარე ჩვენთან, ჩვენ გაგვაჩნია სათანადო რესურსი საქართველოში, რათა დავადგინოთ რეალურად მომხდარი დეტალები, რის შემდეგაც ჩეჩნეთის კანონიერი მთავრობა ოფიციალურ პოზიციას გამოხატავს", — აღნიშნავს ზაკაევი.

შეგახსენებთ, რომ დღეს რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტრო მიერ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე განადგურებულ 11 ამბოხებულს შორის ერთ-ერთი ახმედ ზაკაევის ყოფილი პირადი მცველი დუკვახა დუშოევი იყო.

**„მედიანიუსი"**

**„მესიმ წაიკითხა ბურთის მოსალოდნელი მიმართულება და იქ გაჩნდა, სადაც მას არავინ ელოდა“.**

(ფერბურთის რიგითი ტელე-რეპორტაჟიდან)

„კითხვის შესახებ“ — მარსელ პრუსტის არაჩვეულებრივი პიესა სახელწოდებით, რაც XX საუკუნის დასაწყისში დაიწერა. მას აქეთ მთელმა საუკუნემ გაიარა, კითხვის (წიგნის) პრობლემა კი უფრო გაფართოვდა, მეტი მასშტაბი შეიძინა, ანუ, უფრო მეტად დავშორდით წიგნს. უფრო მეტად დაშორდნენ ერთმანეთს მწერალი და მკითხველი. დრო მიდის, XXI-ში გადმოვაბიჯეთ. ახლა წიგნის ანოტაციასაც არ კითხულობენ. „შენი ლექსები ვნახე“, „შენი მოთხრობა ვნახე“, „შენი რომანი ვნახე“ და მისთანანი და მისთანანი. კი არ წავიკითხე, არამედ ვნახე, ნახა, მაგრამ არ წაიკითხა. ფასადის დრო ჩამოდგა. შენობების მოპირკეთების დრო. თვალის ახვევის დრო.

ანოტაცია—ლამაზი ყელსაბამია, ლამაზი კაბა, ლამაზი ფასადი, მოპირკეთებული, გალამაზებული რუსთაველისა და აღმაშენებლის გამზირი. ამ შენობების მიღმა კი მთელი ცხოვრებაა.. თავისი ავითა და კარგით, მეტად-ავით ამ შენობების წიაღში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა შინამოში იხედება ჩვენი თანამედროვე მუსიკითვე და სადა, საყოველთაო ენით აღწერს და გადმოგვცემს მათ სულიერ მდგომარეობას. ქალაქის ენით, რა ენაზედაც საუბრობენ ქალაქელები.

**გურამ ფანჯიკიძის ქალაქი, პოეტის საყოველთაო მოსმენილი ფრაზა რომ მოვიშველიოთ, კარგად დავიწყებული სოფელია.**

სოფელში — მინდვრის ყვავილებია.

— ქალაქში — ქოთნის ყვავილები. ქაღალდის ყვავილები.

„მხოლოდ ქაღალდის ყვავილებს არ სჭირდება მოვლა-პატრონობა“, — წერს ხუან რამონ ხიმენესი, რა გამონათქვამია, აზრს კარგავს. იმ მკითხველისთვის, ვისაც გურამ ფანჯიკიძის რომანებს წაიკითხავს და ჩაუღრმავდება.

სოფელი — თავისუფალი ჩიტია.

ქალაქი — გალიის ჩიტი.

„გინახავთ ახალდაჭერილი და დამფრთხალი ჩიტი გალიაში როგორ აწყდება კედლებს? ჩემი გული მკერდში იმ ჩიტივით ფართხალებდა, ნეკნებს საშინელი ძალით ეხეთქებოდა, თავის დაღწევას და შორს გაფრენას ლამობდა, ასეთი განცდა დამეუფლა, თითქოს სხეულში გულის გარდა სხვა არაფერი მქონდა“.

გულს გარდაო.

ქართველები გულს ვამბობთ.

რუსები, მეტწილად, სამაგალითოდ ვამბობ, სულს ახსენებენ.

„ხელით ?

ეს შეიძლება ასე გადმოითარგმნოს:

„გული მტკივა“.

გულმა შეიწირა კიდევაც ჩვენი გულთამხილავი და გულის აღმწერელი მესიტყვე.

**„ჰაერის უკმარისობისგან ადგილზე დავბარბარცდი“**

სოფელი — ჰაერია.

ქალაქი — უჰაერობა. ორმაგი.

მთელი სიგრძე-სიგანით იცნობს ქალაქს გურამ ფანჯიკიძე. ქალაქს და ქალაქელებს. ქალაქის ჭირ-ვარამს და ქალაქის ენას.

# kiTxvis Sesaxeb, anu Sesavali wignisaTvis: `Cemi rCeuli Tanamedroveni~

(guram fanjikiZe)

## „ახლა წიგნის ანოტაციების კითხვის დროა“.

*გურამ ფანჯიკიძე*



გაუგონარი უბრალოება მენატრებაო, წერდა პასტერნაკი.

გაუგონარი უბრალოების მაგალითია გურამ ფანჯიკიძის შემოქმედება.

**„დედამ საბანი ამომიკეცა, შუბლზე მაკოცა და ოთახიდან გავიდა“.**

ასეთია ჩვენი ენა. საყოველთაო, სახალხო და სასაქართველო. ყოველგვარი ზიზილ-პიპილოებისა და შელამაზება — ფერუმარილის გარეშე.

ასეთია — **„თვალი პატიოსანის“** ავტორის ენა.

სიტყვამ მოიტანა და თვალმა გამახსენა:

ერთხელაც ცხონებული გურამ ფანჯიკიძე და ჯანდაცვის მინისტრი შეეკამათნენ ერთმანეთს. მინისტრმა მწერალს უთაკილა, ჯანდაცვაში არაფერი გეკითხებაო, რაზედაც მე იმ ხანებში პატარა რეპლიკა გამოვაქვეყნე, რითაც ბატონ მინისტრს შევახსენე—მწერალი ის თვალია, რომელიც ექიმსაც და მის პაციენტსაც აკვირდება-მეთქი, რაც განსაკუთრებით ითქმის ისეთი ყაიდის მწერალზე (როგორიც იყო (არის) გურამ ფანჯიკიძე.

გურამ ფანჯიკიძე, ანუ თვალი პატიოსანი ჩვენი თანამედროვეობის ჟამთა-აღმწერელი და მაჯის შემატყობარი.

თვალი, თვალის ჩინი. გულის თვალი. გონების თვალი. სულის თვალი.

**„აი, მე ვაგონში ვარ, ფანჯრიდან ვიცქირები, გამცილებლები დაბლა არიან. სათქმელი უკვე მითხრეს. გამომეშვიდობნენ კიდეც, ზოგიერთმა გულმხურვალედ, ზოგერთმაც ზრდილობისათვის გადამკოცნეს. ახლა კი შევჩერებივართ ერთმანეთს და არ ვიცით, რა მოვიმოქმედოთ. მატარებლის გასვლამდე წუთებიღა დარჩა, მაგრამ გრძელი, უხერხულობის გრძნობით დაძაბული და გაწელილი წუთები... ერთი სული გვაქვს, როდის დაიძრება მატარებელი, ბოლოს მაინც დგება სანატრელად ქცეულიც წუთიც“...**

რომელი დიდი მწერალი არ მოაწერდა ამ პასაჟს ხელს?

ეს სურათი, როგორც ვხედავთ, მარტო თვალის ჩინით როდია დანახული. აქ გულის თვალიც მონაწილეობს, გონების თვალიც და სულის თვალიც.

მსგავს ვითარებაში ვინ არ ყოფილა, მაგრამ მხოლოდ მწერალმა გვითხრა ის, რაც ბუნდოვნად გაგვიფიქრებია, გნებავთ, დაგვიმალავს, გულისა თუ გონების თვალი აგვირიდებია, მწერალმა კი აღნუსხა, გააანალიზა და გამოაჩინა ჩვენი ფარული და უთქმელი შეგრძნებანი, ცხადლივ, უშიშრად და დაუფარავად.

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

**ვუთხარით თუ არა გურამ ფანჯიკიძეს ღირსი სიტყვა?**

**არა მგონია.**

**არც მწერალთან გამოთხოვების შემდეგ გვითქვამს სათანადო სიტყვა მის შემოქმედებაზე, მივივიწყეთ, ასე ვთქვათ, თუმცა, მივიწყებაც იმის დასტურია, რომ არსებობს ის, რისი მივიწყებაც შეიძლება. არარსებულს ვერ მივივიწყებთ, გურამ ფანჯიკიძის მივიწყება, ჩემი გაგებით, ჩვენივე თავის მივიწყების ტოლფასია.**

ჩვენი არსებობის უარყოფა. სინამდვილის, რეალობის უარყოფა, თანამედროვეობის უარყოფა, რასაც ღირსების უქონლობად მიიჩნევს ერთი ძველი ჩინელი ლიტერატორი. სხვათა შორის, ჩინელებმა იციან, სად ცხოვრობდა, როგორ ცხოვრობდა და რითი იყო გატაცებული თავიანთი IV საუკუნელი პოეტი — ტაო იუან მინი, უფრო შორს რომ წავიდეთ, სად ესახლა ტაო, ეკითხება პატარა ბიჭს ტაოს მთარგმნელი, აკადემიკოსი ლევ ეიდლინი და ბიჭი პასუხობს: „აგერაა, ბატონო, ორ ნაბიჯზე, ტაოს სახლი“. ჩვენ არ ვიცით, ჩვენი რუსთაველი, საით წავიდა და რა იქნა, ფიროსმანი დავკარგეთ დუქნის კარებთან მაჩაბელი — სახლის კარებთან, გრანელი გავაგიჟეთ, პაოლო იაშვილს თავი მოვაკვლევინეთ, ჯავახიშვილი — დავხვრიტეთ, ტიციან ტაბიძე — გზაში დავკარგეთ, გალაკტიონი — გადმოვაფრინეთ. ჭაბუა ამირეჯიბს ხელისგული ავაფარეთ, ვითომ არ არის. ამ უახლოეს წლებში რამდენიმე ჩვენმა თანამედროვე მწერალმა მოიკლა თავი. რა იოლი სათქმელია, რამდენიმე მწერალმა! ასეთია დღეის-დღე და დღეის ქართველები, დღეის მთავრობა-ხელისუფლება. მწერალთა კავშირი დავარბიეთ. თავიანთი სახლიდან მწერლები გამოვდევნეთ. აღმაშენებლის ძეგლი გადავადგილეთ ჯარისკაცთა სახსოვარი მონუმენტი — ავაფეთქეთ. რა ჩამოთვლის!

**ასე მგონია, ცხონებული გურამ ფანჯიკიძე დიდად გულნატკენი წავიდა ჩვენგან. იგი მთელი ჩვენი ცხოვრების მარაქაში ერია. ჟურნალისტი იყო, პუბლიცისტი იყო, მწერალი იყო, გაზეთის რედაქტორი იყო. წიგნის გამომცემელი იყო, მწერალთა კავშირის მესვეური იყო. ყველაფერი დავივიწყეთ. გულნაკლული წავიდა და იქაც კი, ასე მგონია, იქაც კი გულნაკლულია.**



ერთი ნუგეში იმაშია, რომ მწერალი სულ არ კვდება. მიდის, მაგრამ არ მიდის. წავიდა. მაგრამ ისევ ბრუნდება. ვინც ვერ წავა, ვერც დაბრუნდება.

და მე ვესაუბრები, ვკითხულობ გურამ ფანჯიკიძეს, მან ეს არ იცის, მაგრამ „ასეა ეს!“ წიგნს ვესაუბრები, კაცი იყო და წიგნი გახდა. „წიგნს გიტოვებ“, დაიბარა სიმონ ჩიქოვანმა. წიგნი ხელის ახლოს მიდევს. გუნებისამებრ გადავშლი და ვკითხულობ. როცა მინდა, მაშინ გადავშლი და მაშინ ვკითხულობ. ეს არც კომპიუტერია და არც ინტერნეტი. წიგნის დენის გათიშვა შეუძლებელია. წიგნი მელაპარაკება. ესე იგი მწერალი აქ არის. იგი ჩვენი ძმა და მეგობარია... ჩვენი მორალი თანამედროვე ანუ: თვალი პატიოსანი.

ამ სამი ათეული წლის წინათ ვთარგმნე და გამოვეცი ივან ბუნინის ლექსების კრებული. გურამმა წიგნი ხელში დაიჭირა და მკითხა: „ბუნინი თუ ჩეხოვი“? რატომ მეკითხები-მეთქი და ასეთი მაგალითი მოიყვანა: „ერთხელაც, ბუნინი და ჩეხოვი ქალაქგარეთ გაემართნენ. შევიდნენ ერთ-ერთ ფუნდუკში, დასხდნენ და მიაჩერდნენ, ვიდრეს სუფრას გაუწყობდნენ, გარემო სურათებს, მეეტლე იცდის. ბუნინმა, სხვათა შორის, იკითხა, ანტონ პავლოვიჩ, შეგიძლიათ თუ არა — მითხრათ, მე ახლა რაზე ვფიქრობო. ჩეხოვმა დაუყოვნებლივ უპასუხა, რა დიდი მიხვედრა უნდა, შენ ახლა ივან ალექსეევიჩ, იმაზე ფიქრობ, მეეტლეს ფულს ვინ გადაუხდისო“.

გურამმა ის მაგალითი იმიტომ მოიტანა, რათა ერთმანეთისთვის შეედარებინა ბუნებისა და გუნების მწერალი.

**„თქვენ, ექიმებთ დამნაშავეს მე ვეძებ მტრებს“** (გურამ ფანჯიკიძე).

გურამი, როგორც წესი, ბუნების სურათებს ნაკლებად აღწერს. თაბახის მანძილზე მეტი ღერი სიტყვაც არაა ნახსენები გარემოს სურათები. გურამს აინტერესებს, თუ რას ფიქრობს ადამიანი და არა ის, თუ რას ამბობს... აინტერესებს ადამიანის ფსიქიკა, მისი შინამობუნება-გუნება-ანთროპოლოგია.

**„არჩილ გორდელი. ეს სახელი და გვარი, რეალურის საპირისპიროდ, ვფიქრობ, გაცილებით კარგად გამოხატავს მის პრეტენზიულობასაც“...**

რანაირი ცოდნა გამოსჭვივის ამ გამონათქვამში:

ან კიდევ:

**„ხშირად, ინტონაცია უფრო მეტ ქვეტექსტს შეიცავს, ვიდრე, თუნდაც, დაწვრილებით და საინტერესოდ მოყოლილი ამბავი“.**

ან კიდევ:

**„ვინ იცის, თავის მოკვლის წინ მეც რომ გავეხსენებინა, იქნებ მომსვლოდა კიდეც უბედურების სიგნალი!“**

ასე ამბობს თანამედროვე, ქართული ფსიქოლოგიური რომანის ოსტატი, რასაც ჩვენ, ძვირფასო მკითხველო, ან გავიგებთ, ან არა — (ან-ან), მაგრამ მწერლისეული სხვა მრავალი გამონათქვამი და დაკვირვებანი არა თუ ჩვენ, მკითხველებს, თავად ავტორსაც აღემატება და აქედან გამომდინარე, გაქრობა არ უწერია.

**მურმან ჯგუბურია**

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ჯემალ დავლიანიძე

### უნებლიე აღსარება

მეგობრებო, ალბათ დაგღალეთ ედუარდ შევარდნაძის ჭიკჭიკით და „ფილოსოფიით“. ერთი რამ უეჭველია — „ჩემი არჩევანი“ მისი ხელით დაწერილი არ გახლავთ, მაგრამ ბევრი რამ, მშრალად-მშრალი მონათხრობი მას ეკუთვნის. რაც შეეხება ჩარლზ დიკენსს, ჟან-ჟაკ რუსოს და მსოფლიო გენიოსთა სხვადასხვა გვარ-სახელებს, თითქოსდა შევარდნაძეს მსოფლიო ლიტერატურა ოდესმე წაეკითხოს, უბრალოდ სასაცილოა! ეს მისი რომელიღაც მრჩევლის ან ე.წ. მეგობრის დამსახურებაა... მაგრამ, ეს არ არის მთავარი! მთავარია კითხვა, რომელიც აღგეძვრის ადამიანს „ჩემი არჩევანის“ გაცნობისას:

-რის ფასად, რა დამსახურებისათვის სცემდნენ არა მხოლოდ პატივს, არამედ თაყვანს ედუარდ შევარდნაძეს ევროამერიკელი ე.წ. წამყვანი პოლიტიკოსები?

არც ამერიკა და არც ევროპა ტყუილ-უბრალოდ ვიღაც შევარდნაძეს, პოლიტბიუროს წევრს, ყოფილ კომკავშირელს, კომუნისტს, კომპარტიელს, დაბალი განვითარების მქონე, უინტელექტო პიროვნებას არ დაუძმაკაცდებოდნენ, რომ დიდი გამორჩენა არ ჰქონოდათ. მათივე ნაპოვნი, მათივე მეოხებით დაწინაურებული, ბნელი ფესვების მქონე შევარდნაძეს, რა თქმა უნდა, დიდი ხნის შებმული ჰქონდა ეჟვანი. იგი დაკვეთების უბადლო და მონური შემსრულებელი გახლდათ. ამიტომაც მოიპოვა კიდეც კოლოსალური მხარდაჭერა ევროამერიკისაგან.

საილუსტრაციოდ კვლავ გავიხსენოთ ყბადაღებული გკჩპ, რომელიც საბჭოთა კავშირში მოხდა 1991 წლის აგვისტოში.

მე ვერ გეტყვით, ეს ამბავი მართლა რუსული სულის გამოღვიძებას წარმოადგენდა ევროამერიკული ექსპანსიის წინააღმდეგ, შევარდნაძე-გორბაჩოვის მრუდე საქმიანობის წინააღმდეგ იყო მიმართული თუ ჩინებულად დადგმული სპექტაკლი იყო, მაგრამ ჩემთვის მეტად საინტერესოა შევარდნაძის გასამჟღავნებლად, შევარდნაძისა, რომელიც გკჩპ-ს მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოექცა და დემოკრატიის დასაცავად აღრიალდა!

მოვუსმინოთ შევარდნაძის „ჩემს არჩევანს“, რომელიც თითქმის აღსარების ტოლფასია (გვ. 329):

„1991 წლის 19-21 აგვისტოს მოვლენები მკაფიოდ ირეკლება ხსოვნის ეკრანზე... ბოლო ორი წელია, საშველს არ მაძლევდა დამთრგუნველი გრძნობა. შემძრა ყველაფერმა, რაც ხდებოდა ქვეყანაში... სულ უფრო ნათლად ვხედავდი, რომ რეალურად მოსალოდნელი იყო აფეთქება (საბჭოთა კავშირს ანგრევდნენ და აფეთქებაც არ სურდათ, რომ მომხდარიყო! — ჯ.დ.), რომელსაც სახელს ვერ ვუძებნიდი, თუმცა გონებაში ყველაზე ხშირად სიტყვა „დიქტატურა“ წამოტივტივდებოდა ხოლმე. ამ დაძაბულობამ მწვერვალს მიაღწია 19 აგვისტოს, როცა დიქტორის ხმამ გამაღვიძა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღება მამცნო... პოლიტიკოსი მოვალეა ფხიზელ, გონივრულ ანალიზთან ერთად, საკუთარი ინტუიციითაც იხელმძღვანელოს. მან ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, რათა ჩაუნერგოს და გადასდოს კოლეგებს, საზოგადოებასა და მთელ მსოფლიოს (აი, სწორედ ეს არის მთავარი შევარდნაძისათვის! — ჯ.დ.) თავისი შეშფოთება. ასეც მოვიქეცი.

... ზუსტად 9 საათზე ჩემი კაბინეტიდან ჩამოვურეკე „დემოკრატიულ რეფორმათა მოძრაობაში“ გაერთიანებულ ჩემს კოლეგებს... თანაშემწეებს ვუკარნახე „დემოკრატიულ რეფორმათა მოძრაობის“ მიმართვის პროექტი.

თორმეტის თხუთმეტ წუთზე მოვახერხე ბორის ელცინთან დაკავშირება. ჩვენ ორივემ ერთად ვთქვით „ეს ფაშიზმია“ და შევთანხმდით, ერთმანეთს შევხვედროდით...

ფაქსი ჯერ კიდევ მუშაობდა და გაისმა რეკვა. დარეკეს საფრანგეთის საელჩოდან... დარეკეს ამერიკული ტელეკომპანიებიდან. დარეკა ალექსანდრე იაკოვლევმაც... მოვიდნენ ალექსანდრე ვლადისლავლევი და მიხეილ მინასბეკიანი, ჩვენი მოძრაობის ხელმძღვანელები და გვაცნობეს: პრეზიდენტს (გორბაჩოვს! — ჯ.დ.) ვერავინ უკავშირდება ან მოკლულია ან დაპატიმრებული!

17 საათსა და 50 წუთზე დარეკა კაზიმირა პრენსკენემ:

-საზღვარგარეთ მივფრინავ, რით დაგეხმაროთ?

-მსოფლიოს მხარდაჭერა გვჭირდება, მორალურიც, პოლიტიკურიც...

აკრძალვის მიუხედავად, მოქმედებდა დემოკრატიული პრესაც. ინფორმაციას ვიღებდით რადიოსადგურ „ეხო მოსკვიდან“... დამოუკიდებელმა ჟურნალისტიკამ (ოო, ეს ხომ ევროამერიკული იმპერიალიზმის ხელში უძლავრესი იარაღია! — ჯ.დ.) ხალისით და გაბედულად გაამარჯვებინა თავისუფლებასა და დამოკრატიას!

ქება და დიდება ინფორმატიკის ტექნოლოგიებს. ქებათა-ქება „სი-ენ-ენ“-ის რეპორტიორებსა და დიქტორებს!

იმ დღეს ტელეფონით მესაუბრა ბრიტანეთის პრემიერი ჯონ მეიჯორი. კიდევ ყურმილში გავიგონე ჰანსდიტრიხ გენშერის ხმაც. ვუპასუხე მის კითხვებს და ვუთხარი, რაც გვჭირდებოდა. ბუნდესტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მეთაურმა ჰანს-იოხიმ ფოგელმა მაცნობა სოცინტერნეტის დელეგაცია აპირებსო ჩამოსვლას. ერთი დღის შემდეგ თავიანთი რანჩოდან დარეკეს ჯიმ და სიუზი ბეიკერებმა... ბორის ელცინმა მაცნობა (ელცინმა აცნობა შევარდნაძეს, როგორც სიტუაციის წამყვან უფროსს ანუ რუსეთში დემოკრატიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ქომაგს! — ჯ.დ.), ეს წუთია აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ტელეფონით ვესაუბრეო. ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი და რაც მთავარია, მხარდაჭერის დროული სიგნალი... სა-ღამოს რვის ნახევარზე შინ უნდა მწვეოდა გერმანიის ელჩი ბლეხი... იმ დღეებში ჩვენ მხარი დაგვიჭირეს საფრანგეთის და იტალიის ელჩებმა. ვიზიტი გაგვიკეთა აშშ-ის ახალმა ელჩმა სტრაუსმა“.



როგორც ვხედავთ, საბჭოთა კავშირში მომხდარი გკჩპ, ანუ შეთქმულება, ევროამერიკას ჩაუხშვია. შევარდნაძეს შეუტყობინებია ყველასათვის, გვიშველეთ, თავზე გვენგრევა ქვეყანაო და იმათაც, ჰანს-დიტრიხ გენშერს, ჯიმ ბეიკერს, ჯონ მეიჯორს, ჯორჯ ბუშს და სხვა უამრავ საზღვარგარეთელ „მოღვაწეს“ გადაურჩენია დემოკრატია რუსეთში, იგივე საბჭოთა კავშირში!

კაცმა შეიძლება კიდეც შეჰყვიროს: აუღია უიარაღოდ ევროამერიკას რუსეთი და ეგ არის! შევარდნაძის მეოხებით ყოჩაღად მოქცეულან და დაუცვიათ მათ მიერ აჩემებული მშვენიერი სატყუარა — ე.წ. დასავლური დემოკრატია!

### ზვიად გამსახურდიას პროტესტი ჯეიმს ბეიკერისადმი

მკითხველი ახლა ხომ მაინც მიხვდება, რა საზარელი ძალა შეეჯახა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას და აღარცაა საკითხავი, თუ რა დაემართა ბორის ელცინს, როცა მან საქართველოსთან ყაზბეგში ხელმოწერილი ოქმი მთლად დაივიწყა (უფრო კი ევროამერიკელებმა დაავიწყეს!).

არადა, როცა ედუარდ შევარდნაძე ჯეიმს ბეიკერის ბუხართან ნებივრობდა და ბანჯოს ხმაზე თვალებს ლულავდა, 1992 წლის 28 მაისს საქართველოს რესპუბლიკის დევნილი პრეზიდენტი შემდეგი წერილით მიმართავდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, ჯეიმს ბეიკერს (გაზეთი „ქართული აზრი“ №23, 1992 წ.).

„გიცხადებთ პროტესტს თქვენი ვიზიტის გამო საქართველოში, რაც ნიშნავს მსოფლიოში ყველაზე დანაშაულებრივი და უკანონო ანტიდემოკრატიული და ტერორისტული რეჟიმის ცნობას და მხარდაჭერას, რომელმაც ერის ნების საწინააღმდეგოდ დაამხო კონსტიტუციური, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება და გააჩაღა ომი საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. საქართველოში ითრგუნება ადამიანის უფლებები და თავისუფლება, ხვრეტენ და არბევენ მშვიდობიან მიტინგებსა და დემონსტრაციებს, მონოპოლიზირებულია მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება, ხელს უწყობენ დამნაშავეობისა და მაფიის აღზევებას, საქართველოს 7 ქალაქში, თბილისის ჩათვლით, მოქმედებს კომენდანტის საათი. ქვეყანას ფაქტობრივად მართავს ცნობილი სისხლის სამართლის დამნაშავე, განგსტერი იოსელიანი, დამნაშავეთა ხუნტა ისაკუთრებს დასავლეთიდან გამოგზავნილ ჰუმანიტარულ დახმარებას, მედიკამენტებს, საკვებ პროდუქტებს და ყიდის შავ ბაზარზე მაღალ ფასებში. ხალხი არავითარ დახმარებას არ იღებს. ეკონომიკური მდგომარეობა კატასტროფულია, ქვეყანაში სუფევს ქაოსი, შიმშილობა, დესტაბილიზაცია. ადამიანები ყოველდღიურად იღუპებიან შიმშილისაგან, უმეტესად ბავშვები და მოხუცები. არ არის მედიკამენტები. მარაგი მთლიანად ამოწურულია. საქართველო თავისი სიდუხჭირით მალე დაემსგავსება სომალისა და ეთიოპიას. ასეთ შემთხვევაში არავითარ დემოკრატიულ არჩევნებზე არ შეიძლება ლაპარაკი.

შევარდნაძემ ააღორძინა სტალინიზმი. დაიწყო მასიური რეპრესიები, აწამებენ ადამიანებს, ყოველდღიურად აპატიმრებენ საკუთარი აზრის გამოთქმისათვის, შემოღებულია უმკაცრესი ცენზურა.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დანაშაულებრივი რეჟიმის მხარდაჭერა ნიშნავს ამერიკის საზოგადოების დემოკრატიული ძალების ფეხქვეშ გათელვას, ჰელსინკის შეთანხმებისა და პარიზის ქარტიის პრინციპების უარყოფას. ყოველივე ეს, ქართველი ერის აღშფოთებას იწვევს, აძლიერებს ანტიამერიკულ განწყობილებებს. აქ კარგად იციან ამერიკის დამოკიდებულების შესახებ კუბის, ვენესუელისა და ჰაიტის მიმართ.

მოვითხოვ შეწყდეს სახელმწიფო დამნაშავეთა მხარდაჭერა. ურთიერთობა უნდა დამყარდეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებასთან, რომელიც ამჟამად სამშობლოდან განდევნილია“.

რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდიას ეს მიმართვა უპასუხოდ დარჩა, რადგან საქართველოში მიმდინარე სისხლიანი თარეში და ხოცვა-ჟლეტა, შიმშილი და სიღატაკე, უკვე კარგა ხნის დაგეგმილი იყო. საქართველო ახლიდან უნდა აეთვისებინათ. როგორც ევროამერიკას სჩვევია — დემოკრატიის სახელით ჯერ უნდა მიენგრ-მოენგრიათ, პირწმინდად გაენადგურებინათ სოფლის მეურნეობა, მთლიანად მრეწველობა, გაეღატაკებინათ მოსახლეობა, რომ მერე ჰუმანიტარული დახმარებით დაეწყოთ, საბანკო კრედიტები, სესხები გამოეგზავნათ და ქვეყანა სამუდამო კაბალაში ჩაეგდოთ!

ამას ვერაფერი უშველიდა, რადგან შევარდნაძეს არათუ საქართველოში, თვით რუსეთშიც ძლიერად ეხმარებოდნენ ევროამერიკელი მეგობრები და მსოფლიოს ახალი მოწყობის ე.წ. არქიტექტორები!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14-36

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ისუნთქეთ სწორად!

სწორად სუნთქავთ? — შესაძლოა, ამ კითხვაზე ბევრს გაეცინოს, ჩვენ ხომ მუდმივად ვსუნთქავთ და მის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია!

მიუხედავად ამისა, საკმაოდ იმატა ისეთების რიცხვმა, რომლებიც არასწორად სუნთქავენ, სრულად არ იყენებენ ფილტვების სასუნთქ ტევადობას და ორგანიზმსაც საჭირო რაოდენობის ჟანგბადით ვერ ამარაგებენ.

## სუნთქვის ტიპები

სამი ტიპის სუნთქვა არსებობს: მკერდზედა, მკერდქვედა (დიაფრაგმული) და მუცლისმიერი. სამივე ნორმალური ტიპის სუნთქვაა, მაგრამ მათ შორის ფიზიოლოგიურად ყველაზე მეტად მუცლისმიერი სუნთქვაა გამართლებული.

მოზრდილი ადამიანის სუნთქვის პროცესზე დაკვირვებით აღმოაჩენთ, რომ სუნთქვაში მუცელი თითქმის არ მონაწილეობს, მხოლოდ გულმკერდი მოძრაობს.

მოზრდილთა უმრავლესობა, ცხოვრების დაძაბული რიტმის და ემოციური სტრესების გამო, გადაეჩვია სწორ სუნთქვას; ამას ემატება თანამედროვე ცხოვრების წესი — უმრავლესობა დიდ დროს ატარებს ხელოვნურად შექმნილ ატმოსფეროში, გამათბობლებისა და კონდიციონერებით გამომშრალ გარემოში.

ტანზე მჭიდროდ მოტმასნილი ტანსაცმელი და სინთეზური ქსოვილისგან დამზადებული სამოსი, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდის ორგანიზმის ჟანგბადით დამატებით მომარაგებას კანის გზით, ამიტომ ჟანგბადის მნიშვნელოვანი დეფიციტი ხშირად სხვადასხვა პათოლოგიის აღმოცენების მიზეზი ხდება.

## ვისწავლოთ სწორი სუნთქვა

სწორია მშვიდი და ღრმა სუნთქვა, რომელიც სამფაზიანია: ჩასუნთქვა გრძელდება წამამდე, ნახევარწამიანი პაუზა და კვლავ ერთწამიანი ამოსუნთქვა.

იმის დასადგენად, სწორად სუნთქავთ თუ არა, ჩაატარეთ მარტივი ტესტი: დაჯექით მოხერხებულად,



მოდუნდით და შეიგრძენით, როგორ სუნთქავთ. ნუ ეცდებით, შეგნებულად ჩაერიოთ ამ პროცესში.

უმრავლეს შემთხვევაში, ვისაზღვრებით გულმკერდით ზედაპირული სუნთქვით და არ ვახდენთ ფილტვების მწვერვალების ვენტილაციას, რაც მხოლოდ მუცლით სუნთქვით მიიღწევა.

**გთავაზობთ ვარჯიშს, რომელიც მუცლით სუნთქვაში დაგეხმარებათ.**

1. ვარჯიშის დაწყებამდე მოიხსენით ქამარი და გაიხადეთ ტანსაცმელი, თუ იგი თავისუფლად მოძრაობას გიშლით;

2. დაწექით ზურგზე მყარ ლეიბზე ან იატაკზე. მუხლები მოხარეთ. თავი ისე დადეთ პატარა ბალიშზე, რომ გულმკერდისა და მუცლის მოძრაობებზე დაკვირვების საშუალება გქონდეთ;

3. მაქსიმალურად ამოისუნთქეთ პირით;

4. ნელა ჩაისუნთქეთ ცხვირით და დააკვირდით, როგორ იწევა მუცელი. ისეთი შეგრძნება უნდა გაგიჩნდეთ, თითქოს ჰაერით ივსებით. მუცლის კუნთები მოადუნეთ იმისათვის, რომ დიაფრაგმა უფრო დიდად დაეშვას მუცლის ღრუში და სუნთქვაც გაცილებით ეფექტიანი იყოს;

5. ჩვეულებრივ, ჰაერი ყოველთვის რჩება ფილტვებში — დიაფრაგმის ზევით და ვერ აღწევს მუცლის ღრუში, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სხეულის ქვედა ნაწილი, კერძოდ კი მუცელი და ქვედა კიდურები ღრუ ორგანოებია, რომელთა ავსებასაც ჩასუნთქვისას უნდა ეცადოთ.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ იატაკის ქვევით, რომელზეც წევხართ, მოთავსებულია მილებიანი სარდაფი, ღრმა ჩასუნთქვისას, შეეცადეთ, ჰაერი სწორედ მათგან შეისუნთქოთ. წარმოსახვა დაგეხმარებათ, გაცილებით დაძაბოთ სუნთქვა და აამოქმედოთ სუნთქვისთვის აუცილებელი ყველა კუნთი.

მცდელობა გააგრძელეთ მანამდე, ვიდრე არ შეიგრძნობთ ფილტვების ჰაერით მაქსიმალურ ავსებას.

6. შემდგომ ამოისუნთქეთ პირით, ტუჩები ისე გქონდეთ, თითქოს უსტვენთ — ეს ფილტვებსა და დიაფრაგმაზე უკუწნევას იწვევს. შეისვენეთ რამდენიმე წამი და კვლავ გაიმეორეთ.

ვარჯიში შეასრულეთ 15-ჯერ, თუ შეგიძლიათ მეტადაც, თან თვალი ადევნეთ საკუთარ მდგომარეობას.

ვარჯიშები შეგიძლიათ შეასრულოთ ფეხზე მდგარმაც:

დაიხარეთ წინ, რამდენჯერმე მოკლე და ძლიერი ამოსუნთქვა გააკეთეთ, როგორც ხველებისას; მაქსიმალური სარგებლობის მისაღებად ვარჯიში 10-15-ჯერ უნდა გაიმეოროთ.

7. ერთმანეთის მიყოლებით გაიმეორეთ ექვსივე ეტაპი, ეცადეთ, ერთმანეთს შეუნაცვლოთ გულმკერდისმიერი და მუცლისმიერი სუნთქვა.

ჩასუნთქვა გააგრძელეთ მანამ, ვიდრე მუცელი სანახევროდ არ „აივსება“. შეყოვნდით წამიერად და მუცლის კუნთების დახმარებით გამოაძევეთ ჰაერი გულმკერდის ღრუში, ქვედა ნეკნების არემდე, აიძულეთ გაფართოვდეს, არავითარ შემთხვევაში არ ამოისუნქოთ არც ცხვირით, არც პირით.

ამის შემდგომ მუცლის კუნთები მოდუნდება. ისეთი შეგრძნება დაგეუფლებათ, თითქოს ჰაერის რაღაც რაოდენობა მაინც ამოისუნთქეთ.

შემდგომ დაიწყეთ სუნთქვა მთელი ძალით, მიეცით მუცელს შესაძლებლობა, გაფართოვდეს სრული მოცულობით. მუცელი დაჭიმეთ და კუნთები თანმიმდევრობით მოადუნეთ, მაგრამ არ ამოისუნთქოთ; ეცადეთ, ჰაერი გულმკერდის ქვედა ნაწილიდან ზედა ნაწილში გადაადგილოთ.

შეეცადეთ, ყოველივე ტალღისმიერად აკეთოთ. სულ უფრო და უფრო ძლიერ დააწექით ქვედა სასუნთქ ზონას და მოადუნეთ ზედა ნაწილი — გულმკერდის ღრუ.

შეავსეთ ფილტვები სრულად და შემდეგ ამოისუნთქეთ პირიდან ან ცხვირით. გაიმეორეთ ეს ვარჯიში 10-ჯერ.

ეს ვარჯიშები უნდა შეასრულოთ დილა-საღამოს 1-2 კვირის განმავლობაში, შემდეგ შეისვენეთ რამდენიმე დღე და კომპლექსი კვლავ გაიმეორეთ.

რამდენიმე კვირის შემდეგ უკვე შეამჩნევთ ცვლილებას — საგრძნობლად გაიზრდება თქვენ მიერ შესუნთქული ჰაერის მოცულობა.

მუცლით სუნთქვას კიდევ ერთი და მეტად მნიშვნელოვანი ღირსება აქვს: ღრმა სუნთქვა გვეხმარება ცხიმოვანი მარაგის დაწვაში; ამასთან, ეს არ იწვევს შიმშილის გაძლიერებას, როგორც ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ და საგრძნობლად ზოგავს გულს.

# როცა კუნთები გვტკივა

ბევრ ჩვენგანს უნახავს ადამიანი, რომელსაც კუნთების ტკივილის გამო არ შეუძლია კისრის მობრუნება, თავის დახრა ან ხერხემალში მოხრა. ზოგჯერ მკვეთრ ტკივილს ყოველი ნაბიჯი და ღრმად ჩასუნთქვაც კი იწვევს.

ამგვარი მტკივნეული შეგრძნებანი ახასიათებს მიოზიტს — ეს არის ანთება ჩონჩხის კუნთებისა, რომლებიც სხეულის ვერტიკალურ პოზასა და წონასწორობას უზრუნველყოფს.

მიოზიტი ყველაზე უფრო ხშირად აზიანებს კისრის, წელის, გუმლკერდისა და მუხლის კუნთებს, მტკივნეული შეგრძნებებიც სწორედ განსაზღვრული ჯგუფის კუნთებს მოიცავს.

## მიოზიტის ძირითადი მიზეზებია

— ძირითადი მიზეზი ინფექციური პათოლოგიებია, ქრონიკული ტონზილიტი, გრიპი, მწვავე ვირუსულ-რესპირატორული ინფექციები. გარდა ამისა, მისი გამოწვევა შეუძლია პარაზიტულ ინფექციებს, ჩირქოვან და აუტოიმუნურ ქრონიკულ პროცესებს, აგრეთვე ორგანიზმზე ტოქსიკური ნივთიერებების მოქმედებას.

— ხშირად დაავადება პროფესიულია. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან პიანისტები, მევიოლინეები, მძღოლები და კომპიუტერთან მომუშავე ოპერატორები. ესენი ყოველდღიურად, რამდენიმე საათის განმავლობაში შრომობენ არახელსაყრელ პოზაში და მიოზიტი მათში ძლიერი კუნთოვანი გადაძაბვის შედეგია.

— დაავადების განვითარებას შესაძლოა ხელი შეუწყოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა გადაციება, კუნთოვანი კრუნჩხვები და სხვადასხვა ტიპის ტრავმები.

— მიოზიტის განვითარებას აპროვოცირებს ზოგიერთი სხვა დაავდებაც: რევმატოიდული ართრიტი, წითელი მგლურა, რევმატიზმი.

— ჩირქოვანი მიოზიტი ჰიგიენური წესების დაუცველობისას ჩნდება ისეთი სამედიცინო მანიპულაციისას, როგორიცაა კუნთშიდა ინექციები.

## დაავადება ასე ვლინდება

მთავარი ნიშანი — კუნთის ყრუ ტკივილია, რომელიც მოძრაობისას და დაზიანებულ კუნთებზე შეხებისას ძლიერდება.

ყველაზე გავრცელებული ფორმა კისრის მიოზიტია — გადაძაბვასა და გადაციებას ყველაზე ხშირად სწორედ სხეულის ეს ნაწილი განიცდის. ვითარდება ყრუ ტკივილი კისრის არეში, რომელიც გადაეცემა კეფას, ვრცელდება ქვევით ბეჭის ძვლებთან და შესაძლოა, მთელი მხრის სარტყელიც კი მოიცვას.

დასაწყისში პაციენტს უძნელდება კიბეზე ასვლა, შემდეგ — სკამიდან წამოდგომა, ტანსაცმლის ჩაცმა, თმის დავარცხნა.

დროთა განმავლობაში განლევას განიცდის კისრის კუნთები და ადამიანს თავის ვერტიკალურ მდგომარეობაში დაჭერაც კი უჭირს.

ბოლო სტადიაზე ვითარდება საყლაპავი და სასუნთქი კუნთების ატროფია. საყლაპავის, ხახისა და



ხორხის კუნთების დაზიანებისას რთულდება საკვების გადაყლაპვა, ჩნდება შეტევითი ხასიათის ხველება, სასუნთქი კუნთების დაზიანებისას კი — სულისხუთვა და ქოშინი.

## თუ მიოზიტი დაგვემართა

ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დაავადების მიზეზის გამოვლენა, რადგანაც პარზიტული წარმოშობის მიოზიტისას ინიშნება ანტიჰელმინთური საშუალებანი, ინფექციურისას (ბაქტერიული) — ანტიბიოტიკები. თუ პათოლოგია აუტოიმუნური წარმოშობისაა, პაციენტს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ესაჭიროება გლიკოკორტიკოიდები და იმუნურ სისტემაზე მოქმედი პრეპარატები.

ნებისმიერ შემთხვევაში მკურნალობის პროცესში მონაწილეობს ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინაალმდეგო პრეპარატები.

ლოკალური დაზიანებისას პოზიტიურ შედეგს იძლევა ადგილობრივი გამოყენების მალამოები, რომლებიც აუმჯობესებს კუნთის კვებას და ხელს უწყობს დაძაბულობის შემცირებას, შედეგად კი მცირდება მტკივნეული შეგრძნებები.

მწვავე მიოზიტისას აუცილებელია წოლითი რეჟიმი და ფიზიკური აქტივობის მაქსიმალური შეზღუდვა. აუცილებელია ე.წ. მშრალი სითბო. დაზიანებული ნაწილი უნდა იყოს თბილად — შალის სახვევით, წინდებით და სხვა.

ჩირქოვანი მიოზიტის მკურნალობა ქირურგს უნდა ვანდოთ — შესაძლოა, საჭირო გახდეს დაჩირქებული, ინფექციური კერის გაკვეთა, რათა მოცილდეს დაგროვილი ჩირქი და მოხდეს ჭრილობის დრენაჟირება. ამ შემთხვევაშიც ინიშნება ანტიბიოტიკები, უკუნაჩვენებია მასაჟი, რომელიც მიოზიტის სხვა ფორმებისას დადებითი შედეგის მომტანია.

დაავადების მიმდინარეობისა და ხასიათის მიხედვით, ექიმმა შესაძლოა საჭიროდ მიიჩნიოს ფიზიოთერაპია და სამკურნალო დიეტა, რომელიც ცილებით მდიდარი ადვილადმოსანელებელი პროდუქტებით იქნება გაჯერებული.

## დაავადებისგან თავის დაცვის პროფილაქტიკაა

თავი არიდოთ კუნთების ძლიერ გადაძაბვას და ორპირ ქარში ყოფნას.

არ უნდა იმუშაოთ სიცივეში მძიმე ფიზიკური შრომით; დროულად უმკურნალეთ გაციებასა და ინფექციურ დაავადებებს.

მიოზიტებისგან ყველაზე საიმედო თავდაცვაა რეგულარული ფიზკულტურა და წყლის პროცედურები.

ნურასდროს მიეცემით სასოწარკვეთას, რადგანაც დეპრესიის თანმდევი ჰორმონული დისბალანსი უამრავი დაავადების, მათ შორის მიოზიტის თავიდათავია.

**გვერდი მოამზადა**
**ზვიად ლონლაძემ**

# socio l ogia mrude sarkeSi

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ქართულ რეალობაში გაჩნდა ტერმინი - "სოციოლოგია". ბევრისთვის ეს სიტყვა სოციალიზმთან ასოცირდებოდა. დროსთან ერთად მიდგომაც შეიცვალა და საზოგადოება მიხვდა, თუ რა იყო სოციოლოგია – საზოგადოების აზრის კვლევა. დღემდე მსოფლიოს წამყვანი კვლევითი ინსტიტუტები იკვლევენ საქართველოს მოქალაქეების აზრს, თუმცა კვლევის მონაცემები, ხშირ შემთხვევაში, ობიექტურობას სცილდება. განსაკუთრებით ეს ფაქტორი გამოიკვეთა ბოლო 11 თვის მანძილზე. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ორი პოლიტიკური პოლუსი ჩამოყალიბდა.

ზოგადად სოციოლოგიური კვლევა ანონიმურია. თუმცა, ანკეტების ბოლო გვერდი ერთმანეთს – ერთის მხრივ, საქართველოს სუვერენიტეტისთვის და , მეორეს მხრივ, დემოკრატიულობისთვის ფუნდამენტურ საფრთხედ წარმოაჩენენ. ეს რიტორიკა ამძაფრებს საარჩევნო გარემოს მიმართ უნდობლობას და განპირობებულია როგორც მმართველი პარტიის, ისე "ქართული ოცნების" ქმედებებით, რაც, თავის მხრივ, ქმნის მცდარ წარმოდგენებს და არჩევნების მიმართ საზოგადოების ნდობას ამცირებს", - ნათქვამია ნდI- ის გრძელვადიანი საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შუალედურ ანგარიშში.

აღნიშნულ კონტექსტში, ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ მთავრობა ვალდებულია სამართლიანი საარჩევნო კანონები მიიღოს და ლებას ეკისრება პასუხისმგებლობა, უზრუნველჰყოს კანონის თანაბარი აღსრულება და კანონდამრღვევთა დასჯა: "ასევე, მხარეები, რომლებიც საუბრობენ ბრალდებებზე, უნდა წარმოადგინონ ადექვატური დოკუმენტაცია თავიანთი ბრალდებების გასამყარებლად", – მიიჩნევს მისია.

ბიძინა ივანიშვილისა და კახი კალაძის პირადი ანგარიშების დაყადაღებამ გაამყარა წარმოდგენა კანონის არაპროპორციული და შერჩევითი გამოყენების შესახებ, - ამის თაობაზე ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გრძელვადიანი საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შუალედურ ანგარიშშია ნათქვამი: "პარტიების მიერ ფინანსების შესახებ სწორი ანგარიშების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაუმჯობესების კუთხით მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. მიუხედავად ამისა, სამსახურის მიერ ბოლო დროს ბიძინა ივანიშვილისა და კახი კალაძის ანგარიშების დაყადაღებამ იმ მოტივით, რომ მათ ვერ დაადასტურეს საკუთარი ანგარიშებიდან გამოტანილი მილიონობით დოლარის კამპანიის საქმიანობისთვის არმოხმარება, გაამყარა წარმოდგენა კანონის არაპროპორციული და შერჩევითი გამოყენების შესახებ. ევროპის საბჭოსა და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეების განცხადებით, აუდიტის სამსახურის გადაწყვეტილებები დამსჯელი და "არაპროპორციული" ხასიათისაა, – ნათქვამია ანგარიშში.

"ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს". **NDI**-ის გრძელვადიანი სადამკვირვებლო



ეთმობა რესპონდენტის ვინაობას. სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. გამოვყოფ რამდენიმე ფაქტორს, რის გამოც, შესაძლოა, ეჭვი შევიტანოთ სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე: ქვეყნის მმართველობას, რომელსაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი აღიქვამს ტოტალიტარულ რეჟიმად, ბუნებრივია, შიში დიდია. შიში სიმართლის და გულწრფელი აზრის დაფიქსირების. ამიტომ საზოგადოება გაურბის სიმართლის თქმას და სოციოლოგიურ კვლევას ზედაპირულად უდგება. იგი ან თავს იკავებს პასუხის გაცემისგან, ან ხელისუფლების მატარებელ აზრს აფიქსირებს. ასევე კვლევის დროს მნიშვნელოვანია კვოტები და შესარჩევი ველი. ხშირად შემსრულებელი ირჩევს დამკვეთისთვის მისაღებ ველს და მისაღებ კვოტებს. დასევე მნიშვნელოვანია, ვინ და რისთვის უკვეთავს კვლევას. და მესამე, არსებობს ვარაუდი, რომ კვლევის ობიექტური შედეგები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არაა, მარტივად რომ ვთქვათ, ციფრები დამალულია და ის მხოლოდ დამკვეთისთვისაა ცნობილი. და ბოლოს და ბოლოს, ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 70%-ი უმუშევარია, ამდენივე გაღატაკებულია, ბუნებრივია, ეს ხალხი ხელისუფლებაზე გაღიზიანებულია და მისი მმართველობით უკმაყოფილო.

3 სექტემბერს გამოქვეყნდა აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის **(NDI)** გრძელვადიანი საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შეფასება (ანგარიში 3-27 აგვისტოს პერიოდს მოიცავს) **NDI**-ის შედეგებით ირკვევა, რომ მმართველი პარტიის, ისე "ქართული ოცნების" ქმედებები მცდარ წარმოდგენებს ქმნის და არჩევნების მიმართ საზოგადოების ნდობას ამცირებს. მმართველი პარტია და "ქართული ოცნება" გვევლინება ერთმანეთის მტრად და არა პოლიტიკურ კონკურენტებად. ასევე დაუსაბუთებელია "ქართული ოცნების" წევრთა და ლიდერთა პირადი ანგარიშების დაყადაღება: "ორ უდიდეს საარჩევნო სუბიექტს შორის პოლარიზაცია იზრდება იმ რიტორიკის შედეგად, რომელშიც ოპონენტები ისინი მიუკერძოებლად აღასრულოს, ოპოზიცია კი კანონს უნდა დაემორჩილოს: "მონაწილე მხარეების ქმედებები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ პოლიტიკური უპირატესობის მოპოვების მიზნით, ორივე მხარე დროდადრო ცდილობს ამ პასუხისმგებლობას თავი აარიდოს". - აღნიშნულია ანგარიშში.

ამასთან, უშუალოდ საარჩევნო გარემოს შეფასებისას, მისია მიიჩნევს, რომ, ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლების მხრიდან ჩარევის მაგალითები ფართოდ გავრცელებული გადაცდომების შესახებ დაუსაბუთებელ ბრალდებებში გადადის, რის გამოც რთულია განასხვავო მოყვანილი მაგალითები მიმდინარე საარჩევნო ციკლიდან არის თუ წარსულის გამოცდილებას ემყარება: "რჩება შთაბეჭდილება, რომ ჭორები და დაუსაბუთებელი ბრალდებები კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო პროცესის დისკრედიტირების მიზნით კამპანიის ხერხემლად გამოიყენება, "ქართული ოცნების" მიერ მათი მომხრეების მიმართ განხორციელებული ძალადობის დასადასტურებლად წარმოდგენილმა ვიდეომ ცხადჰყო, რომ ძალადობას მართლაც ჰქონდა ადგილი კარალეთისა და მერეთის ინციდენტში, თუმცა იმავე ვიდეოში არ ჩანს, თუ ვინ მოახდინა კონფლიქტის ინიცირება".

**NDI**-ი მოუწოდებს ორივე მხარეს გვერდზე გადადოს მტრობა და მოახდინოს ძალადობის პრევენცია, ხოლო ხელისუფ-

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

მისიის მიზანია საქართველოში 2012 წლის პირველმა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის ქვეყანაში არსებული საარჩევნო გარემოს სხვადასხვა ასპექტის ზუსტი და მიუკერძოებული შეფასება. ვიქნები სუბიექტური და ვიტყვი, ამ შეფასებას ჰქვია – არც შამფური დაწვა და არც – მწვადი. ფაქტი ერთია, ბოლოდროინდელმა კვლევებმა მნიშვნელოვანი რამდენიმე ტენდენცია გამოყო: პირველი - ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის მსურველთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება; მეორე, გამოკითხვებმა აშკარად აჩვენა, რომ პოლიტიკურ არენაზე პოლარიზაციის მომენტი დაკვეთაა და ამ ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია. მესამე, ამომრჩეველი არჩევნებზე წასვლას და საკუთარი ნების გამოხატვას აპირებს, ანუ ხალხი მზადაა, რომელიმე პოლიტიკურ პარტიას გაჰყვეს.

ფაქტი ერთია, ბიძინა ივანიშვილის პარტია თუ ბლოკი, რომელიც არსებობის რამდენიმე თვეს ითვლის, გამოკითხვებში საკმაოდ მაღალი რეიტინგით სარგებლობს.. ანუ ივანიშვილის რეიტინგის თანაავტორი ხელისუფლებაცაა. მან ცხოვრების ისეთი გაუსაძლისი ფონი შექმნა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი არჩევანს ივანიშვილზე აკეთებს. ფაქტია, კარგად მყოფი ადამიანი ამაზე არ ფიქრობს, ის რჩება მასთან, ვისთანაც კარგადაა.

დასკვნის მაგიერ: ასე, რომ, კვლევების მიკერძოებული ანგარიშები ცხადჰყოფს დამკვეთის პოლიტიკურ ნებას. ნაციონალების "ახალი სიტყვის" - "გონივრული ეჭვების" დრო წავიდა. მეტიც, წინასწარ ვინ იცის, ეჭვი გონივრულია თუ სულელური?! ჩემი აზრით, ეჭვი შეიძლება იყოს საფუძვლიანი, ან უსაფუძვლო. და ბოლოს, ხელისუფლებას ადამიანებთან ურთიერთობის პრობლემა აქვს, ამიტომ დათესა შიში და უნდობლობა. მათთვის უპირატესი სისტემაა და არა ადამიანი. ფიზიკის კანონი კი გვეუბნება: რაც მეტია დაწოლა, მით მეტია წინააღმდეგობა. დღეს ხომ "დაწოლისა" და "წინააღმდეგობების" ეპოქაში ვცხოვრობთ!

**ქეთი ყველაშვილი**




# xa l xis azr iT

კარგი რა, ბიძინა... გიგა ლიპარტელიანმა წიგნიც კი მიუძღვნა შენს "კრიმინალურ" წარსულს და ახლა მიშავიზიებთან ერთად ფილმსაც ამზადებს ... რუსი ბიზნესმენების და კრიმინალების ნახევარი შენ დაგიხოცია და გახდებოდი მილიარდერი, აბა, რა იქნებოდა? :))))) რა იყო შე კაცო, კახა ბენდუქიძე თვალში არ მოგივიდა, ან ნუთუ არსად შეგხვდა, თუნდაც პუწინის კაბინეტში საიდუმლო სერობისას? ბარემ ამ ეგეც მოგეკლა, იქნებ ნახევარი საქართველო მაინც დარჩენილიყო გაუყიდავი

თქვენი არ ვიცი და მე 1 სექტემბერს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყრილობაზე მივდივარ... ჩიორა მიხმობს და უნდა მივფრინდე :))

11 რაიონსა და თბილისში ერთდროულად მართავენ ყრილობას :))

(ვაი, თქვენს პატრონს) :)))) ვის ატყუებთ, თქვე უბედურ დღეზე გაჩენილებო? საკუთარ თავს? როდემდე, თორემ კი :)

ხუმრობა იქეთ იყოს და დავფიქრდი, რითი უნდა შეავსონ დარბაზები :))) უცებ მოვედი აზრზე: მოკლედ ქდმ, ლეიბორისტები, ედპ, დავითაია, ჯონდი, თორთლაძე, დაშინებულ-დამცირებული მასწავლებლები, ზომბები, ზონდერები ჯარისკაცები და პატრული - ოჯახებით, პრობაციონერების ოჯახის წევრები, პატრიოტები, სტუდენტური დასაქმების პროგრამის მონაწილეები, დაშინებული ბიზნესი, სამარცხვინო "ბანკირები" და მათი ოჯახის წევრები და, რაც მთავარია, კოორდინატორები, ანუ უთავმოყვარეო ხალხი და .... დავაიიიიიიიი მიშა, დასვიდანია )))))))) არ გიშველით არაფერი თქვე ფარჩაკებოოოოოოო)))))))))))

ჩემი დასკვნა ასეთია, – დღეს საქართველოს დიდგორის ველზე ებრძვის „ნაციონალური მოძრაობა" თავისი მონა მოსამართლეებით, მანდატურებით, სოდით, კუდით, ნათია მოგელაძით, ე.წ, ადმინისტრაციული რესურსით, ხოლო საქართველოს მხარეს დგას დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც არ ყიდულობს ხმას, და ამომრჩეველი, რომელიც თავის ხმას არ ყიდის!

აკი, ჩვენ წინ მივდივართ რაკეტასავით და მხოლოდ საქართველოს მტრებს უნდათ ჩვენი უკან დაბრუნებაო და შევარდნაძის ეპოქის მოყვანაო? ეს რუსთავის ახალი მერი შევარდნაძის კადრი არააა, თუუუ ესეც რაკეტასავით წინ მიდიოდა?

მოკლედ, რა!!! გაატრაკა საქმე ამ თქვენმა პრეზიდენტმა!!! რამდენი არცევნებიც უწევს იმდენი იმის შიში უნდა იყოს, რომ საქართველოს რომელიმე კუთხიდან ამუნია რუსეთი შემოვა??? და რატოომ მოდიან მაინც და მაინც არჩევნების მიჯნაზე ხოლმე გამაგებინეთ ))))

სააკაშვილმა იცის, რომ არჩევნები წაგებული აქვს და ახლა საკუთარი სკამის შენარჩუნების მორიგი მცდელობა, რომელასაც, როგორც წესი, უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე ეწირება!

მეგობრებო, რაღაც ყურადღების გადატანის მცდელობაც შეიძლება იყოს ეს სპეცოპერაციები და დააკვირდით რამე ისეთი ინფო არ გააპარონ ამასობაში, რაც საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობისაა (მაგ: რკინიგზის, გაზსადენის, მიწების გადაცემა რუსებისთვის)

კომიკური სიტუაციაა, 16 საათია ქართული პოლიცია, ჯავშანტექნიკა, ავიაცია იბრძვის, არიან დაჭრილები, მაგრამ არაა ცნობილი, ვის ვებრძვით..

მოგზაურობა სამშობლოში

# fesvis wuxili

## ტყე-ჯავახეთი



მას შემდეგ, რაც ბარალეთისწყლისა და მისი შენაკადების მიმდებარე სანახები შემოვიარეთ, დასავლეთით უნდა გადავინაცვლოთ და **ჭობარეთისწყალს** ავყვეთ. ამ პატარა მდინარეს სოფელ ალასტანთან **თეთრობისწყალი** უერთდება, რომელსაც მეორენაირად **გოკიოსწყალი** ჰქვია, მის ნაპირზე მდებარე ამავე სახელწოდების სოფლის მსგავსად. გოკიოს ზევით სოფელი აღარ არსებობს და ამდენად ხანდოდან მდინარის აყოლებაზე სულ რაღაც 8 კმ-გვაქვს გასავლელი.

* * *

**ხანდო** სომხებით დასახლებული ერთ-ერთი დიდი სოფელია ჯავახეთში. ორი საუკუნის წინათ აქ ქართველები ცხოვრობდნენ და ეს ლექსიც მათი ნათქვამია: **„ფაშა ჩამოხტა ხანდოსა, ხანდოსა განა ნიჯგორსა, კარგისა მასპინძლისასა ხან მაწონს სჭამს და ხან დოსა“.** შეიძლება ვიფიქროთ, რომ სოფლის სახელწოდება სწორედ ამ „ხან დოსა“-გან მიმდინარეობს, მაგრამ ამ სახელწოდების სოფელი და ხევი ხომ ფასანაურთან ახლოსაც გვხვდება?! არსებობს კიდევ ერთი ხანდო, რომელიც თრიალეთშია და როგორც ამბობენ ჯავახეთის ხანდოდან წასული ხალხის დაარსებულია. **XVIII საუკუნის დასაწყისში ოსმალოს მონობაში ყოფნას თრიალეთის იმ მონაკვეთში დასახლება უმჯობინებია აქაურ ქართველობას, რადგან იგი გუჯარეთის ხეობის პატრონ ციციშვილ-ავალიშვილებს ეკუთვნოდათ და ქართლის სამეფოს იურისდიქციაში შედიოდა. ამთავითვე გეტყვით, რომ ქართველები დღეს იქაც აღარ ცხოვრობენ.**

ჯავახეთის ხანდოს, ისევე როგორც ზეგანის კიდეზე შეფენილ სხვა სოფლებს, ფარავნისწყლის ხევში ოროკოები (ტერასები) ჩაუდის და იმაზე მიგვანიშნებს, რომ ძველი სოფელი ამ ტერიტორიაზე იყო. მის მეზობლად, აღმოსავლეთით, არის მეორე ნასოფლარი **გრიალა**, სადაც X საუკუნის მოზრდილი ნაეკლესიარი დღემდეა შემორჩენილი. იგი თლილი ქვითაა ნაგები, თუმცა გარე პერანგი შიდა პერანგზე უფრო ფაქიზია.

ახალი და ძველი ხანდოს მიჯნაზე დგას წმინდა გიორგის X საუკუნის საყდარი. აქაურ სომხებს ეკლესიის სამხრეთი გარშემოსავლელი ისე უხეიროდ განუახლებიათ, რომ საერთო პროპორციებიდან სრულიად ამოვარდნილია, — კარიბჭის თაღების ბაზისად აზბესტის საკანალიზაციო მილია გამოყენებული და კაპიტელიც უგულებელყოფილია.

ტაძარში შევდივართ. საკურთხევლის იატაკი შემკეთებლებს მკვეთრად აუმაღლებიათ და სომხურ ყაიდაზე 3-საფეხურთიანი ქვის კიბე მიუდგამთ. საკურთხევლის წინ დგას 3 მეტრზე მაღალი ქვაჯვარი, რომელიც ერთიან ქვაშია გამოკვეთილი. ეს ქვაჯვარი ადრე შუაზე გადატეხილი ეგდო ტაძრის გარეთ, ახლა კი გაუმთელებიათ, ეკლესიაში შეუტანიათ და ძველ პოსტამენტზე შემოუდგამთ. მე და ოპერატორი სოზარ გულბანი სწორედ ამ ქვაჯვარს ვათვალიერებთ, როცა ტაძარში ნასვამი მამაკაცი შემოდის და გვეჩხუბება. როგორც მერე გაირკვა, იგი სოფლის კალატოზი ყოფილა. იგი ჯერ ჯვარზე მიგვანიშნებს, მერე საკუთარ თავზე და გაჰყვირის: „ხაჩკარ!... ხაჩკარ! არმიანსკი!...“ ხაჩკარი ქვაში გამოკვეთილი სომხური ქვაჯვარია, ასეთი ჯვრები აქა-იქ მართლაც გვხვდება ჩვენში, მაგრამ ერთი, რომ ყველა მათგანი გვიანდელია და მეორეც, მათ სხვა ფორმა აქვთ. ამ ხეპრეს ჩვენც უბირები ვგონივართ და გვატყუებს. სხვა გზა არ დამრჩენია, ჯვრის პოსტამენტთან მიმყავს, რომელზეც ხარის უძველესი გამოსახულებაა. უფრო მეტიც, შემიძლია გარეთ გავიყვანო და ტაძრის კედლებში ორგან ჩადგმული ის ფილები ვაჩვენო, რომლებზეც ძველქართულით ამოკვეთილი სიტყვებია, მაგრამ ვატყობ, ასე არ ივარგებს. კალატოზს ეს დამწერლობა სომხური ჰგონებია და „რესტავრაციის“ დროს ამიტომ გაფრთხილებია, ახლა კი, სიმართლე რომ გაიგოს, ვინიცის, რას მოსწევს ამ ქვებს. ერთ ქვაზე წერია: **„ქრისტე შეიწყალე სამხარაი...“** მეორეზე — **„ქ. შეწევნითა ღმრთისაითა, მეოხებითა წმიდისა...“**





ხანდოს ეკლესია ქართული წარწერით და ვარდისციხის ნაეკლესიარი

ტაძრის ეზოში სომხეთიდან მოსული მლოცველი ქალები შემოდიან და შესაწირი მამალი შემოჰყავთ, რომლის დაკვლასაც, ალბათ, ეს ყოვლისმცოდნე კალატოზი ითავებს...

ხანდოდან გზას ჩრდილოეთით, ვარევნისკენ ვაგრძელებთ. **ვარევანში** ძველი ეკლესიისა მხოლოდ არქიტრავია გადარჩენილი, რომელიც ღრმად ჩამჯდარა მიწაში. ბალავარზე შემორჩენილი ასომთავრული წარწერა მკვლევარებმა ასე წაიკითხეს: **„სახელითა ღმრთისაითა დაიდგა ეს ბალავარი ხელთა ცოდვილისა იოანეს და გაბრიელისათა. ქორონიკონი იყო სმ** (ე.ი. 240 ანუ 1020 წ.).“ ვარევანში ადრე მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველები ცხოვრობდნენ, რომელთაც ფრანგებსაც უწოდებდნენ. ამას ერთი ხალხური ლექსიც მოწმობს: **„ვარევანი მოსავლითა თუმცა ზოგჯერ ნაქებია, ქართველებიცა სახლობენ, უფრო მეტი ფრანგებია“.** მართლმადიდებელი ქართველების ნაცვლად, რომლებიც ოსმალოსაგან სასტიკ დევნას განიცდიდნენ, XIX საუკუნეში სომხები დასახლდნენ.

ვარევნიდან ალასტნისკენ მიმავლებმა გზიდან მარჯვნივ და შორს ბორცვზე შემომდგარ ნაგებობას მივაპყარით მზერა.

— **ეს ვარდისციხეა,** — გვეუბნება ჩვენი მეგზური და კოთელიელი მასპინძელი ემზარ ხუციშვილი, — **მაგრამ სინამდვილეში ციხე კი არა, საყდარია. ადრე აქ სოფელი იყო, რომელიც ორი საუკუნის წინათ აიყარა, მას შემდეგ ვერანა გახდა. ვნახოთ?**

გზიდან გადავუხვიეთ.

ეკლესიის გარშემო, საკმაო ფართობზე სულ ძველი ყორეები და ნაფუძრებია. ორ-სამ ადგილზე მარცვლეულის ხაროებიც გვხვდება. ჩანს, ღონიერი სოფელი იყო. ეკლესიასაც გალავნის ნაყორალი გასდევს, რომლის ქვის კარი იქვე გდია. ტაძარი თლილი ქვითაა აშენებული და განვითარებული შუასაუკუნეების ნაგებობას ჰგავს. ინტერიერში ყურადღებას იქცევს საკურთხევლის აბსიდში გამოკვეთილი ორი ძალიან მაღალი, ღრმა და სამკუთხა ნიში. ასეთი რამ უმეტესად ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრების ფასადურ გაფორმებაში გვხვდება. უკამაროდ დარჩენილი ტაძრის კედლები გარედან ერთიანად ტყვიებითაა დაცხრილული. ეს 1828 წელს ჯავახეთში მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის ომის გამოძახილია. როგორც ჩანს, მიტოვებული ეკლესია ერთ-ერთმა მხარემ გამოიყენა სანგრად. სამხრეთ ფასადზე, ამ ნატყვიართა შორის, მოჩანს ქართული ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი: **„სახელითა ღმრთისაითა, მეოხებითა...“** ამავე კედლის სიახლოვეს ვერძის ფორმის რამდენიმე საფლავის ლოდია.

ვარდისციხიდან ძირითად გზას ვუბრუნდებით და **ალასტანში** შევდივართ, რომელიც ჭობარეთისწყლის ნაპირზეა გაშენებული. ეს სოფელი ლაშა-გიორგის სახელთან არის დაკავშირებული და ისტორიული საბუთების თანახმად თამარის სიცოცხლეში საუფლისწყლო მამულს წარმოადგენდა. ამის გამო ლაშა-გიორგის ზოგჯერ ალასტნელის ზედწოდებითაც მოიხსენიებდნენ, ხოლო დავით-ულუს — ალასტნელის ძედ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, შემდგომში ლაშა-გიორგიმ თავის მეუღლეს, დავით-ულუს დედას (ახაშნელ სუსანა მიწობლიძეს) გადასცა საცხოვრებლად. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სუსანა, ძირითადად, ფშავში ცხოვრობდა და ხარჭაშანშია დაკრძალული.

**ამჟამად ალასტანში მხოლოდ კათოლიკე სომხები ცხოვრობენ, რომელთაც XIX საუკუნეში დიდი დარბაზული ეკლესია აუგიათ. სწორედ ამ ეკლესიის წინ დგას ასევე დარბაზული, ოღონდ გაცილებით მცირე ზომის, ძველი მართლმადიდებლური ტაძარი.** ათი საუკუნის წინანდელ ოსტატს ტაძრის ფაქიზ პერანგზე უამრავი აპოტროპიული ნიშანი — უმეტესად ბოლონური ჯვრები ამოუკვეთია. ნაგებობის კამარა-სახურავი კარგა ხნის წინათ ჩამონგრეულა და მისი მიმხედი აღარავინაა. ტაძარს გარშემო ვუვლით, მაგრამ ვერანაირად ვერ შევდივართ, ერთადერთი კარი უზარმაზარი დაჟანგული ბოქლომითაა ჩარაზული, გასაღები კი ვის აქვს, არავინ იცის. არც იმაში გვეხმარება ვინმე, რომ ტაძარს კიბე მივადგათ და ზევიდან ჩავიხედოთ. ერთი სიტყვით, პირდაპირ ვერ გვეუბნებიან, მაგრამ მიგვანიშნებენ, რომ აქ არაფერი გვესაქმება. ხანდოელებისა არ იყოს, ამათაც მინდა გავაგებინო თუ რა წერია ქართული ასომთავრულით ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე და ვისი აგებულია იგი, მაგრამ საიდუმლოს არც ამჯერად ვამხელ. ორი წარწერა ასეთია: **„ესე მე ნოშელმან დავდე ქუაი“, „ესე მე დაჩიმ დავსუი, საოლის ძემან“.**

ალასტნიდან ჩრდილოეთით, ერთ კილომეტრში, კიდევ ერთი დიდი სოფელი **გოკიოა,** საიდანაც მომდინარეობს, სავარაუდოდ, გოკიელთა გვარი. ეს სოფელიც სომხურია დღეს, ოღონდ 5 ქართული ოჯახიც ცხოვრობს — ოთხი ზაზაძეების და ერთიც ტაბატაძეების. კარგა ხნის წინათ სწორედ ტაბატაძეების ოჯახის უფროსმა, ბატონმა ამირანმა აღმოაჩინა საკუთარი სახლის გვერდით ერთი ჩუქურთმიანი ქვა. მას დანარჩენი ქართველებიც მიეშველნენ, მიწას ზედაპირი ფრთხილად მოხსნეს და ადრეშუასაუკუნეების ეკლესიის ნაშთი გამოაჩინეს. იგი, სავარაუდოდ, სამეკლესიანი ტაძარი ყოფილა. ყურადღებას იქცევს ე.წ. ბუნიკიანი ბოლონური ჯვარი და გუთნისდედის საფლავის ქვა.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: **„გოკია არს ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნნი“.** ივანე როსტომაშვილის თქმით, გოკიოში 7 ეკლესია ყოფილა ადრე, მაგრამ დღეს ყველა დანგრეულია.

...მივიწყებული ხანდო, ვარდისციხე, ალასტანი, გოკიო... ვზივარ ახლა ნაეკლესიარის ლოდზე და ვფიქრობ: ვინ ვარ ახლა მე? პასუხად ჩამესმის: **„ბებერ ხეს ჰგავხარ, სასხლავით ხელში ვდგავარ და გაცლი გადამხმარ ტოტებს, მისტირის ფესვი გარდასულ დღეებს და მსხმოიარე წარსულზე გოდებს“...**

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**







ალასტნის ეკლესია წარწერიანი ქვით და გოკიოს ერთ-ერთი საფლავის ლოდი

# sensaciuri interviu adamianTan, romelic lopotis specoperaciaSi monawileobda






“საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, გვსურს მოგაწოდოთ ახალი ინფორმაცია ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულ პირთა ვინაობის შესახებ. ცხედრების ექსპერტიზის დათვალიერებისა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად შესაძლებელი გახდა 11 ლიკვიდირებული პირიდან 7 ცხედრის ვინაობის დაზუსტება”, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში. შსს-ს ცნობით, უკვე დადგენილია ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაციისას ლივიდირებული 11 პირიდან შვიდის ვინაობა. მათგან ორი საქართველოს მოქალაქეა, 5 – რუსეთის. მოკლულია 22 წლის ბაჰაუდი ქავთარაშვილი, რომლის ნათესავებიც პანკისის ხეობაში ცხოვრობენ. ასევე პანკისელია კიდევ ერთი ლიკვიდირებული 26 წლის ასლან მარგოშვილი. დანარჩენი ლიკვიდირებულები, რომელთა იდენტიფიცირება მოხდა, არიან რუსეთის მოქალაქეები ჩრთილოეთ კავკასიიდან. მათგან ერთს – ბაჰაუდი ბალაკაშვილს ნათესავები ასევე პანკისში ჰყავს. ბაჰაუდი გროზნოშია დაბადებული 1986 წლის 10 თებერვალს. დანარჩენი იდენტიფიცირებულები არიან: დუკვახა დოშუევი, სალამ ზაურბეკოვი, ჯიბრაილ ხაშიევი, მუსა ადუევი.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, მძევლების გათავისუფლების მოტივით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 28 აგვისტოს, ღამით დაიწყო ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია ლოპოტას ხეობაში, საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. სპეცოპერაციაში მონაწილეობა ასეულობით სამართალდამცველმა მიიღო და მისი ძირითადი ფაზა 30 აგვისტოს დასრულდა. დაიღუპა სამი ქართველი სამართალდამცავი.

სრულიად მოულოდნელად, საშუალება მომეცა სპეცოპერაციაში მონაწილე ერთ-ერთ ადამიანს გავსაუბრებოდი. ყველასათვის ცნობილია, სპეცრაზმელები და სამართალდამცავები ინფორმაციის გაცემას უფრთხიან, რადგან იციან, თუ გამჟღავნდა საიდან ჟონავს ინფორმაცია, დედაბუდიანად უნდა გაიხიზნონ, თუმცა ისიც ეეჭვებათ, რომ გახიზვნას მოასწრებენ.

ამიტომაც, მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ვერც ამ ადამიანის ვინაობას დავასახელებ და ვერც იმას ვიტყვი, სად მოვისმინე ეს შემაძრწუნებელი ამბავი.

**„ზუსტად ვიცი, ერთ-ერთი პარლამენტარია ამ ამბავში გარეული. ჩეჩნების იმ ჯგუფს გაურიგდნენ და ფულის სანაცვლოდ თურქეთში გადაყვანას დაპირდნენ“.**

**„ადგილზე რომ მივედით, ვნახეთ, რომ მთელ ბანაკს ეძინა. არ მასვენებს იმაზე ფიქრი, რომ ცეცხლი მძინარე ადამიანებს გავუხსენი“**

* * *

– განადგურებული ვარ. სახლში მისვლისას ლამის ყველაფერი დავლეწე. დამამშვიდებლებიც დავლიე, მაგრამ თვალის მოხუჭვისთანავე ის სურათი მიდგება თვალწინ, რაც ვნახე. ოჯახი ისე შევაშინე, ჩემი თავი მონსტრი მგონია. ჩვენი ბიჭები ავღანეთშიც არიან ნამყოფნი და ერაყშიც. შეიძლება იქაც ხდება მსგავსი რამ, მაგრამ არც ერთ ჩვენთაგანს არ უნახავს, რომ ან ავღანეთში, ან ერაყში მძინარე ხალხი ჩაეხოცოს ვინმეს. მით უმეტეს, რომ ეს ადამიანები იქ მოტყუებით მიიყვანეს.

ზუსტად ვიცი, ერთ-ერთი პარლამენტარია ამ ამბავში გარეული. ჩეჩნების ამ ჯგუფს მოურიგდნენ და ფულის სანაცვლოდ თურქეთში გადაყვანას დაჰპირდნენ. მოლაპარაკებაშიდ რამდენიმე პანკისელი მონაწილეობდა. ისინი მიუგზავნეს ამ ჯგუფს და საკმაოდ დიდი თანხის გადახდას სთხოვდნენ. ჩეჩნებს ეს თანხა ხელთ ჰქონდათ. თავად ვნახე, როგორ ცდილობდა ერთი დაჭრილი ფულის გადახევას. ეტყობა, ფიქრობდა, აქ ფულის გამო შემოგვიტყუესო და ცდილობდა დოლარების დასტა გადაეხია. რამდენიმე შეკვრა გადახია კიდეც.

თავიდანვე ვიცოდით, რომ ყველანი უნდა ჩაგვეხოცა. საკმაოდ მკაცრად გვესაუბრნენ. გვითხრეს, რასაც იქ ნახავთ, უნდა დაივიწყოთ, თუ გინდათ რომ თქვენს ოჯახებს მშვიდად ეძინოთო. არანარი მცდელობა იმისა, რომ ცოცხლად ავიყვანოთ, ყველანი უნდა ჩავხოცოთო – მართალია, ჩვენთვის მძიმე იყო ამ დავალების შესრულება, მაგრამ უკან ვერც ერთი ჩვენგანი ვერ დაიხევდა. მე პირადად ვთვლიდი, რომ შეტაკება მოგვიხდებოდა და ორმხრივი ბრძოლის დროს სროლა არ გამიჭირდებოდა, მაგრამ ადგილზე რომ მივედით, ვნახეთ, მთელ ბანაკს ეძინა.

**არ მასვენებს იმაზე ფიქრი, რომ ცეცხლი მძინარე ადამიანებს გავუხსენი, გაფრთხილების გარეშე. ცეცხლის გახსნამდე რამდენიმე წამით ადრე ერთს გაეღვიძა და მოასწრო გასროლა. სამი ისე ჩავცხრილეთ, თვალის გახელაც ვერ მოასწრეს.**

ჩეჩნები კარგი მებრძოლები არიან, მათ ეჭვად მაინც რომ ჰქონოდათ, რომ შეტაკება მოუხდებოდათ, ყველა ერთად ნამდვილად არ დაიძინებდა. არ ჰგავდნენ საბრძოლოდ გამზადებულ ჯგუფს. ისინი შუამავალს ელოდებოდნენ, რომელიც მათ ამ ფულის სანაცვლოდ საზღვრამდე გადაიყვანდა.

მათ იმიტომ უნდოდათ თურქეთში გადასვლა, რომ პრობლემები ჰქონდათ. შესაბამისად, მდევარის შიშით იარაღასხმულნი გადმოვიდნენ. თან საკმაოდ დიდი ფულიც ჰქონდათ. ასე, რომ, მათი შეიარაღება გასაკვირი სრულებითაც არ არის.

თუ არ ვცდები, დაღუპულებიდან ორი პანკისელი იყო. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, 5 მოკლულის ცხედარს ვერასოდეს იხილავს ოჯახიო. მათი დაკრძალვა, თუ შეიძლება ამას დაკრძალვა ეწოდოს, გასაიდუმლოებულად მოხდებაო. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამაზე ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს. მე ზუსტად მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ლოპოტას ხეობის ოპერაცია დადგმული სპექტაკლი იყო. შეიძლება ამ ადამიანებს ბევრი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, მაგრამ ამჯერად ბრალი არაფერში მიუძღოდათ, გარდა იმისა, რომ ერთ-ერთ ქართველ პარლამენტარს ფულის სანაცვლოდ თურქეთში გადაყვანაზე მოურიგდნენ. ვიმეორებ, მე, პირადად, ამ ხელებით მძინარე ადამიანებს ვესროლე, ვესროლე დამიზნებით და გაუფრთხილებლად. სამი ძალიან კარგი ქართველი დაიღუპა იმ დღეს. ვერ ვიტყვი, რომ მათი სისხლი ჩეჩნების სინდისზეა, მათი სისხლი იმ ადამიანების სინდისზეა, ვინც ეს “სპეცოპერაცია” მოაწყო.

სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ოდესმე შევძლებ თუ არა ცხოვრების ნორმალურად გაგრძელებას. ეს წუთები სიცოცხლის ბოლომდე მემახსოვრება.

* * *

*აი, ასეთი შემზარავი ამბავი მოვისმინე ამ ადამიანისგან.*

*მან არ იცოდა, რომ მე ჟურნალისტი ვიყავი, არც თვითონ დაინტერესებულა ჩემი ვინაობით, იჯდა უცნაურად ჩამქრალი და დათრგუნული მაგიდასთან და თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა, ისე ყვებოდა ამ ტრაგიკულ ისტორიას.*

*ვერ ვიტყვი, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ამ ადამიანის მონათხრობი, ვერც იმაზე დავდებ თავს, რა არის ამ მონათხრობში ნამდვილი და რა შეიძლება იყოს გამონაგონი. სიმართლე ლოპოტას ხეობაში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ მხოლოდ მაშინ გაირკვევა, როცა სრულფასოვანი და ობიექტური გამოძიება ჩატარდება მომხდარ ფაქტზე.*

* * *

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ ლოპოტას სპეცოპერაციას ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობის დაძაბვა არ მოჰყვება. მისივე განცხადებით, ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ურთიერთობაში ქართული პოლიტიკა გახსნილი და გამჭვირვალეა: “მაქსიმალურად ვცდილობთ ყველა ზომა მივიღოთ, რომ ხალხთაშორისი ურთიერთობები გაღრმავდეს და საქართველოში ჩამოსვლის სურვილი რაც შეიძლება მეტ ჩრდილოკავკასიელს გაუჩნდეს. რაც შეეხება ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციას, არა მგონია, რომ აქ რაიმე სიღრმისეულ ანალიზში უნდა შევიდეთ და განსაკუთრებულ პოლიტიკურ დაძაბულობას ველოდოთ.“

კი, ბატონო, ნუ შევალთ სიღრმისეულ ანალიზში, მაგრამ ინფორმაციის მოწოდება, რაც არ უნდა მტკივნეული იყოს იგი, აუცილებელ მოვალეობად მიგვაჩნია.

**P.S. აქვე გთავაზობთ ციტატას ინტერვიუდან, რომელიც გაზეთმა „ქრონიკამ“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს“ თავმჯდომარესთან ელისო კილაძესთან ჩაწერა: „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ერთ-ერთი პარლამენტარის, კერძოდ პეტრე ცისკარიშვილის ოჯახის წევრებმა ამ სპეცოპერაციის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, თავიანთ ახლობლებს და ნათესავებს განუცხადეს, 29-ში კახეთში რაღაც მოხდებაო.“**

„ქრონიკა“, №36, 03.09.2012

**თამუნა კუშელავა**



**„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გრამიტონ კვარაცხელიას მეუღლის ვალიდას გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 8 სექტემბერს, თბილისი, სოფ. დიღომი, სარაჯიშვილის ქ. 41**







# თავსატეხი

ჰორიზონტალურად: აკაზა, აკიძი, გოშია, დუნითი, იარდი, იზარე, მზეკი, პითია, ფლაკო, რიდლი, ტაკი, ფუშე, ქარი, ყალია, ცხაკი, ჭვავი.

ვერტიკალურად: აკეფა, აპისი, აქცია, ბელტი, გალიში, დოდო, ელენე, გაზია, ზუმბა, თანხა, იუნგა, კოზრა, ლეკსი, ოპალი, პლიტე, ტორიჯ, სტაკი, შაია, ჩენი, ხიწვი, ჯაჭვი.

# სამიდან ერთი

შვეულად: 1. პუფელი, კედარი, სადუთი. 2. პოკერი, პუპელა, პაკასო. 3. მერანი, მულატი, მამაკა. 4. ტანგო, ქოლგა, მესხი. 5. ვისლი, ვინტი, ვანტი. 6. ლიერი, პოლკა, ტანტი. 11. კომბალი, მესხეთი, ლამბაა. 12. ქრიკეტი, ხრიტანი, ტრასპა. 13. მუხაკა, ჩუხეთი, ტატამი, 14. ჯალაბი, ხაზაზი, ბუხუტი. 15. კურანი, პეტიკა, შაიური.

თარაზულად: 3. მალაფეტი, მორიობოკი, მაქსველი. 7. კაბარე, პუბერი, ბაკანი. 8. შოლოხოვი, კარაბანი, პაკანაბი. 9. სამარი, სეკვანი, სეტერი. 10. ტრეზვევი, ტრამბლი, პრიოფელი. 13. ზაბუხი, კომეტა, მახაკი 17. კორკოტი, პანტერი, კასკადი. 18. მანელი, სამარე, ჩუხური. 19. ტრუმანი, სტალინი, ტაიმალი. 20. ზუბერი, კუზინი, ტიმაში. 21. ტრინიდა, პრიმიერი, პრიმატი.

# შიფროგრამა

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 5 | ■ | 26 | ■ | 6 | 7 | 9 | 3 | 32 | 25 | 3 |
| 25 | 8 | 33 | 1 | 28 | 3 | ■ | 3 | ■ | 4 | ■ | 1 |
| ■ | 20 | ■ | 27 | ■ | 24 | 1 | 32 | 25 | 1 | ■ | 19 |
| 24 | 8 | 31 | 8 | 32 | 14 | ■ | 30 | ■ | 11 | 7 | 14 |
| ■ | 4 | ■ | 11 | ■ | 28 | 3 | 1 | 23 | 3 | ■ | 28 |
| 29 | 3 | 4 | 1 | 28 | 3 | ■ | ■ | 1 | ■ | ■ | 3 |
| 7 | ■ | 8 | ■ | 1 | ■ | 2 | 3 | 9 | 1 | 32 | 1 |
| 21 | 8 | 10 | 16 | 3 | ■ | 1 | ■ | 14 | ■ | 3 | ■ |
| 1 | ■ | 16 | ■ | 4 | 14 | 11 | 14 | 28 | 1 | 28 | 1 |
| 32 | 3 | 7 | 11 | 3 | ■ | 1 | ■ | 3 | ■ | 3 | ■ |
| 3 | ■ | ■ | 1 | ■ | 2 | ■ | 17 | ■ | 13 | ■ | 16 |
| ■ | 30 | 7 | 30 | 28 | 7 | 10 | 3 | ■ | 32 | ■ | 1 |
| ■ | 7 | ■ | 1 | ■ | 32 | ■ | 8 | 32 | 7 | 4 | 3 |
| 1 | 11 | 7 | 32 | 2 | 3 | ■ | 32 | ■ | 11 | ■ | 28 |
| ■ | 14 | ■ | 3 | ■ | 1 | 5 | 3 | 32 | 1 | 28 | 3 |

ა-1 ს-
ბ- ტ-
გ- უ-
დ- ფ-
ე-7 ქ-33
ვ- ღ-
ზ- ყ-
თ- შ-
ი-3 ჩ-
კ- ც-
ლ-11 ძ-
მ- წ-
ნ- ჭ-
ო-14 ხ-
პ- ჯ 18
ჟ- ჰ-
რ-26

**შეცდომის გასწორება:** მე-12 გვერდზე წერილის სათაური უნდა იკითხებოდეს ასე:
`SeiZleba 1 oqtombris mere axali saparlamento arCevnebi dainiSnos~

„facebook"-ის აქტიური მომხმარებლებიდან ბევრი, ალბათ, უკვე გაეცნო წერილს, რომელმაც ამ ახლო წარსულში სოციალური ქსელი მოიარა და იერუსალიმში მოღვაწე ბერის, ვინმე არსენის (მიმინოშვილი) ხილვის შესახებ მოგვითხრობს. როგორც ბერი ამბობს, იგი სოხუმიდანაა დევნილი 1992 წელს, უცხოეთში გადახვეწილი და მრავალგანსაცდელგამოვლილი. ამჟამად იერუსალიმის ბერძნული მონასტრის სკიტში ცხოვრობს. თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ წერილიდან:

„...ჩემს წინ იყო უზარმაზარი ბიზანტიური ფრესკა სამოთხიდან ადამის გამოძევების სცენით, მდელოზე მწიფე ნაყოფით სავსე ვაშლის ხე



# vinaa beri arseni da ratom imeorebs misi winaswarmetyveleba modernizebuli `qronikis~ siuJets?

იდგა, რომელსაც მეხი დასცემოდა და შუაზე იყო გახლეჩილი. ხეზე სისხლისფრად წითელი ვაშლები ეკიდა. შიმშილისგან გამხდარი ადამიანები მოდიოდნენ და სათითაოდ კრეფდნენ, მაგრამ ჭამა არ შეეძლოთ. მიწაზე აწყობდნენ ვაშლებს ისე, რომ დაიწერა დიდი სამიანი. მივხვდი, რომ სამ თვეზე, ანუ ოქტომბერზე იყო საუბარი. მიწა გადამწვარი ბალახით და სისხლისფერი ლაქებით იყო დაფარული. მწიფე ვაშლები აღნიშნავდა ჩვენს ცოდვებს... მე ვიხილე საქართველო, რომელიც სისხლში ცურავდა. რუსები მოდიოდნენ ტანკებით და სრესდნენ ყველაფერს, არ ინდობდნენ არც ქალს, არც ბავშვს... იწვოდა შიდა ქართლი, გორიდან ხაშურამდე ცეცხლი და კვამლი ფარავდა ყველაფერს, უამრავი ტანკი და ზარბაზანი გრუხუნებდა... საქართველო სისხლში იხრჩობოდა, ზოგიერთი ქართველი ამას გამარჯვებას ეძახდა და ველური ყიჟინით ზეიმობდა მოყვასის სისხლის ნთხევას... ალაგ-ალაგ იწვოდა თბილისი. თბილისელებს მეტი გაძლება აღარ შეეძლოთ და მანქანების კილომეტრიანი რიგები გარბოდნენ აღმოსავლეთით, სამხრეთითა და დასავლეთით. იყო გაქცეულთა დევნა, რბევა, დაყაჩაღება..."

ამის შემდგომ ბერმა იხილა თუ როგორ იშლებოდა რუსეთი მომდევნო წლებში, ჩადენილი ცოდვების გამო და ასევე იხილა ქართველ მლოცველთა გუნდები, რომელთა ლოცვა გადაარჩენს საქართველოს და გაამთლიანებს.

ასოციალურ ქსელზე ატვირთულმა წერილმა ბევრს მოდელირებული ქრონიკა გაახსენა. თუ როგორი ტვირთია ამგვარი წერილების სოციალური ქსელებში გავრცელება ჩვენი ისედაც ათასი პრობლემებით თავგამოტენილი მოსახლეობისთვის, ეს ცალკე მსჯელობის საგანია და ღმერთმა გვაპატიოს, კიდევ გასარკვევია ვინაა ეს ბერი. უუბრალოდ ასეთი რამ დაუშვებელია, რადგან წერილს ათასობით ადამიანი წაიკითხავს და შეიძლება ბევრის ფსიქიკაზე და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს. (გავიხსენოთ რამდენი გულის შეტევის შემთხვევა და შოკი მოჰყვა „მოდელირებულ ქრონიკას")

რადგან დემაგოგიას და ჭორებს დიდი გავლენა აქვს, ამიტომ გადავწყვიტეთ ამის შესახებ გავსაუბრებოდით ნათელმხილველებს, რათა გაეკეთებინათ ახლო მომავლის პროგნოზი და მოეხსენებინათ მართლა ხომ არ გველოდება სამოქალაქო ან სამამულო ომი და სისხლისღვრა.

**სილვა კაზარიანი** (ნათელმხილველი):

**— ქალაბტონო სილვა, ახლა წინასაარჩევნო პერიოდია, რაც თავისთავად გულისხმობს გარკვეულ დაძაბულობას და მოლოდინს საზოგადოებაში, თუ როგორ, რა კუთხით წარიმართება მოვლენები. რა პროგნოზი შეიძლება გაკეთდეს ამ ეტაპზე?**

— არავისთვის არაა სიახლე ის, რომ არჩევნების წინა პერიოდს უძლევის არეულობა, ყოველთვის ასე ხდება. მე ადრე ვისაუბრე თქვენთან ინტერვიუში, რომ შარშან მქონდა მინიშნება ბატონ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენასთან დაკავშირებით. მენიშნა, რომ უნდა ჩამოვიდეს კაცი და ჩამესმა საფრანგეთი. სულ მალე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკურ არენაზე.

**— ანუ არ არის რუსული პროგრამა, როგორც მიაწერენ?**

— არა, ივანიშვილის გამოჩენა რუსული პროგრამა ნამდვილად არ არის. იგი თავისი ინიციატივით ჩაერთო ამ საქმეში და არავის დაუპროგრამებია. „კიდევ ერთს ვიტყვი, შეიძლება აღარაა ამაზე საუბრის დრო, მაგრამ აღვნიშნავ: ბიძინა ივანიშვილი უნდა გამოჩენილიყო პოლიტიკურ სარბიელზე გაცილებით უფრო ადრე. რა თქმა უნდა მის გამოჩენას

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

აქვს დიდი მნიშვნელობა და გამართლება, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ მაინც ასე აჯობებდა მისთვის. აარ ყოფილიყო ჩუმად, გაეხმაურებინა თავისი გაკეთებული საქმეები და დაეფიქსირებინა ხმამაღლა თავისი პოზიცია. ამას ვამბობ იმიტომ, რომ მქონდა მინიშნება. მის გარშემო ბევრი ადამიანია, ვხედავ გემს, რომელსაც ივანიშვილი მართავს, მაგრამ ამ გემზე ყველა არ უნდა, იჯდეს. ბევრი გულწრფელი ადამიანიცაა მის გარშემო, მაგრამ ასევე ბევრი უბრალოდ ელოდება როგორ განვითარდება მოვლენები ახლო მომავალში, რომ შემდეგ მომგებიანი პოზიცია დაიკავოს, ანუ ზის მის გვერდზე თუ ოფისში, არ ვიცი, როგორ ვთქვა და ელოდება, აარადა, ეს არასწორია, მოქმედებაა საჭირო, დასაკარგი დრო აღარ არის.

**— ბოლო დროს ბევრი მითქმამოთქმა და ჭორია იმის შესახებ, რომ ძალიან რთული და დაძაბული შემოდგომა გველოდება, ომზეც კი საუბრობენ...**

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, არავინ იფიქროს რომ რუსეთს ახლა ჩვენთან ომი უნდა. არც უნდა და არც აწყობს. იგი მხოლოდ თამაშობს, თუ იქნება საშიშროება, დაძაბულობა, მერწმუნეთ, მოჩვენებითი აღმოჩნდება. არც რუსეთთან იქნება ომი და არც დიდი სამოქალაქო დაპირისპირება მოხდება. ჩაივლის არჩევნები ჩვეულებრივად. ხალხი უნდა იყო ფრთხილად, რადგან მასაში, საზოგადოებაში ჩანს შეხლა-შემოხლა განსხვავებული აზრის გამო და ამითი შეიძლება ვიღაც-ვიღაცებმა ბოროტად ისარგებლონ.

**ირმა თ.** (ნათელმხილველი): — მე, როგორც უკვე იცით, არ ვუმჟღავნებ ფართო საზოგადოებას ჩემს ვინაობას. ჩემი სამყარო მაქვს და ახლობლებს ვეხმარები ჩემი უნარით. ვაფრთხილებ თუ რაიმე საშიშროება მენიშნა, თუ სასიხარულო ცვლილებას ვხედავ, ვატყობინებ.

**— საინტერესოა, თუ გქონდათ მინიშნება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ...**

— მინიშნება კი არა, ხილვა მქონდა და საკმაოდ უცნაური, ვერც გეტყვით, კარგს მოასწავებს თუ ცუდს. ჯერ რაღაც საშინელება ვნახე: ვითომ ვარ სადღაც შენობაში, (დიდუბის მიმდებარე ტერიტორია იყო).

რატომ, რა მინდოდა იქ, არ ვიცი. გამოვდივარ გარეთ და ვხედავ ჯავშან-ტექნიკას, ჯარისკაცებს, ზოგ მათგანს სახე ახვეული აქვს, ხელში იარაღი, მაგრამ რატომღაც რეზინის ხელკეტებიც ჰქონდათ. არეულობაა, თითქოს ნაღმებიც ფეთქდება გარშემო. საშინელი შიში მიტანს. გავრბივარ, სხვებიც მორბიან ჩემს გვერდით... ვიღაცამ ბომბი ისროლა, ჯარისკაცები ხელკეტებით გამოგვედევნენ, გავწექი მიწაზე, სხვებსაც ვუყვირივარ დაწექით-მეთქი, გავერთხეთ ძირს, მოგვცვიდნენ ჯარისკაცები, ისმის აფეთქება, გვირტყამენ ხელკეტებს და უცბად მესმის ხმამაღალი სიცილი. ბომბი რაღაც სათამაშო ყოფილა, ახალი წლის დღეებში რომ აფეთქებენ იმდაგავარი, ხელკეტები, რომლებიც დაგვიშინეს, სიმინდის ბურბუშელებივით დაიშალა, ერთი სიტყვით, ყველაფერი სათამაშო იყო და მოჩვენებითი. გაოცებულები შევყურებთ ერთმანეთს, რას გვამაიმუნებენ? — ვეკითხებით.

ეს ყველაფერი მიმანიშნებს, რომ შეიძლება იყოს არეულობა, დაძაბულობა, სამოქალაქო თუ სამამულო ომის საშიშროება, მაგრამ ყველაფერი გათამაშებული, დაგეგმილი პროვოკაცია იქნება ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით. ნუ აჰყვებით ჭორებს, ნუ განავრცობთ თქვენში და თქვენს გარშემო ცუდ ენერგიას, ყველაფერი კარგად ჩაივლის.

**თამუნა ქადაგიძე**

# konturebi

*„ჩვენ ვიცნობთ მათ... ან უნდა ვიცნობდეთ!*

*ბევრი რამ ვიცით მათ შესახებ... ან უნდა ვიცოდეთ!*

*ვაფასებთ მათ ღვაწლს... ან უნდა ვაფასებდეთ!*

*გვაინტერესებს მათი შემოქმედება... ან უნდა გვაინტერესებდეს!*

ერთი-ორი შტრიხი და გამოჩენილი ადამიანის პიროვნული პორტრეტის კონტურები მოხაზულია — დაასახელეთ მათი ვინაობა.

**1** თეატრისა და კინოს თანამედროვე პოპულარული ქართველი მსახიობი, რეპრესირებული ოჯახის შვილი, მსახიობის ქმარი და ორი მსახიობის მამა. სტუდენტობის პერიოდში, როგორც თავად ამბობს, მეტყველების დეფექტი ჰქონდა და საკმაოდ გააწვალა თეატრალური ინსტიტუტის მეტყველების კათედრის პედაგოგები. საბედნიეროდ, ეს პრობლემა შორეულ წარსულში დარჩა...

მის სახელს უკავშირდება ქართული კინოხელოვნებისათვის გაღებული უდიდესი „მსხვერპლი": ერთ-ერთი მსოფლიო მნიშვნელობის მქონე შედევრის ეკრანიზებისას წონაში ისე დაიკლო, რომ ცარიელი ძვალი და ტყავი დარჩა; სამაგიეროდ, მისი გარეგნული იერი ზუსტად შეესატყვისებოდა ეკრანული გმირის პორტრეტს. ეს იოლი საქმე არ გახლდათ — მით უმეტეს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მის ისედაც ჩაპუტკუნებულ პარტნიორს დელიკატესებით კვებავდნენ, რათა კიდევ უფრო მეტად ჩაემრგვალებინათ. ერთადერთი არსება, რომელიც ჩვენი გმირივით დაიჩაგრა, სახედარი იყო —სცენარის მიხედვით, ისიც უნდა გაეძვალტყავებინათ, თუმცა, აღსანიშნავია, რომ დიდყურას დამცველები გამოუჩნდნენ; იმ ქვეყნის ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრებმა, სადაც იმხანად მიმდინარეობდა გადაღება, ერთი ამბავი ატეხეს, — როგორ თუ უმწეო პირუტყვს აშიმშილებთო...

ჩვენი გმირის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობს; მის სახელს უკავშირდება ლეგენდად ქცეული სიყვარული და სამაგალითო ოჯახის მამობა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მისი მისამართით არ აგორებულა არც ერთი პიკანტური ჭორი, რასაც დიდი გულმოდგინებით ეძიებს და ავრცელებს ხოლმე „მოყვითალო პრესა".

**2** თეატრისა და კინოს თანამედროვე პოპულარული რუსი მსახიობი მამაკაცი — მრავალმხრივი ამპლუის ხელოვანი, რომელსაც თანაბარი წარმატებით შეუძლია დადებითი და უარყოფითი გმირების განსახიერება. ხან გვიყვარს, ხან გვძულს, ხან გვეცოდება მისი სცენური თუ ეკრანული პერსონაჟები — ერთადერთი გრძნობა, რომელიც მათ მიმართ არასოდეს გვეუფლება, გულგრილობაა.

როდესაც რეჟისორი ელდარ რიაზანოვი იღებდა ლირიკულ კომედია „სამსახურებრივ რომანს", მოულოდნელი პრობლემა წამოიჭრა: ვერც ერთი პოეტის კრებულსა თუ ლიტერატურულ ჟურნალში ვერ აღმოაჩინეს ისეთი ლექსები, რომლებიც ფილმში ასაჟღერებელი სიმღერების ტექსტად გამოდგებოდა. დრო არ ითმენდა, რეჟისორი ხელებს იმტვრევდა ნერვიულობისაგან, ბოლოს ახალგაზრდობის დროინდელი „შეცოდება" გაიხსენა, მუზას მოუხმო და ერთ ღამეში შექმნა სასიმღერო ტექსტები: „Ó ïðèðîäû íåò ïëîõîé ïîãîäû Íåò ñî ìíîè êîãî-òî" და ა.შ.

დილით, როცა გადამღები ჯგუფის წევრები შეიკრიბნენ, რიაზანოვმა დიდის ამბით განაცხადა, — ერთ-ერთ ახალგაზრდულ ჟურნალში სწორედ ისეთ ლექსებს წავაწყდი, ფილმის განწყობას რომ შეესაბამებაო. ყველამ მოისმინა, ყველამ ერთხმად მოიწონა — რეჟისორი ზეიმობდა, მაგრამ, აი, უსიამოვნო სიურპრიზი — წამოდგა ჩვენი გმირი და ჩაიბურტყუნა: Ñòèõè Òàê ñååå ìîæíî áûëî íàèòè è ðîëó÷øå" რიაზანოვს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ამ სიტყვების შემდეგ როგორღა გაამხელდა ავტორის ვინაობას!

რაც შეეხება ჩვენს გმირს, გულწრფელობის გამო „დაისაჯა" და რიაზანოვის მომდევნო ფილმში „მუნჯის" როლი ერგო — რეჟისორმა მხოლოდ ფინალურ კადრებში ამოადგმევინა ენა.

**3** XIX საუკუნის ამერიკელი პოეტი ქალი, რომელსაც არასოდეს შეუქმნია ოჯახი და, საერთოდ, ძალზე კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. ილუზიები და ოცნებები იყო მისი საუფლო — იქ უფრო თავდაჯერებულად გრძნობდა თავს, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. სიყვარულიც წარმოსახვითი იყო ქალისთვის, რომელიც ვერ უძლებდა ყოფასთან შეჯახებას.

„თვალები ფინჯანში ჩახლილ ალუბლებს მიმიგავს" — აი, ასე ახასიათებდა საკუთარ თავს ერთ-ერთი რედაქტორისათვის მიწერილ წერილში.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ქალბატონმა ზინა კვერენჩხილაძემ დიდი წარმატებით განახორციელა ამ უაღრესად თვითმყოფადი პოეტი ქალის როლი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე.

**ნინო სიხარულიძე**

**(პასუხები იხილეთ შემდეგ ნომერში)**

## კოფეინი მხედველობას აუმჯობესებს



ტოკიოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კოფეინის ხშირი ხმარება ხელს უწყობს თვალებში ცრემლის გამომუშავების პროცესს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ,,მშრალი თვალის“ სინდრომის მკურნალობას.

,,მშრალი თვალის“ სინდრომი იწვევს გულძმარვას, გულისრევას, პირის სიმშრალეს.

კვლევაში 78 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებიც იღებდნენ კოფეინს. ვინც კოფეინს სვამდა, ანუ ,,მშრალი თვალის“ სინდრომით დაავადებულთა 17 პროცენტი, უკეთესად გრძნობდნენ თავს.

## წითელი ღვინო ცელულიტებს შლის



მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ წითელ ღვინოში, ყურძენში და ზოგიერთ სხვა ხილში ისეთი ნივთიერებებია, რომელიც სიმსუქნეს პირდაპირ ებრძვის.

წითელ ღვინოში არის ისეთი ნივთიერება, სახელად პაისიტანოლი, რომელიც ზემოქმედებს ცხიმის უჯრედებზე და აფერხებს მათ განვითარებას. უფრო მეტიც, ეს ნივთიერება პირდაპირ უშლის ხელს გულის დაავადებებს, კიბოს განვითარებას, ნეიროდეგენერაციულ დაავადებებს.

წითელი ღვინო ითვლება დადებითად მოქმედ ნივთიერებად ადამიანის ორგანიზმზე. ქალებს, ვისაც მკერდის კიბოს საშიშროება აქვთ, რეკომენდებულია ყოველდღე მიიღონ ამ ნაყენის მცირე დოზა.

## ახალგაზრდამ მაღალი ერექციისთვის აბები მიიღო და სასქესო ორგანო დაკარგა

29 წლის ტეხასელმა ახალგაზრდა მამაკაცმა გადაყლაპა ერექციის გასაძლიერებელი აბები და პენისი დაკარგა სექსის პროცესში. ახლა მას უკვე აღარ შეუძლია სქესობრივი კონტაქტის დამყარება. რის გამოც სასამართლოში აქვს საჩივარი შეტანილი აბების მწარმოებელი ფირმის საწინააღმდეგოდ.



ედრიან კარტერი ახალგაზრდა, ჯანმრთელი ბიჭი იყო, სანამ სასტუმრო ,,ჰიუსტონში“ სასქესო ორგანოდან სისხლის დენა არ დაეწყო. მედიკოსებმა მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, იგი უნაყოფო და სქესობრივად უძლური დარჩა.

ედრიან კარტერის ადვოკატი მელისა მური ამბობს, რომ მას მანამდე არასდროს მიუღია არც ერთი სამკურნალო პრეპარატი. ახლა კი შეიძინა ბიოლოგიური დანამატი, რომელიც უფრო ძლიერ ერექციას და მღელვარე ორგაზმს გამოიწვევდა.

ადვოკატი და დაზარალებული დღეს წამლის მწარმოებელი ფორმისგან ფულად კომპენსაციას ითხოვს. ფირმა კი აცხადებს, რომ შეუძლებელი იყო ამ ამბებს გაძლიერებული სქესობრივი ლტოლვის გარდა სხვა რაიმე რეაქცია გამოეწვია, ამიტომ მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდა იტყუება.

## ჩეხეთში ცხოვრობს უნიკალური ადამიანი, რომელსაც გულის მაგივრად ბატარეა უდევს

ადამიანი, რომელსაც ხელოვნური გული აქვს, ინვალიდის ეტლით გადაადგილდება. უნდა ითქვას, რომ მას, ფაქტობრივად, არ აქვს გული. ოთხი თვის წინ ადგილობრივმა ექიმებმა მას გული ამოუღეს,



რადგან ამ ორგანოზე კიბოს მძიმე ფორმა ჰქონდა ჩამოყალიბებული. სიმსივნე ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ აუცილებელი იყო მისი სასწრაფოდ ამოღება. ნამდვილი გულის მაგივრად მას ხელოვნური აპარატი ჩაუდგეს, რომელიც ბატარეებზე მუშაობს. იგი შინაგანი მექანიზმით შეერთებულია სპეციალური გადამყვანი მავთულებით. 37 წლის იაკობ ხალიკმა ოპერაცია კარგად გადაიტანა.

## ასი წლის მძღოლმა 11 ფეხით მოსიარულე დააშავა



29 აგვისტოს პრესტონ კარტერმა საჭე ვეღარ დაიმორჩილა, ტროტუარზე გადავიდა და 11 ადამიანი დააშავა. მათ შორის 10 ბავშვია. შემთხვევა სკოლის სიახლოვეს მოხდა. მედიკოსების თქმით, 4 დაზარალებულის მდგომარეობა კრიტიკულია. საუკუნეს მიტანებული კარტერი დღეს ნებაყოფლობით თანამშრომლობს გამოძიებასთან.

## ინდოეთში ჰყიდიან კრემს, რომელიც ქალწულობას უბრუნებს ქალბატონებს



ინდოეთში უკვე გაყიდვაშია კრემი, რომელიც საშვილოსნოს კუნთებს აძლიერებს, ისე, რომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ქალბატონი კვლავ ქალწულია.

ეკრანებზე უკვე გაჩნდა რეკლამა კრემისა, სახელწოდებით ,,კვლავ 18“. ბოლივუდურ მუსიკაზე ქალი, რომელსაც სარი აცვია, ცეკვავს და ამბობს: ,,მე თავს კვლავ ქალწულად ვგრძნობ“, ,,რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ახლა პირველად“. ამ სიმღერის ფონზე გაბრაზებული დედამთილის სახე იკვეთება, რომელიც ასევე ემზადება ეს კრემი შეიძინოს.

კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ კრემი 30 დოლარი ღირს, შეიცავს ნატურალურ ნივთიერებებს, ოქროს მტვერს, ალოეს, მინდალს და ატმის წვენს. როგორც ამტკიცებენ, კრემს ყველა კლინიკური გამოვლინებისთვის გამოცდა გავლილი აქვს.

## საბინა ბეგანი აცხადებს, რომ ბერლუსკონისგან ორსულადაა



იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის ერთ-ერთი მეგობარი ქალი საბინა ბეგანი აცხადებს, რომ ვაჟს ელოდება და დარწმუნებულია, რომ ბავშვი სილვიო ბერლუსკონისგან ჰყავს. იგი ამბობს: ,,სხვასთან არავისთან ვწოლილვარ მის გარდაო“.

იტალიურ გამოცემას ,,ფატო კუოტილიანოს“ ბეგანი უყვება, თუ როგორ უყვარს ბერლუსკონი და როგორ ამოისვირინგა მისი სახელი სხეულზე.



მას ,,ფუტკრების დედოფალს“ ეძახიან იმის გამო, რომ ბეგანი იყო ის ქალბატონი, ვინც მშვენიერი საღამო მოაწყო ბერლუსკონის ვილაში მოცეკვავე გოგონებთან ერთად.

ბერლუსკონი ჯადოსნური, საოცარი ადამიანია, იგი სუპერმენია, — ამბობს საბინა ბეგანი და ამტკიცებს, რომ სილვიო ენერგიით არის სავსე. შეგახსენებთ, რომ ბერლუსკონი 29 სექტემბერს 77 წლის გახდება.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**

## ასტროლოგიური პროგნოზი


**ვერძი** — სასიყვარულო ურთიერთობებში საინტერესო ცვლილებები გელით. საქმიან ცხოვრებაში ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. მეტი დრო დაუთმეთ თქვენს გარეგნობას.


**კურო** — წარმატება გელით ბიზნესში დადიპლომატიურ სფეროში. ხელმძღვანელებთან ურთიერთობა ახალ პერსპექტივას დაგანახებთ. ოჯახურ ცხოვრებაში პატარ-პატარა პრობლემებია მოსალოდნელი.


**ტყუპები** — წინ წარმატებული პერიოდი გელით. ყოველ ნაბიჯზე ძლიერი პარტნიორის მხარდაჭერას იგრძნობთ. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.


**კირჩხიბი** — ამ პერიოდში თქვენი ცხოვრების დევიზია სიყვარული, ამიტომ ცხოვრების სხვა მიმართულებებს ნაკლები ყურადღება დაუთმეთ.


**ლომი** — სასიყვარულო ურთიერთობებში შეგიძლიათ თამამად გარისკოთ, რასაც არ გირჩევთ საქმიან ცხოვრებაში. ეცადეთ, კოლეგების კეთილგანწყობა მოიპოვოთ.


**ქალწული** — კარიერაში წინსვლა გელით. კარგი იქნება, თუ თქვენს ბიზნესს ახალ მიმართულებას მისცემთ. თქვენი იდეები და შრომისმოყვარეობა ხელმძღვანელობისაგან დაფასდება.


**სასწორი** — თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც სასწრაფო მოგვარებას მოითხოვს. ეს საკუთარ ძალებში დაგარწმუნებთ. შრომა დაგიფასდებათ.


**მორიელი** — ენერგიის მომატებას იგრძნობთ, ამიტომ, კარგი იქნება თუ დამატებით სამუშაოს აიღებთ. ამ პერიოდში ყველაფერი ადვილად გამოგივათ.


**მშვილდოსანი** — დასახულ მიზნებს ადვილად განახორციელებთ. პირად ცხოვრებაშიც თქვენთვის სასურველ პოზიციებს დაიკავებთ, ამიტომ დროა, იმოქმედოთ.


**თხის რქა** — დროის დიდი ნაწილი საყვარელ ადამიანს და ოჯახის წევრებს დაუთმეთ. მათგან მიღებული მუხტი ბევრი პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ. გელით სასიამოვნო სიურპრიზი.


**მერწყული** — ეს პერიოდი ახალ ურთიერთობებსა და სამომავლო გეგმების ორგანიზებას დაუთმეთ. პირად ცხოვრებაში ჰარმონიის მიღწევა არ გაგიჭირდებათ.


**თევზები** — ეს პერიოდი კარიერაში სერიოზულ პერსპექტივებს გპირდებათ. საქმიანი შეხვედრები თქვენთვის სასურველი შედეგებით დასრულდება. პირად ცხოვრებაში იდეალური სიტუაცია შენარჩუნდება.

**ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:**

1. ჰერკულესი. 2. გვარდია. 3. გეტრუდა. 4. ამპერმეტრი. 5. დეპი. 6. ატმოსფერო. 7. პიპკი. 8. სტენვეი. 9. გერშონი. 10. ურარტუ. 11. მხატი. 12. შიფონერი. 13. ფირფიტა. 14. იფიკლე. 15. ფიშტო. 16. ავტორი. 17. კოწახური. 18. ლახვარი. 19. კეტჩუპი. 20. ოხრანკა. 21. ხალტურა. 22. ბეჭი. 23. პაგოპაგო. 24. შერემეტიევო. 25. მარათონი. 26. ჯანჯუხი. 27. ნაომი. 28. ბაქიბუქი. 29. მინანქარი. 30. ბარაბასი. 31. მეფისნაცვალი. 32. სასა. 33. კასტრაცია. 34. ნაჯახი. 35. მქისე. 36. ხანუმა. 37. უკუნი. 38. როსია. 39. როინიში. 40. იანიჩარი. 41. ყირიმი. 42. ქალამანი. 43. ცინცხალი. 44. ხარისხი. 45. შპაგინი. 46. წვიმა. 47. მოლი. 48. ცხავი. 49. ალაქსა. 50. იგავი. 51. გელათი. 52. ჩვამა. 53. მანილა. 54. ჰიმნი. 55. მადლენ. 56. ანდები. 57. ბრი. 58. ბენუარი. 59. თიმფუ. 60. ბლითი. 61. მნათე. 62. სდექ. 63. სამბა. 64 არიფი. 65. აბულია. 66. აიაქსი.